

ეკონომიკური

ეკონომიკის სპი

პრაქტიკულ-სამეცნიერო ჟურნალი

№1

სარეკლამო გამოცემა

სვ

1591

2006

» ეკონომიკური პოლიტიკა (მთავრობის, მენარმეთა და მეცნიერთა პოზიციები)

» გადასახადები, გულტრული აღრიცხვა, აუდიტი

» საკანონმდებლო სიხსლენი (სამენარმეო სამართალი), კომენტარები

» მენარმეთა კითხვები და პროფესიონალთა პასუხები



საქართველოს ეკონომისტთა ეროვნული პალატა

ეკონომისტი

პრაქტიკულ-სამეცნიერო ჟურნალი N1
ბაზოლის თვეში სამჯერ

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი:
ლოიდ ქარჩავა

საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები,
ევ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:
ლემ რიქავა,

ვლადიმერ პაპავა,
ავთანდილ სილაბაძე

ევ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:
რევაზ გვამელიანი,

ელენე ხარაბაძე,
თემურ შენგელია,

ელგუჯა მუხამბერაძე,
ნოდარ ხაბუაძე,

ნუგზარ თოდუა,
მიხეილ ჩიკვილაძე,

მირიან ტუხაშვილი,
ეთერ ხარაიშვილი,

ლარისა ყორღანაშვილი,
იაკოვ მესხია,

რევაზ ქაქულია,
მერაბ ქაქულია,

შოთა ვეშაპიძე,
გიორგი ისაქაძე (საქართველოს ბიზნესმენ-

თა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი),
ბორჯა თუშბარიძე (ბიზნესის მართვის ბი-

უროს ხელმძღვანელი, ევ. მეცნ. კანდიდატი,
პროფესორი),

ლავით ნარმანიძე (საქართველოს ახალგაზრ-

და ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმ-

ჯდომარე, ევ. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი),
თამაზ ვაშაქიძე (მცირე მენარმეთა

კლუბის მენეჯერი, საქართველოს მენარმეთა

კავშირის აღმასრულებელი დირექტორი),
ზვინად როშავა (იურიდიულ შეცნობება-

თა კანდიდატი).

გამომცემელი და დაფუძნებელი:

ზუს გამომცემლობა „მერმისი - 2005“

გამომცემლობა „ლოი“

დირექტორი:

ზაზა ჯიჯელავა

ბარეკანის დირექტორი:

ოთარ წიგნაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ეკა აბუნიანიძე

მარკეტინგის მენეჯერი:

ნანა დათეშიძე

გაპრცალეზის მენეჯერი:

ირაკლი სალუშვაძე

რედაქცია შეიძლება ყოველთვის არ იზიარებდეს ავტორის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე სახით გამოყენება დაუშვებელია.

რედაქციის მისამართი:

აღ. გრიგოლძეძის ქ. №15

ტელ.: 92-23-05

მობ.: 855 277-554

ელ.ფოსტა: aekonomisti@yahoo.com

ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

საქართველოს
პარლამენტის

27125



რედაქტორის გვერდი

ლოიდ ძარჩავა – ჟურნალის მიზნები და მიმართულებები 5

ეკო-დაიჯესტი 6

მეცნიერება

დავით ნარმანია, ელგუჯა სოკრიშვილი – საქართველოს საგადასახადო სისტემა 8

შალვა გოგიაშვილი – კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში 14

მენარმის აზრი

თამაზ ვაშაკიძე – ზოგიერთი მოსაზრება გადასახადების არსის შესახებ 20

ბუნებრივი ალერგია

ელენე ხარაბაძე – იჯარის აღრიცხვა 24

ქითხვა-პასუხი 31

საკანონმდებლო სიასლავები 36

რეფორმები ეკონომიკური ბანათლების სისტემაში

თემურ შენგელია – ბიზნესის ადმინისტრირების ახლებური სწავლების არსი და ფორმები 57

რა ხდება მსოფლიოში 61

ჭურნალის მიზნები და მიმართულებები

უკონომიკური მიმართულების არაერთი ჟურნალ-გაზეთი გამოდის საქართველოში და კიდევ ახალი ჟურნალი რა საჭიროაო, იცყვის ზოგიერთი. საჭიროა ბატონო, და მოგახსენებთ რატომ:

საბაზრო უკონომიკამ მოგვიტანა, რომ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჯიხურები, მალაზიები, აფთიაქები, რესტორნები და სხვადასხვა სახის სავაჭრო ობიექტებია, მაგრამ ანალოგიური ახალი სავაჭრო წერტილები არ იხსნება? რა თქმა უნდა კი. მერედა, არის კი საჭირო ამდენი? ეტყობა არის, თორემ ხომ გაკოტრდებოდა და დაიხურებოდა მათი უმრავლესობა?! როგორც ვხედავთ ყველას და ყველაფერს თავისი მომხმარებელი ჰყავს, მათ შორის ჩვენს ჟურნალსაც.

ბუნებრივია, მკითხველს აინტერესებს, განუმარტოთ, რა ხასიათის, მიმართულებისა და პერიოდულობის იქნება ჟურნალი. ამდენად, მოგახსენებთ, რომ პერიოდულობა გადავწყვიტეთ 10 დღეში ერთხელ - ყოველი თვის 1, 11 და 21 რიცხვებში.

ჟურნალი, ძირითადად, ორიენტირებული იქნება პირველი ადგილი და მეტი წილი დაეთმოს მეწარმეებისთვის აუცილებელ მასალებს, ნორმატიულ აქტებს, რომელიც არეგულირებს წარმოებით ურთიერთობებს და ყოველდღიურად სჭირდება მეწარმეს.

ასევე, მკითხველს ვთავაზობთ დღეისათვის საქართველოში მოქმედ ნორმატიულ აქტებზე პროფესიონალთა კომენტარებს, მეცნიერთა და მეწარმეთა შენიშვნებსა და წინადადებებს.

რედაქცია და რედაქციუგია განწყობილია მედიატორის როლი შეასრულოს ხელისუფლებასა და მეწარმეებს შორის. ისევე, როგორც მთელ რიგ ქვეყნებში, აქაც აუცილებელია ხელისუფლება ითვალისწინებდეს მეწარმის მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რომელიც ხელს შეუწყობს წარმოების განვითარებას, მოსახლეობის დასაქმებას და მთლიანობაში უკონომიკის მაქსიმალურად ეფექტურ წინსვლას, სიღარიბის ღაძღვევას.

პირველ რიგში მეწარმეს ექნება საშუალება დასვას მისთვის პრობლემური კითხვა, რაზეც მიიღებს პასუხს კომპეტენტური ექსპერტისგან, ხელისუფლებისგან (საქანონმდებლო, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების წარმომადგენლებისგან) და თუნდაც გამოცდილი კოლეგისგან, წარმატებული ბიზნესმენისგან.

გარკვეული ნაწილი დაეთმობა მეცნიერებს, რომელიც ემსახურება მეწარმეობის განვითარებას, საკითხებს, რაც შეიძლება მეწარმისთვის საინტერესო იყოს.

რუბრიკას რაც შეეხება, ის ძირითადად წარმოდგენილია წინამდებარე საცდელ-სარეკლამო ნომერში, თუმცა ის არ არის დოგმატური და შეიძლება შეიცვალოს ჟურნალის, მეწარმისა და ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესთა გათვალისწინებით.

ჟურნალის რედაქციას გათვალისწინებული აქვს, მოაწყოს კონფერენციები უონკრეტულ უკონომიკურ პრობლემურ საკითხებზე, რომელიც საზოგადოების ყურადღების ცენტრშია, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე.

ასევე, დაიბეჭდება უონკრეტული, პრაქტიკული მაგალითები, როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი წარმატებული ბიზნესმენების სამეწარმეო ცხოვრებიდან.

ლ. ოიძ მარჩავა

16.11.06

ჩვენი ინვესტიციები აზერბაიჯანში

საქართველოს განმომარაგება კვლავაც ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ თემად რჩება. ენერგეტიკის მინისტრმა, ალტერნატიული წყაროების ვინაობა გათქვა. ესენია: აზერბაიჯანი, შაჰ-დენიზის გაზსადენი და ირანი. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრის ძირითადი თემაც გაზი იყო და, როგორც რუსული პრესა და პოლიტიკური წრეები იმედოვნებენ, პუტინმა და ალიევიმ საქართველოს ენერგეტიკული „დიეტა“ გამოუწერეს. რუსეთის პრეზიდენტმა აზერბაიჯანელ კოლეგას საქართველოს ხელისუფლებაზე ეფექტურად ზემოქმედების მიზნით კოორდინირებული მოქმედება, ანუ საქართველოს ენერგობლოკადაში მოქცევის საქმეში თანამოაზრობა შესთავაზა. სამაგიეროდ კი, დაბალ ფასად იარაღის მიყიდვასა და აზერბაიჯანის ენერგეტიკაში „რაო ეესისა“ და „რუსსკი ალიუმინის“ ინვესტიციებს დაჰპირდა. გავრცელებული ინფორმაციით, რუსეთისა და აზერბაიჯანს შორის საქონელბრუნვამ ერთ მილიარდ დოლარს მიაღწია, მომავალში კი ამ მაჩვენებლის გაორმაგება იგეგმება (მაშინ, როდესაც

საქართველოსა და რუსეთს შორის ყოველგვარი სავაჭრო ურთიერთობა შეწყდა).

მართალია, ირანული გაზი საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ აზერბაიჯანის გავლით თუ მოხვდება, რუსი ექსპერტების ნაწილი არ ეთანხმება კულუარულ ინფორმაციას მოსკოვის მიერ აზერბაიჯანისთვის იარაღის შეღავათიან ფასად მიყიდვის შესახებ, იმიტომ რომ ასეთი ქმედება სომხეთისთვის, ჯერჯერობით რუსეთის ერთადერთი მოკავშირისთვის სამხრეთ კავკასიაში, სერიოზული დარტყმა იქნებოდა. რუსი ექსპერტები შიშობენ, რომ, თუკი აზერბაიჯანი მოახერხებს რუსეთისგან ბუნებრივი აირის იაფად შესყიდვას, ის ამ იაფ გაზს საქართველოს ძვირად მიჰყიდის და ამ ოპერაციით არცთუ ურიგოდ იხიერებს. რაც მთავარია, სწორედ ამ გაზს დაერქმევა „ირანული“. თავის მხრივ, „რაო ეესს“, რომელიც უკვე ფლობს სომხური ელექტროენერგეტიკის საკონტროლო პაკეტს, აზერბაიჯანის ენერგოსექტორშიც სურს ჩართვა, რათა რუსეთის ტერიტორიაზე ირანული ენერგომატარებლების ტრანსპორტირების საშუალება მიეცეს.

ს ა ბ ა რ ე ო ვ ა ლ ი

მიმდინარე წლის 31 ოქტომბრის მდგომარეობით, საქართველოს საგარეო ვალი და სახელმწიფოს გარანტიით აღებული კრედიტების რაოდენობა 1 764, 612 ათას დოლარს შეადგენს.

საქართველოს ორმხრივი კრედიტორი 16 ქვეყანა ჰყავს და მათი, საერთო ჯამში, 594,551 დოლარი მართებს. კერძოდ:

ავსტრიის - 93,027 ათასი დოლარი, აზერბაიჯანის - 16,624 ათასი დოლარი, თურქმენეთის - 44,218 ათასი დოლარი, თურქეთის - 54,290 დოლარი, ირანის - 11,745 ათასი დოლარი, რუსეთის - 147,140 ათასი დოლარი, ამერიკის შეერთებული შტატების - 41,480 ათასი დოლარი, სომხეთის - 18,077 ათასი დოლარი, უზბეკეთის - 393 ათასი დოლარი, უკრაინის - 359 ათასი დოლარი, ყაზახეთის - 27,774 ათასი დოლარი, ჩინეთის - 3,058 ათასი დოლარი, გერმანიის - 73,970 ათასი დოლარი, იაპონიის - 44, 331 ათასი დოლარი, ქუვეითის - 15, 068

ათასი დოლარი, ნიდერლანდების - 3,027 ათასი დოლარი.

თუმცა საქართველოს საგარეო ვალი მხოლოდ ამით არ ამოიწურება, ჩვენი მევალეების რიცხვში საერთაშორისო ინსტიტუტებიც არიან (მათ მიმართ საქართველოს დავალიანება 1 077,004 ათას დოლარს აღწევს). ესენია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (232,184 ათასი დოლარი); მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (742,791 ათასი დოლარი); სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (9,809 ათასი დოლარი) და ევროგაერთიანება (92,220 ათასი დოლარი). ხოლო სახელმწიფო გარანტიით აღებული კრედიტების რაოდენობა კი 93,057 ათას დოლარს შეადგენს: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა 35,074 ათასი დოლარი გემართებს, გერმანიის კი - 57,983 ათასი დოლარი.

საბუნებო იდეალიზაცია

მაშინ, როდესაც რუსულ-ქართული პოლიტიკონომიკური ურთიერთობები ჩიხშია, რუსული კაპიტალი მინც ფართოდაა წარმოდგენილი საქართველოში და ამის ერთ-ერთი ნათელი დასტური „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საქმიანობაა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მფლობელი რუსული „ვენეტორგბანკია“. თანამშრომლობა იმდენად ნაყოფიერია, რომ „ვენეტორგბანკმა“ „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საკრედიტო რესურსის რაოდენობა 114 მილიონი დოლარიდან 180 მილიონამდე გაუზარდა, რაც ბანკის ადგილობრივი მესვეურების განმარტებით, განსაკუთრებული ხელშეწყობაა, რაც საკმაოდ მცირე

დროის განმავლობაში გამოიჩინეს მათმა რუსმა პარტნიორებმა. თუმცა ხელშეწყობა მხოლოდ ფინანსური ოპერაციებით არ ამოიწურება, უახლოეს მომავალში ბანკი სახელწოდებას შეიცვლის და მას VTB Bank Georgia ეწოდება.

ამჟამინდელი მდგომარეობით „გაერთიანებული ქართული ბანკის“ სანქსედებო კაპიტალი 16 მილიონი ლარით გაიზარდა და 37 მილიონ ლარს მიაღწია. ხოლო ბანკის სახედაშედეგო კაპიტალი კი 63,2 მილიონი ლარია. რაც შეეხება სანქსედებო კაპიტალს: ის „ვენეტორგბანკმა“ და მისმა ქართველმა პარტნიორებმა შეავსეს.

სად ინარჩუნდა ბიუჯეტი

2006 წლის ათი თვის მაჩვენებლების მიხედვით ბიუჯეტის მიერ განეულმა ხარჯმა 2 905,7 მილიონი ლარი შეადგინა. მათგან, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროს 600.2 მილიონი ლარი მოხმარდა,

ენერგეტიკის სამინისტროს – 600.2 მილიონი ლარი (მაგალითად, ტარიფის შესანარჩუნებლად 107.7 მილიონი ლარი დაიხარჯა, სარეზილიტაციო ღონისძიებებისთვის კი – 50.1 მილიონი ლარი),

საგზაო ინფრასტრუქტურის აღსადგენად 140.2 მილიონი ლარი დაიხარჯა,

განათლების სფეროსთვის – 140.2 მილიონი ლარი (მაგალითად, სკოლების ვაუჩერი-

ზაციაზე 155.0 მილიონი ლარი დაიხარჯა, სასწავლო დაწესებულებების რეაბილიტაციაზე – 69.7 მილიონი ლარი, მეცნიერების ხელშეწყობის პროგრამაზე – 12.0 მილიონი ლარი, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა პროგრამებზე 22.9 მილიონი ლარი, სხვა ხარჯებმა კი – 27.3 მილიონი ლარი შეადგინა).

კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთვის 140.2 მილიონი ლარი დაიხარჯა,

იუსტიციის სამინისტროს კი 54.5 მილიონი ლარი მოხმარდა (მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებათა რეაბილიტაცია 30.8 მილიონი ლარი დაჯდა).

ბალუტის კურსი

მართალია, ქართველი ექსპერტები, იმისდა მიხედვით, რომელ პოლიტიკურ ბანაკში იმყოფებიან, ვერ თანხმდებიან ლარის ინფლაციის მაჩვენებელზე, მაგრამ ის კი ორივე მხარისთვის აშკარაა, რომ დოლარის კურსი ლართან მიმართებაში ეცემა, განსაკუთრებით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში. კერძოდ, თუკი ოქტომბრის შუა რიცხვებში ერთი დოლარის ფასი 1,745 ლარი იყო, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ერთი ამერიკული დოლა-

რის ღირებულებამ მაქსიმალურ ნიშნულს, 1,745 ლარს მიაღწია. თუმცა 19 ოქტომბრიდან კლების ტენდენცია შეინიშნა. ეს პროცესი ოქტომბრის თვის მეორე ნახევარში დაიწყო და ნოემბრის დასაწყისამდე გაგრძელდა. ამ პერიოდის განმავლობაში ერთი ამერიკული დოლარის ფასი 11-13 ნოემბერს მინიმალურ ზღვარს მიაუბლოვდა და 1,7325 ლარი შეადგინა, თუმცა შემდგომ დღეებში გამყარება დაიწყო და ეს მაჩვენებელი 1,7350-მდე გაიზარდა.

გვერდები მოამზადა ბნბ პარამიკმა

საქართველოს საგადასახადო სისტემა

საქართველოს საგადასახადო სისტემის განვითარების მიზანმიმართული პროგრამის ფარგლებში



დავით ნარმანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თსუ პროფესორი



ჯამბუჯია ხოკრიშვილი
გერმანიის ქ. პოტსდამის უნივერსიტეტის დოქტორანტი

აღნიშნული ნაშრომი ერთ-ერთი აბტარა თაჰვია ავტორთა ვრცელი ნაშრომების სერიისა, რომელთა ერთობლივობაც შეადგენს მათ მიერ მომზადებულ სახელმძღვანელოს „თანამედროვე ფინანსური მეცნიერების საფუძვლები“. აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოცემა 2007 წლის გაზაფხულზეა დაგეგმილი.

საქართველოს საგადასახადო სისტემის არსი. საქართველოს საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაეყარა 1991-92 წლებში, როდესაც ქვეყანამ ჯერ მიიღო ბრუნვის და გაყიდვიდან გადასახადები, ხოლო შემდგომ დღე და აქციზი. აღნიშნული პერიოდის შემდგომ, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობამ და სისტემამ რამდენიმეჯერ განიცადა არსებითი ცვლილება. ამიტომაც, საქართველოს საგადასახადო სისტემის ისტორიაში სამი პერიოდი გამოიყოფა:

I პერიოდი – 1991-1997 წლები. აღნიშნული პერიოდი (განსაკუთრებით მისი საწყისი წლები) ხასიათდება სოციალ-ეკონომიკური კრიზისით. გადასახადები მინისტრთა კაბინეტის ცალკეული დადგენილებებით იყო დანახებული, არ არსებობდა ერთიანი და მოწესრიგებული საგადასახადო კანონმდებლობა და დაბალი იყო საგადასახადო კულტურა. გადასახადების ამოღება რიგ შემთხვევებში ხდებოდა არა ფულადი, არამედ ნატურალური ფორმით.

II პერიოდი – 1998-2004 წლები. ეს არის საქართველოს პირველი საგადასახადო კოდექსის მოქმედების პერიოდი. კოდექსით განისაზღვრა საგადასახადო სისტემის სტრუქტურა და ფუნქციონირების ზოგადი მექა-

ნიზმი, გადასახადის სახეები, მათი გამოანგარიშებისა და გადახდის წესი, საგადასახადო ორგანოებისა და გადასახადის გადამხდელების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობა და სხვა. აღნიშნული პერიოდის დასაწყისში არსებობდა 18 გადასახადი, ხოლო მოგვიანებით მათ რიცხვს კიდევ 3 გადასახადი დაემატა.

III პერიოდი – 2005 წლის 1 იანვრიდან დღემდე. ადრე მოქმედი საგადასახადო კოდექსი ახალმა საგადასახადო კოდექსმა შეცვალა. ადრე არსებული 21 გადასახადიდან დარჩა მხოლოდ 7 გადასახადი (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალი საგადასახადო კოდექსით ქონების გადასახადმა თავის თავში მოიცვა ადრე არსებული სანარმოთა და ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი, მინის გადასახადი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეთა გადასახადი, ასევე დაემატა ახალი ქვესახეობა თვითმფრინავების, შევუღმფრენების და იახტების (კატარღების) მესაკუთრეთა გადასახადის სახით; საშემოსავლო გადასახადმა თავის თავში მოიცვა ადრე არსებული ქონების გადაცემისათვის გადასახადი, გადაცემული ქონების ფასთაშორის სხვაობის სახით. ამიტომაც, მსჯელობა გადასახ-

ადების ოდენობის 3-ჯერ შემცირების თაობაზე პირობითია), შემცირდა ზოგიერთი გადასახადის განაკვეთები და დაბეგვრის ობიექტები, ასევე სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის თანხების განაწილების მექანიზმები და ოდენობები.

საგადასახადო სისტემა წარმოადგენს, დროის გარკვეულ პერიოდში, კონკრეტულ სახელმწიფოში მოქმედი გადასახადებით დაბეგვრის არსებითი პირობების ურთიერთდაკავშირებულ ერთობლიობას (როგავა ზ. „გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები“, თბ. 2002., გვ. 78.). მოქმედი კანონმდებლობით კი (საქართველოს 2004 წლის 22 დეკემბრის №692-რს კანონი – „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“, მუხლი 7.), საქართველოს საგადასახადო სისტემა მოიცავს:

* საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობის მონაწილეთა სამართლებრივ მდგომარეობას, მათ უფლებებს, მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას;

* გადასახადებს, მათი დაწესების, შემოღების, შეცვლისა და გაუქმების წესებს;

* გადასახადის გადახდისა და საგადასახადო კონტროლის, აგრეთვე საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფის ფორმებს, მეთოდებსა და წესებს;

* საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთობისას წარმოშობილ დავათა გასაჩივრებისა და გადწვევის წესს.

საქართველოს საგადასახადო სისტემა გადასახადების სახეებით შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, ვინაიდან გადასახადები ქონებაზე, შემოსავლებზე და მოხმარებაზე წარმოადგენენ ნებისმიერი საგადასახადო სისტემის საფუძველს. სხვას პრაქტიკა უბრალოდ არ იცნობს (როგავა ზ. „გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები“, თბ. 2002., გვ. 84-85.).

საგადასახადო სისტემის უმნიშვნელოვანესი ელემენტია გადასახადი. საქართვე-

ლოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად გადასახადი არის საქართველოს სახელმწიფო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივ ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი, გადახდის აუცილებელი, არაექვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, საქართველოში მოქმედებს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები. საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები ერთიანია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე და მის ყველა ტერიტორიულ ერთეულში საგადასახადო კოდექსით დაწესებული იდენტური განაკვეთები მოქმედებს. განსხვავებით ამისგან, ადგილობრივი გადასახადების ზედა და ზოგიერთ შემთხვევაში ქვედა ზღვარი დაწესებულია საგადასახადო კოდექსით, ხოლო კონკრეტულ განაკვეთებს ამ ზღვრის ფარგლებში თავიანთ სამოქმედო ტერიტორიაზე ამტკიცებენ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები.

საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადებს განეკუთვნება:

1. საშემოსავლო გადასახადი;
2. მოგების გადასახადი;
3. დამატებული ღირებულების გადასახადი;
4. აქციზი;
5. სოციალური გადასახადი.

ადგილობრივ გადასახადებს განეკუთვნება:

1. ქონების გადასახადი;
 2. სათამაშო ბიზნესის გადასახადი.
- საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს შორის გადასახადების განაწილების წესი განისაზღვრება „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“

საქართველოს კანონით (იხ. ცხრილი №1).

* საგადასახადო პოლიტიკის სისტემის ციკლები;

ცხრილი №1. გადასახადების განაწილება სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის 2007 წლის 1 იანვრიდან

საგადასახადო შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი	ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტი	თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი
საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები			
საშემოსავლო გადასახადი		100.0	
მოვების გადასახადი	100.0		
დამატებული ღირებულების გადასახადი	100.0		
აქციზი	100.0		
სოციალური გადასახადი	100.0		
ადგილობრივი გადასახადები			
ქონების გადასახადი			100.0
სათამაშო ბიზნესის გადასახადი			100.0

* გადასახადების სახეები (გადასახადების სისტემა);

* გადასახადების გადახდევინების პრინციპები, ფორმები და მეთოდები;

* გადასახადის გადამხდელთა უფლებები და ვალდებულებები;

* საგადასახადო ურთიერთობის მონაწილეთა პასუხისმგებლობა;

* გადასახადის გადამხდელთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებები;

* საგადასახადო ორგანოების სისტემა;

* საგადასახადო კონტროლის ფორმები და მეთოდები;

* საერთაშორისო ორმაგი დაბეგვრის პრობლემების გადაწყვეტისადმი მიდგომა და ა.შ.

საგადასახადო სისტემა ხასიათდება ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური მაჩვენებლებით (როგაევა ზ. „გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები“, თბ. 2002., გვ. 78-82.). ეკონომიკურ მაჩვენებლებს პირველ რიგში მიეკუთვნება საგადასახადო ტვირთი.

საგადასახადო ტვირთი (საგადასახადო სიმძიმე) – ეს არის განზოგადებული მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს გადასახადების როლს საზოგადოების ცხოვრებაში და განისაზღვრება, როგორც საგადასახადო შემოსავლების საერთო ჯამის შეფარდება ერთობლივ ეროვნულ პროდუქტთან. საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური სიდიდე ნებისმიერი სახელმწიფოს პრობლემაა.

წმარ: „საგადასახადო, არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების ბიუჯეტებს შორის განაწილების შესახებ“ საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის №937-რს კანონი.


საქართველოს საგადასახადო მოდელის საფუძველს შეადგენენ ორი სახის გადასახადები, რომელთა ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში ყველაზე მნიშვნელოვანია. პირველი სახის გადასახადები დაკავშირებულია შემოსავალთან (მოგებასთან), რომელსაც იღებენ იურიდიული და ფიზიკური პირები შრომითი და სამენარმეო საქმიანობის პროცესში, ხოლო მეორე სახის გადასახადები დაკავშირებულია საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულ ამონაგებთან, ე.ი. ბრუნვასთან (როგაევა ზ. „გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები“, თბ. 2002., გვ. 83.).

საგადასახადო სისტემისათვის დაბეგვრის არსებით მახასიათებელ პირობებს წარმოადგენენ:

* გადასახადების დაწესების, შეცვლისა და გაუქმების წესი;

* საგადასახადო კანონმდებლობის სისტემა და პრინციპები;

საგადასახადო სისტემის მეორე



ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს სა-
შინაო და საგარეო ვაჭრობიდან საგადასახ-
ადო შემოსავლების თანაფარდობა. მაღალ-
განვითარებულ ქვეყნებში, რომლებიც ძირ-
ითადად ახორციელებენ პროდუქციის
ექსპორტს, საექსპორტო გადასახადები
უმნიშვნელოა, ხოლო ბიუჯეტის ძირითად
შენატანებს ქვეყნის შიგნით განხორციელებული
სავაჭრო ოპერაციების დაბეგვრა
წარმოადგენს.

საგადასახადო სისტემის დამახასიათებლად
გამოიყენება პირდაპირი და არა-
პირდაპირი (ირიზი) გადასახადებით დაბე-
გვრის თანაფარდობა. მოცემული თანაფარ-
დობა დამოკიდებულია ქვეყნის განვითარე-
ბის დონეზე, ვინაიდან არაპირდაპირი გა-
დასახადების აკრეფა არ მოითხოვს საგა-
დასახადო აპარატის განვითარებას და გა-
დასახადების გამოანგარიშების დახვეწილ
სისტემას.

საგადასახადო სისტემის ორგანიზაცი-
ის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლი-
ტიკურ-სამართლებრივ მახასიათებელს
წარმოადგენს საგადასახადო სფეროს რეგ-
ულირების საქმეში ხელისუფლების ცენ-
ტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს
შორის კომპეტენციის თანაფარდობა. არ-
სებობს კომპეტენციის თანაფარდობათა
სამი ვარიანტი:

*** პირველი ვარიანტი („სხვადასხვა გა-
დასახადები“)** გულისხმობს გადასახადების
დანესებვისა უფლებებისა და პასუხისმგე-
ბლობების სრულ ან არასრულ გადანაწილე-
ბას. ამ შემთხვევაში ცენტრალური ხელსი-
უფლება დაანესებს გადასახადების ამომ-
წურავ ნუსხას და შემოიღებს საერთო-სახ-
ელმწიფოებრივ გადასახადებს, ხოლო ადგი-
ლობრივი გადასახადების შემოღება ადგი-
ლობრივი ორგანოების ნება-სურვილით
ხორციელდება;


*** მეორე ვარიანტისათვის („სხვადასხ-
ვა განაკვეთები“)** დამახასიათებელია ცენ-
ტრალური ხელისუფლების მიერ გადასახ-
ადების დახურული ნუსხის დანესება,
ხოლო თავის მხრივ ხელისუფლების ადგი-
ლობრივი ორგანოები დაადგენენ გადასახ-
ადის კონკრეტულ განაკვეთებს ცენ-
ტრალური ხელისუფლების მიერ დადგენილ

საზღვრებში;

*** მესამე ვარიანტი („სხვადასხვა შემო-
სავლები“)** მდგომარეობს იმაში, რომ აკრე-
ფილი გადასახადების ჯამი იყოფა სხვადასხ-
ვა დონის ხელისუფლების ორგანოებს
შორის.

როგორც წესი, პრაქტიკაში სამი ან
ორი ვარიანტის კომბინაცია გამოიყენება.
საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით
(საქართველოს 2004 წლის 22 დეკემბრის
№692-რს კანონი – „საქართველოს საგადა-
სახადო კოდექსი“, მუხლები 8-10.), გადა-
სახადები დანესებულია საქართველოს ცენ-
ტრალური ხელისუფლების (საქართველოს
პარლამენტი) მიერ, საერთო-სახელმწიფოე-
ბრივი გადასახადების დანესება, შეცვლა
ან გაუქმება ხდება საგადასახადო კოდექს-
ში სათანადო ცვლილებებისა და დამატე-
ბების შეტანით. ადგილობრივი თვითმ-
მართველობის ორგანოები (საკრებულოე-
ბი) თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში
უფლებამოსილი არიან შემოიღონ მხოლოდ
საგადასახადო კოდექსით დანესებული
ადგილობრივი გადასახადები საქართვე-
ლოს საგადასახადო კოდექსით გან-
საზღვრული ზღვრული ოდენობის ფარ-
გლებში. ადგილობრივი გადასახადების
დანესება ან დანესებულის გაუქმება ხდე-
ბა საგადასახადო კოდექსში სათანადო ცვ-
ლილებებისა და დამატებების შეტანით,
ხოლო გადახდის პირობების შეცვლა ან
შემოღებული ადგილობრივი გადასახადის
გაუქმება – შესაბამისი ადგილობრივი
თვითმმართველობის ორგანოს ნორმატიუ-
ლი აქტით (საკრებულოს გადაწყვეტილე-
ბა). ნებისმიერი გადასახადის აკრეფა,
რომელიც არ არის დანესებული საკანონმ-
დებლო წესით, არამართლზომიერია.
დაუშვებელია საქართველოს საგადასახ-
ადო კოდექსით გაუთვალისწინებელი გადა-
სახადების გადახდის ვალდებულების ვინ-
მესთვის დაკისრება.

გადასახადების გადამხდელებიდან ნებ-
ისმიერი გადასახადის ფაქტიურ აკრეფას
წინ უნდა უსწრებდეს ორი თანამდევრუ-
ლი და ურთიერთდაკავშირებული სა-
კანონმდებლო პროცედურა, რომლებიც გა-
ნაპირობებენ პირის გადასახადით დაბე-



გვრის იურიდიულ შესაძლებლობას. ესენია: გადასახადების დაწესების და გადახდის შემოღების პროცედურები.

გადასახადის დაწესება – პირველადი კანონშემოქმედებითი მოქმედებაა და ნიშნავს იმ ნორმატიული აქტების მიღებას, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება კონკრეტული გადასახადი სახელმწიფოს საგადასახადო სისტემაში.

გადასახადის შემოღება – მეორადი კანონშემოქმედებითი მოქმედებაა და ნიშნავს იმ შესაბამისი ნორმატიული აქტის მიღებას, რომელიც არეგულირებს ამა თუ იმ გადასახადის გამომანგარიშებისა და ბიუჯეტში (სპეციალურ სახელმწიფო ფონდებში) გადახდის წესს.

გადასახადების დაწესება და შემოღება ხორციელდება მკაცრად განსაზღვრული პროცედურის თანახმად. შემოღებული გადასახადი გარკვეული პერიოდის შემდეგ შესაძლებელია გაუქმდეს. **გადასახადის გაუქმება** ნიშნავს დადგენილი წესით მიღებული შესაბამისი ნორმატიული აქტის (კანონის) საფუძველზე გადასახადის გადახდის შეწყვეტას. გადასახადი შეიძლება გაუქმდეს:

* ამა თუ იმ საგადასახადო კანონის გაუქმებით;

* იმ ნორმატიული აქტის მოქმედების ვადის გასვლით, რომლითაც შემოღებული იყო ესა თუ ის გადასახადი.

საქართველოს საგადასახადო სისტემის პრინციპები. დღეისათვის საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრინციპით:


- * სავალდებულობის პრინციპი;
- * ერთიანობის პრინციპი;
- * ელასტიურობის პრინციპი;
- * გადასახადების სიმრავლის პრინციპი;

* ადგილობრივი გადასახადების ამომწურავი ნუსხის პრინციპი.

სავალდებულობის პრინციპი. გადასახადის გადახდის სავალდებულობა გადასახადის დეფინიციაშივეა მოცემული: „გადასახადი არის ... ბიუჯეტებში სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი ...“. ყველა პირი ვალდებულია გადაიხადოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული საერთო-

სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადები, რომელთა მიხედვითაც ეს პირი გადასახადის გამამხდელია. დაუშვებელია საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული დებულებების დარღვევით დაწესებული ან კოდექსით გათვალისწინებული გადასახადის გადახდის ვალდებულების ვინმესთვის დაკისრება, აგრეთვე, საგადასახადო კოდექსით დადგენილ ვადებზე ადრე გადასახადების გადახდევინება. დარიცხული გადასახადი არის ვალი სახელმწიფოს წინაშე და ექვემდებარება ბიუჯეტში აუცილებელ გადახდას. ამასთან, დაუშვებელია ვინმესთვის ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათების დაწესება. გადასახადის გადაუხელობა კი იწვევს საგადასახადო და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ერთიანობის პრინციპი. საფინანსო და საგადასახადო პოლიტიკის, აგრეთვე საგადასახადო სისტემის ერთიანობა განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომლის მე-3 მუხლის თანახმადაც, მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა გამგებლობას მიეკუთვნება სახელმწიფო ფინანსები და სახელმწიფო სესხი; ფულის მოჭრა; საბანკო, საკრედიტო, სადაზღვევო და საგადასახადო კანონმდებლობა (როგავცა ზ. „გადასახადები, საგადასახადო სამართალი და საგადასახადო ურთიერთობები“, თბ. 2002., გვ. 86-89.). გარდა ამისა, საგადასახადო სისტემის ერთიანობის პრინციპი უზრუნველყოფილია საქართველოს სახელმწიფო საგადასახადო ორგანოების ერთიანი ცენტრალიზებული სისტემით. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ტერიტორიული საგადასახადო ინსპექციები წარმოადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის ტერიტორიალურ ორგანოებს და არა ამ სუბიექტების ორგანოებს. სწორედ ამიტომ, დაუშვებელია ისეთი გადასახადების დაწესება, რომლებიც არღვევენ ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, ე.ი. დაუშვებელია ისეთი ადგილობრივი გადასახადების შემოღება, რომლებსაც შეუძლიათ შეზღუდონ საქონლის, სამუშაოების, მომსახურებისა და ფინანსური სახსრების



თავისუფალი გადაადგილება ერთიანი ეკონომიკური სივრცის ფარგლებში.

ელასტიურობის პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ჩამოყალიბდა XIX საუკუნის ბოლოს გერმანელი ეკონომისტის ა. ვაგნერის მიერ, რომელიც აღნიშნავდა გადასახადებით დაბეგვრისას საჯარო ინტერესების პრიორიტეტს კერძო ინტერესებთან შედარებით. ელასტიურობის პრინციპის შესაბამისად, გადასახადები და ზოგიერთი საგადასახადო მექანიზმები შეიძლება ოპერატიულად შეიცვალოს საგადასახადო ტვირთის შემცირების ან გაზრდის მიმართულებით სახელმწიფოს ობიექტური საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციების ცვალებადობის შესაბამისად სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს ადაპტირების და ადეკვატური რეაგირების შესაძლებლობა ახალ ეკონომიკურ და პოლიტიკურ პირობებზე. გარდა ამისა, გადასახადებით დაბეგვრის ელასტიურობა ვლინდება ქვეყნის საგადასახადო კანონმდებლობაში სამართლებრივი ხარვეზების რეგულარულ შევსებაში. უმრავლეს შემთხვევაში, ელასტიურობის პრინციპი ვლინდება გადასახადების გადახდისაგან თავის ამრიდებელ გადამხდელთა ნაწილის აქტიური მოქმედებების საპირისპიროდ, სახელმწიფოს კონტრზომების სახით. ამასთან ერთად ელასტიურობა, პირველ რიგში ნიშნავს საგადასახადო სისტემის ეტაპობრივ განვითარებას, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს მის ხარისხობრივ რეფორმირებას.

გადასახადების სიმრავლის პრინციპი. მოცემული პრინციპის თანახმად, სახელმწიფოს საგადასახადო სისტემა უნდა იყოს დაფუნდებული დიფერენცირებული გადასახადებისა და დაბეგვრის ობიექტების ერთობლიობაზე. სხვადასხვა გადასახადებისა და დაბეგვრის ობიექტების კომბინაციამ უნდა შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც გადაანაწილებს საგადასახადო ტვირთს გადასახადის გადამხდელებზე. გარდა ამისა, აღნიშნული პრინციპის თანახმად, დაუშვებელია „ერთი გადასახადის ბიუჯეტის“ არსებობა, ვინაიდან ეკონომიკური და პოლი-

ტიკური სიტუაციების მოულოდნელმა ცვლილებებმა შეიძლება საფრთხის წინაშე დააყენოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება. გადასახადების სიმრავლე საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, გაატაროს მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა, გაათანაბროს და ფსიქოლოგიურად ნაკლებად შესამჩნევი გახადოს საერთო საგადასახადო ტვირთი, ზემოქმედება მოახდინოს მოხმარებასა და დაგროვებაზე და ა.შ.

ადგილობრივი გადასახადების ამომწურავი ნუსხის პრინციპი. საქართველოს ერთიანი ეკონომიკური სივრცე განაპირობებს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკას საგადასახადო შემოსავლების უნიფიკაციაზე. ამ მიზანს ემსახურება ადგილობრივი გადასახადების ამომწურავი ნუსხის პრინციპი, რომლებიც შეიძლება შემოღებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს შეუძლიათ შემოიღონ მხოლოდ საგადასახადო კოდექსით დაწესებული ადგილობრივი გადასახადები. ე.ი. მათ უფლება არა აქვთ შემოიღონ ისეთი დამატებითი გადასახადები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული საქართველოს კანონმდებლობით, ასევე გაზარდონ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადის განაკვეთები.

საქართველოს საგადასახადო სისტემის ფორმირებისა და ფუნქციონირების ზოგადი პრინციპები, საგადასახადო სისტემაში შემავალი გადასახადების აკრეფასთან და გადახდასთან დაკავშირებული ურთიერთობები, გადასახადის გადამხდელებისა და საგადასახადო ორგანოების სამართლებრივი მდგომარეობა, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა, საგადასახადო ორგანოებისა და მათი თანამდებობის პირების არამართზომიერ მოქმედებათა გასაჩივრების წესი და პირობები რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. აღნიშნული ნორმების ერთობლიობა ქმნის საგადასახადო სამართალს, რომელიც საფინანსო სამართლის ერთ-ერთი ქვედარგია.

კონკურენტული კანონმდებლობა და ბიზნესის გარემო საქართველოში



მალკა გომიაშვილი

ევგენი შვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი


საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლას თან მოჰყვა ქვეყანაში ახალი მოვლენებისა და ცნებების დამკვიდრება, რომლებიც საბაზრო რეფორმების აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ. კერძოდ, მათ განეკუთვნება კონკურენცია, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, კონკურენტული კანონმდებლობა და ანტიმონოპოლიური რეგულირება. იმ ქვეყნებში, სადაც საბაზრო ეკონომიკის პრინციპები თანდათანობით დაინერგა და განვითარდა, კონკურენტული კანონმდებლობის აუცილებლობაც თანდათანობით იქნა შეცნობილი და შემუშავებული. საქართველოში კი ისევე, როგორც სხვა პოსტკომუნისტური ფორმაციის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკაზე რადიკალური გადასვლა განხორციელდა უაღრესად მოკლე პერიოდში, რამაც შესაბამისად მოითხოვა კონკურენტული გარემოს დაჩქარებული ფორმირება, კონკურენციის განვითარების ხელშემწყობი კანონმდებლობის შექმნა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დაუყოვნებლივ შემუშავება და ანტიმონოპოლიური რეგულირების ეფექტური მექანიზმის პრაქტიკული რეალიზაცია.

საქართველოში კონკურენტული კანონმდებლობის შექმნა, რომელიც ანტიმონოპოლიური პოლიტიკის განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, განპირობებული იგივე მიზეზებით, რაც ნებისმიერი სა-

ბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი. კერძოდ, ესაა ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების აუცილებლობა, მონოპოლიზაციის შეზღუდვა, კონკურენციის მხარდაჭერა და საერთოდ, პოლიტიკური დემოკრატიისათვის ეკონომიკური საფუძვლების შექმნა.

ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეადგენს კონკურენციის სტიმულირება და კონკურენტული გარემოსათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ანტიმონოპოლიური რეგულირება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა. ანტიმონოპოლიური რეგულირება კი წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ ჩარჩოებში სახელმწიფოს მიზანმიმართულ საქმიანობას, მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის და სხვა ქმედებათა სანინალმდევოდ, რომლებიც ინვესტან შეუძლიათ გამოინვიონ კონკურენციის შეზღუდვა ან აღკვეთა ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე.

თანამედროვე მსოფლიოში განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების შიდა ბაზრებზე არსებული ეფექტიანი კონკურენცია ხშირად ადგილობრივ კომპანიებს აიძულებს გავიდნენ საზღვრებს გარეთ თავიანთი ბიზნეს-საქმიანობის შემდგომი ზრდისა და გაფართოების შესაძლებლობათა საძიებლად და ახალი ბაზრე-



ბის დასაპყრობად. გლობალიზაციისა და ეკონომიკური კავშირურობების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, კონკურენცია, ისევე, როგორც მისი არალეგალური შეზღუდვის საშუალებები, იქნეს საერთაშორისო ხასიათს. იგი რიც სხვა მოვლენებთან ერთად გამოიხატება, კერძოდ, მთელ მსოფლიოში ამ ბოლო წლებში გამოვლენილი არალეგალური სართაშორისო კარტელების რაოდენობის ზრდითაც, რომელთა მონაწილეებსაც წარმოადგენენ სხვადასხვა ქვეყნების კომპანიები. ამ პირობებში საერთაშორისო მასშტაბით კონკურენციის პრინციპების და საყოველთაოდ აღიარებული კონკურენციის ნორმების ოპტიმალურ დონეზე უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად ძლიერდება საერთაშორისო სამართლის როლი; მაღლდება სახელმწიფოთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობა ორმხრივ და რეგიონალურ დონეებზე და ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარჩოებში.


ეკონომიკის გლობალიზაციის არსებული ტემპები და მასშტაბები სულ უფრო მნიშვნელოვანს ხდის საერთაშორისო ბიზნესის განვითარების კანონზომიერებათა ანალიზსა და ბიზნესის რაციონალური გარემოს კრიტერიუმებთან ამ კანონზომიერებათა კავშირურობების შესწავლას; ამასთან, შეუძლებელია იმ როლის გადაჭარბებით შეფასება, რომელსაც იქნეს საერთაშორისო კონკურენციაში ეროვნული ეკონომიკის ინტერესების დაცვის ეფექტური მექანიზმის შემუშავება და რეალიზაცია. აღნიშნულის განხორციელების მიზნით აუცილებელია უპირველეს ყოვლისა ბიზნესის გარემოს განმსაზღვრელი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტების: კონკურენტული გარემოს, საინვესტიციო და საბაჟო გარემოს, საგადასახადო და სავალუტო რეჟიმის მახასიათებელი პარამეტრების შესწავლა, მათი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ნორმებთან დაწესებთან და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ საერთაშორისო ვალდებულებებთან შესაბამისობის

დადგენა და ევროკანონმდებლობის ეროვნული კანონმდებლობის პარამონიზაციის პროცესის შეფასება, თანამედროვე საერთაშორისო კონკურენტულ, საბაჟო-საგადასახადო, საინვესტიციო და სავალუტო სფეროებში არსებული რეგულირების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტების ანალიზი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა საგარეო სავაჭრო ურთიერთობათა ჩარჩოებში მიმდინარე პროცესებს, რამდენადაც საერთაშორისო ბიზნესს მიკუთვნებულ ეკონომიკურ გარეგებათა დაახლოებით 80% სავაჭრო ხასიათისაა. გულდასმით არის განსახილველი და შესასწავლი კონკურენტული გარემოს ფორმირების კანონზომიერებანი, რადგან სწორედ იგი წარმოადგენს ბიზნესის (მათ შორის საერთაშორისო ბიზნესის და საერთაშორისო ვაჭრობის) განვითარების აუცილებელ და უმნიშვნელოვანეს პირობას.

ბიზნესის გარემოს რაციონალური პარამეტრების ფორმირება და შენარჩუნება დამოკიდებულია ამა თუ იმ ქვეყნის შესაბამის ეროვნულ კანონმდებლობაზე, ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხარისხზე, სატარიფო და არასატარიფო რეგულირების დონეზე, საინვესტიციო, საბაჟო და საგადასახადო რეჟიმზე და განსაკუთრებით კონკურენტული გარემოს არსებობა-არარსებობაზე, თუ მის ხარისხზე. ქვეყნის ხელისუფლებისა და დაინტერესებული ბიზნეს-წრეების ეკონომიკური აქტივობის შედეგიანობაზე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ეფექტიანად გამოყენების საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში არსებული კონკურენტული კანონმდებლობის ხასიათი და კონკურენტული გარემო.

ბუნებრივია, უცხოელ ინვესტორს აინტერესებს ისეთივე ან დაახლოებით ისეთივე სამენარმეო გარემოში ფუნქციონა, როგორიც არის ძირითადად მსოფლიოს განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში (რომელსაც ის უკვე შეჩვეულია) და რომელიც მისთვის მისაღებია.

ბიზნესის განვითარების თანამედროვე



ტენდენციებმა და მისი გლობალიზაციის ხარისხმა განაპირობეს თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობისა და არადისკრიმინაციული ვაჭრობის მოსურნე სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან და მათ შორის საქართველოს მიერ ვალდებულებების ნებაყოფლობით აღება (მათ შორის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში განევრიბანებისას) ეროვნული კანონმდებლობის ნორმების ევროკანონმდებლობის პარამეტრებთან პარამონიზაციის შესახებ და ქვეყნის ტერიტორიაზე კონკურენციის სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების მაქსიმალურად დაცვის თაობაზე /მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2004 წლის 8 მაისის №22 დადგენილებით დამტკიცებულია და ხორციელდება "საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან პარამონიზაციის ეროვნული პროგრამა"/.

მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა ფაქტობრივად ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის;

უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ კონკურენტულ კანონმდებლობას საქართველოში გააჩნია თავისი კონსტიტუციური საფუძველი. ქვეყნის ძირითადი კანონი ცალსახად კრძალავს მონოპოლიურ საქმიანობას და ამასთან, ავალდებულებს სახელმწიფოს, რომ ხელი შეუწყოს კონკურენციის განვითარებას. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, "სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მენარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით."

საქართველოში 2005 წლის 3 ივნისს მიღებულია და იმავე წლის 12 ივლისიდან მოქმედებს კანონი "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ", რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა "მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი და ამ

კანონის ქვემდებარე ნორმატიული აქტები. კონკურენციის მარეგულირებელი ახალი კანონის მიზანს შეადგენს ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმის მიუხედავად, როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის საქართველოში თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციისათვის ბარიერების მოხსნა. კანონმა განსაზღვრა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის იმ აკრძალულ ქმედებათა ნუსხა, რომლებიც ზღუდავენ კონკურენციას; კერძოდ, კანონის მე-7 მუხლის თანახმად, "სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების ყველა ორგანოს ეკრძალება: ა) დაანესოს ეკონომიკური აგენტი-სათვის ისეთი საგადასახადო ან სხვა შეღავათები, რომლებიც კონკურენტებთან (პოტენციურ კონკურენტებთან) შედარებით უპირატესობას ანიჭებს მას და იწვევს კონკურენციის შეზღუდვას; ბ) აკრძალოს, შეაჩეროს ან სხვაგვარად შეაფერხოს ეკონომიკური აგენტის საქმიანობა და დამოუკიდებლობა, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა; გ) საქონლის წარმოების ან რეალიზაციის მონოპოლიზაციის მიზნით შექმნას სახელმწიფო ან ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურები ან უკვე არსებულ სტრუქტურებს მიანიჭოს ისეთი უფლებამოსილება, რომელიც გამოიწვევს კონკურენციის შეზღუდვას; დ) მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს ეკონომიკური აგენტისათვის მონოპოლიური მდგომარეობის მინიჭებას, რაც არსებითად ზღუდავს კონკურენციასა და თავისუფალ ფასწარმოქმნას, გარდა საქართველოს კანონებით დადგენილი გამონაკლისებისა."

კანონი ფაქტობრივად აყალიბებს სახელმწიფო დახმარებებისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების აკრძალვის მექანიზმსა და განსაზღვრავს იმ გამონაკლისებს, რა შემთხვევაშიც შეიძლება ნება დაერთოს მათ გამოყენებას. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანონის მიღებამდე საქართველოს კონკურენტული კანონმდებლობა არ შეიცავდა დახმარებების, შეღა-


ვათებისა და მიზნობრივი პროგრამების განყოფილებას, რაც მის უარყოფით მხარედ ითვლებოდა და არაერთხელ იყო ხაზგასმული როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ექსპერტების მიერ. ამ თვალსაზრისით "თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონი უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია ევროკავშირის საკონკურენციო კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით. კანონი ასევე ყურადღებას უთმობს რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებს და განსაზღვრავს განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა ვალდებულებებს თავის ქსელში ან ინფრასტრუქტურაში სხვა ეკონომიკურ აგენტთა არადისკრიმინაციული პირობებით დაშვების აუცილებლობის თაობაზე.

ცნობილია, რომ საქართველოს კონკურენტული კანონმდებლობა, გარდა აღნიშნული კანონისა, შედგება სხვა მრავალი კანონის, საკანონმდებლო აქტისა და მათი ცალკეული ნაწილებისაგან, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ სფეროში კონკურენტული ურთიერთობების დაცვისა და განვითარების თეორიულ საკითხებსა და ანტიმონოპოლიური რეგულირების პრაქტიკული რეალიზაციის მექანიზმს. კერძოდ, 2005 წლის 2 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ", რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი (IV თავი) ეთმობა "ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბება"-ს; კანონის მითითებული ნაწილი მოიცავს კონკურენციის თეორიასა და პრაქტიკაში საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დაცვის საკმაოდ აპრობირებულ და სრულყოფილ მექანიზმს, რომელსაც ასევე ეყრდნობა ევროკავშირის კონკურენტული კანონმდებლობა. კანონით გათვალისწინებულ მრავალ, კონკურენციის დამცავ მუხლიდან და დებულებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია 21, 22, 23, 27 და 32 მუხლები, რომლებიც არეგულირებენ კონკურენციას და მოიცავენ მომსახურების ბაზრის კვლევისა და ანალიზის პრინციპებს;

ეტაპებს; ასევე მოცემულია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის განსაზღვრისა და მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე. კანონი ადგენს შერწყმის და ნილის შექმნის გამოკვლევის პროცედურას; ამასთან, განსაზღვრავს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალის მქონე ეკონომიკური აგენტების სპეციფიურ ვალდებულებებს, მათ შორის ქსელში სხვა ეკონომიკური აგენტების დაშვებისა და საერთოდ, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. რაც შეეხება კომუნიკაციების სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირების მიზნით საკანონმდებლო აქტებით დადგენილი ზომების განხორციელებას, იგი ევალება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, რომლის უფლებამოსილება სხვა მარეგულირებელ კომისიებთან (საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი ეროვნული კომისია, საქართველოს ტრანსპორტის მარეგულირებელი ეროვნული კომისია) ერთად განსაზღვრულია კანონით "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" (მიღებულია 13.09.2002წ.). ეს კანონი ადგენს კონკურენციის დაცვისა და განვითარების მიმართულებით შესაბამის სფეროებში მარეგულირებელი ორგანოების უფლებებსა და ვალდებულებებს; ინფრასტრუქტურული დარგები, სადაც კონკურენცია შეზღუდულია (ბუნებრივად) და სადაც ძალისმიერი, ან სხვა მეთოდებით კონკურენციის დამკვიდრება აუცილებლად გამოიწვევს უკუეფექტს რესურსების რაციონალური გამოყენებისა და ჯამური კეთილდღეობის ზრდის ასპექტში, სახელმწიფოს მხრიდან ექვემდებარებიან მუდმივ კონტროლსა და რეგულირებას, პირველ რიგში კი ტარიფების დადგენა-დამტკიცებისა და განსაკუთრებული საკუთრების მფლობელის მიერ ინფრასტრუქტურის სფეროში არადისკრიმინაციული პირობებით სხვა ეკონომიკური აგენტების თავისუფალი

58125

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა



დაშვების (გატარების) თვალსაზრისით, რათა მაქსიმალურად იქნეს ერთის მხრივ დაცული მომხმარებელთა უფლებები და მეორეს მხრივ, შეზღუდვებმა რეგულირებად სფეროებში უარყოფითი ზეგავლენა არ მოახდინონ კონკურენტულ გარემოზე სხვა სფეროებში.

ცალკე აღნიშვნას საჭიროებს კონკურენციის დაცვისა და რეგულირების საკითხი საბანკო სფეროში. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად (“საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ” და “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” კანონები) საბანკო საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობა და მათ შორის კონკურენტული ურთიერთობების რეგულირება საბანკო სფეროში აკისრია საქართველოს ეროვნულ ბანკს; ამ კანონებითვეა განსაზღვრული საბანკო სფეროში აღნიშნული ფუნქციების აღსრულების პროცედურა და კონკრეტული მექანიზმი.


საქართველოს ერთიანი საკონკურენციო კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს ასევე “ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ”, “წიაღის შესახებ”, “დაზღვევის შესახებ” და საქართველოს რიგი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების ის თავები, პარაგრაფები და დებულებები, რომელთა დანიშნულებაა შესაბამის დარგსა თუ სფეროში კონკურენტული გარემოს ფორმირება, კონკურენციის დაცვა და ბიზნესის განვითარებისათვის არადისკრიმინაციული, ჯანსაღი სამენარმეო პირობების ჩამოყალიბება-ფორმირებისათვის მაქსიმალური ხელშეწყობა.

ანალიზი იძლევა საფუძველს ითქვას, რომ უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე (1996წელს პარლამენტის მიერ “მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ” საქართველოს კანონის მიღებიდან, თუ არ ჩავთვლით სახელმწიფო საბჭოს მიერ 1992წელს დაჩქარებულად გამოცემულ დეკრეტს “მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ”) საქართველოს კონკურენტული კანონმდებლობა მნიშვნელოვნად შეიყ-

სო და რიგ სფეროებსა და დარგებში ფაქტობრივად დაუახლოვდა საყოველთაოდ აღიარებულ, მათ შორის ევროკავშირში არსებულ საკონკურენციო ნორმებსა და სტანდარტებს. ცხადია, ეს დადებითი მოვლენაა და ხელი უნდა შეუწყოს ბიზნესის მიმზიდველი გარემოს ფორმირებას, რამაც თავის მხრივ საგრძნობლად უნდა გააუმჯობესოს საინვესტიციო კლიმატი როგორც ქართული, ისე უცხოელი ინვესტორებისათვის.

ამასთან, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რიგი პოზიტიური საკანონმდებლო ნორმების მიუხედავად, ჯერჯერობით ჩვენი ქვეყნის კონკურენტული კანონმდებლობა საკმაოდ შორსაა სრულყოფილებისაგან და სამწუხაროდ, მისი ზოგიერთი ნაწილი აშკარად ვერ პასუხობს კონკურენციის თეორიისა და პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს, რადგან მნიშვნელოვნად არის დაცილებული კონკურენციის დაცვისა და რაციონალური კონკურენტული გარემოს მახასიათებელი ადეკვატური საკონკურენციო სამართლებრივი ნორმებისაგან. ეს ეხება უპირველეს ყოვლისა “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ” კანონს, რომელსაც ჩარჩო-კანონის როლი აკისრია საქართველოს კონკურენტულ კანონმდებლობაში როგორც იერარქიული, ისე ფუნქციონალური დატვირთვის თვალსაზრისით და ამდენად, ბუნებრივია უფრო მეტი მოთხოვნებიც წაეყენება. საქართველოს მთავარი საკონკურენციო კანონი, სამწუხაროდ არ არეგულირებს საკონკურენციო სამართლის ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა:

- * დომინირებული მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტების მხრიდან ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
 - * კონკურენციის შემზღუდავი ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები;
 - * სასაქონლო ბაზარზე ეკონომიკური აგენტების შეთანხმებული ქმედებები;
 - * ეკონომიკურ აგენტთა შერწყმები;
 - * განსაკუთრებული საკუთრების მფლობელთა (ბუნებრივი მონოპოლიები) კომპეტენციის სფეროები.
- ეს საკითხი საფუძვლიანადაა განხილული ბ-ნ ს.ფეტყელავას ნაშრომში “კონკურენ-




ციის პოლიტიკის რეალიზაციის შემაფერ-
ხებელი გარემოებები საქართველოში” (ჟურ-
ნალი “სოციალური ეკონომიკა”, №5
2006წ. გვ.106-113), რაც ნაწილობრივ გვან-
თავისუფლებს უფრო დეტალური ანალიზი-
საგან. ზოგადად კონკურენტული კანონმ-
დებლობის და კერძოდ, “თავისუფალი
ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”
საქართველოს კანონის დაუყოვნებლივ
სრულყოფის აუცილებლობას განაპი-
რობებს ორი ძირითადი გარემოება; **ჯერ-
ერთი**, საყოველთაოდაა აღიარებული და
აპრობირებული ზემოთ მითითებული პრობ-
ლემების გადაჭრის აქტუალობა კონკურ-
ენციის დაცვისა და განვითარების კონ-
ტექსტში. ამ პრობლემატიკის გარეშე არა-
თუ გაძნელებულია კონკურენციის შესაბამ-
ისი გარემოს ფორმირება და შენარჩუნება,
არამედ ფაქტობრივად შეუძლებელია ამ
მიზნის მიღწევა. ეს კი, უპირველეს ყოვ-
ლისა, ხელს შეუშლის მცირე და საშუალო
ბიზნესის წარმომადგენლებს თავიანთი
საქმიანობის არადისკრიმინაციულ გარემო-
ში წარმართვის საქმეში. საკმარისია გავიხ-
სენოთ, რომ 1890წელს აშშ-ში პირველი ან-
ტიტრესტული კანონი შერმანის აქტის სახ-
ელწოდებით სწორედ მცირე ბიზნესის წარ-
მომადგენელთა და ფერმერთა დაწოლით
იქნა მიღებული, რომელიც თავის მხრივ გამო-
იწვია ამ უკანასკნელთა საფუძვლიანმა
ეჭვმა და შიშმა თავიანთი ბიზნესის პერ-
სპექტივების თაობაზე. **მეორე**, საქართვე-
ლოს პარტინიარობისა და თანამშრომლო-
ბის შესახებ შეთანხმების და მისგან გამომ-
დინარე ორმხრივი დოკუმენტების შესაბამ-
ისად აქვს რიგი ვალდებულებები საერთა-
შორისო ორგანიზაციების წინაშე კანონმ-
დებლობის სრულყოფის და მათი ჰარმონი-
ზაციის თაობაზე და მათ შორის კონკურ-
ენციის სფეროში. აღნიშნულ ვალდებულე-
ბათა შესრულების ვადები და ხარისხი ალ-
ბათ მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დამოკ-
იდებულებას ჩვენი ქვეყნისადმი და მისი
ეკონომიკისადმი პერსპექტივაში. არ შეი-
ძლება, რომ რეფორმატორული პოლი-
ტიკისა და ეკონომიკის ლიბერალიზაციის
მიზნით მიმდინარე დერეგულირების კონ-

ტექსტში უკანა პლანზე (თუნდაც დერეგულირ-
გადანიოს კონკურენციის პრობლემა-
ტიკამ. უფრო მეტიც, დერეგულირების
პოლიტიკა და საერთოდ წარმატებული
ეკონომიკური რეფორმების პოლიტიკა,
რომელმაც უნდა შექმნას თავისუფლად
ფუნქციონირებადი საბაზრო ეკონომიკა,
ვერ განხორციელდება, თუ ქვეყანაში არ
იარსებებს კონკურენციის დაცვის ძლიერი
სამართლებრივი სისტემა და მისი აღმას-
რულებელი შესაბამისი ინსტიტუტი.

რაც შეეხება კონკურენციის დაცვის
აღმასრულებელ ორგანოს, დღეისათვის ეს
არის ეკონომიკური განვითარების სამინის-
ტროს სახელმწიფო საქვეყნებო დაწესე-
ბულება, მაგრამ “თავისუფალი ვაჭრობისა
და კონკურენციის შესახებ” საქართველოს
კანონის მე-15 მუხლი საქართველოს
მთავრობას ავალდებულებს პარლამენტს
წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო
ცვლილებები არსებული სააგენტოს ბაზა-
ზე მთავრობისაგან დამოუკიდებელი ორგა-
ნოს ფორმირების მიზნით. კანონით
გათვალისწინებული ინსტიტუციონალური
რეფორმა გააფართოებს და განამტკიცებს
სააგენტოს უფლებამოსილებებს, სრულყოფს
სტრუქტურას, ხელს შეუწყობს მისი
საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებასა და
გამჭვირვალობის უზრუნველყოფას.

კონკურენციის დაცვის ფუნდამენ-
ტური პრინციპებისა და დებულებების სა-
ფუძველზე “თავისუფალი ვაჭრობისა და
კონკურენციის შესახებ” საქართველოს
კანონის სრულყოფასა და შესაბამის ინსტი-
ტუციონალურ რეფორმას შეუძლია შექმნას
კონკურენციის დაცვის ძლიერი მარეგუ-
ლირებელი სისტემა, რომელიც უზრუნვე-
ლყოფს დადებით ეფექტს ეკონომიკისათვის
და მის გადასვლას გარდამავალი ეტაპიდან
ფუნქციონირებად საბაზრო ეკონომიკაზე,
გააუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს და
საერთოდ ბიზნესის გარემოს ქვეყნის შიდა
ბაზარზე, ხელს შეუწყობს საექსპორტო
პროდუქციის თავისუფალ გასვლას ევრო-
პისა და სხვა საერთაშორისო ბაზრებზე,
ასევე საქართველოს ეკონომიკის რეალურ
ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარში.



ზოგიერთი მოსაზრება გადასახადების არსის შესახებ

თამაზ ვაშაქიძე

მცირე მენარმეთა კლუბის მენეჯერი;
საქართველოს მენარმეთა კავშირის
აღმასრულებელი დირექტორი

საქართველოში, ქვეყნის დამოუკიდებლობის პერიოდში საგადასახადო პოლიტიკის შესახებ ხშირად იღებდნენ იმავდროულად არარეალურ და შესაბამისად მკვრადშობილ კანონებს. ამასთან პარლამენტარები და მთავრობის წარმომადგენლები ისე მწვავედ კამათობდნენ საგადასახადო სისტემის ხარვეზებზე, თითქოს რამოდენიმე დღის ან თვის წინ თვითონვე არ იხილავდნენ და მხარს არ უჭერდნენ კანონს ან მასში შესატან ცვლილებებს.

ყველასათვის გასაგებია, რომ გადასახადები საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი საკვანძო პრობლემაა. გადასახადების შინაარსზე, განაკვეთებზე და შეღავათებზე დამოკიდებულია ამა თუ იმ დარგის ან მთლიანად მენარმეობის განვითარება ან სტაგნაცია. ერთი სიტყვით, გადასახადები ეკონომიკის რეგულირების უმთავრეს ინსტრუმენტს წარმოადგენენ, რაშიც ქართველი მენარმეები უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საკუთარ გამოცდილებაზე დარწმუნდნენ.


საქართველოში, დღეისათვის აქტიურად მოქმედებს ოცდაათამდე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ლობირებას უწევენ მენარმეობას და კერძოდ მცირე მენარმეობას, ხოლო ლობირების ერთ-ერთ მიმართულებას არსებული საგადასახადო კანონმდებლობის რეალობის და მენარმეების მხრიდან გადასახადების გადახდის უნარიანობის ანალიზი წარმოადგენს. დარწმუნებული ვართ, რომ არასამთავრობოებს ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების პრობლემები ან უხებთ, ხოლო მათი აქტივობა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანასთან დაკავშირებით უდავოდ მისასალმებელია. ამასთან, როგორც ზუღისუფლების

ორივე რგოლის, ისევე ცალკეულ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მხრიდან ქვეყნის გადარჩენის სურვილი ხშირად არ არის დაფუძნებული შესაბამის კომპეტენციაზე და ეკონომიკური პრობლემების რეალურ ცოდნაზე და გააზრებაზე. გადასახადების ახალი განაკვეთების დადგენის მოთხოვნა ან საკუთარი ვარიანტების დაყენებული შემოთავაზება უნდა ემყარებოდეს შესაბამის გაანგარიშებებს, გადასახადების ეკონომიკურ და პოლიტიკურ არს, მათ ფუნქციებს, სხვადასხვა სფეროში მოსალოდნელ შედეგს და ა.შ. აღნიშნულ კონტექსტში გვინდა ჩამოვყალიბოთ ჩვენი შეხედულებები.

სახელმწიფოს გააჩნია თავისი საბაზისო ფუნქციები, რომელთა შესასრულებლადაც იგი არსებობს, აქვს გარკვეული როლი, რომელიც მან უნდა შეასრულოს: თავდაცვა, უშიშროება, ქვეყანაში წესრიგის დამყარება, საგარეო პოლიტიკის გატარება და ა.შ. ამ ფუნქციების შესრულებას წინასწარ გათვლილი შესაბამისი სახსრები და დანახარჯები ესაჭიროება.

გადასახადის არსი საზოგადოების სასარგებლოდ მშპ-ს ღირებულების ნაწილის ამოღებაში მდებარეობს, რომელიც აუცილებელი შენატანის სახით მონაწილეობას ღებულობს ცენტრალიზებული საფინანსო რესურსების ფორმირებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახადების ფინანსურ-ეკონომიკური არსი ვლინდება მშპ-ს ნაწილის გადანაწილებაში.

გადამანაწილებელ საგადასახადო ურთიერთობებში სახელწიფოსთან ერთად მონაწილეობენ დაქირავებული ფიზიკური პირები, რომლებიც თავიანთი შემოსავლების ნაწილს ისდიან და სამეურნეო სუბიექტები, რომ-



ლებიც თავიანთი ბრუნვიდან და მოგებიდან იხდიან გადასახადებს.

ადამ სმიტი გადასახადების გადახდის წყაროების თაობაზე წერდა: „ნებისმიერი ადამიანი პირად შემოსავალს მისთვის კუთვნილ წყაროდან იღებს, ეს შემოსავალი არის ან მისი შრომიდან, ან კაპიტალიდან ან მიწისაგან. შრომისაგან მიღებულ შემოსავალს ხელფასი ჰქვია, კაპიტალიდან მიღებულ შემოსავალს, რომელსაც სუბიექტი საქმეში იღებს – მოგება ეწოდება, ხოლო ვინც საქმეში არ იღებს და მის გასესხებას ცდილობს ასეთ შემოსავალს პროცენტი, მიწიდან შემოსავალს კი რენტა ეწოდება. შესაბამისად ყველა გადასახადი აღნიშნული შემოსავლიდან ხდება. **ბუნებაში გადასახადების გადახდის სხვა წყაროები არ არსებობს.**”

ქვეყნის საგადასახადო სისტემის ხასიათი, საზოგადოებაში არსებული იდეოლოგია და სახელმწიფო მონყობა, გადასახადების საჯაროობის არსზე **ზეგავლენას ვერ ახდენს.** კ. მარქსი გადასახადების საზოგადოებრივ მონყობას ერთ უმთავრეს ბურჟუად მიიჩნევდა: „გადასახადი მთავრობის მკვებავ მატერიალურ ძუძუს წარმოადგენს. გადასახადი - რელიგიასთან, ოჯახთან, საკუთრებასთან, საზოგადოებრივ წესრიგთან ერთად, მესხუთე ღმერთს წარმოადგენს.”

საკუთრივ ეკონომიკურ პროცესებზე გადასახადების გავლენა მრავალმხრივია და მათი ფუნქციების მეშვეობით მულჯანდება, ხოლო ფუნქციები, სახელმწიფოს ეკონომიკურ და საბიუჯეტო-საფინანსო სისტემაში მათი დანიშნულებით განისაზღვრება.

შეგვიძლია გამოვყოთ გადასახადების ძირითადი ეკონომიკური ფუნქცია, რომელსაც გააჩნია ორი შემადგენელი: ფისკალური და მარეგულირებელი. აგრეთვე გამოვყოფთ გადასახადების მასტიმულირებელ ფუნქციას, რომელიც სახელმწიფოს, საგადასახადო შეღავათებით და პრეფერენციების გამოყენებით, აძლევს საშუალებას იქონიოს გავლენა კვლავწარმოების პროცესებზე და მონოდებულებსავე. შეიძლება აგრეთვე ვისაუბროთ გადასახადების პოლიტიკურ ფუნ-

ქციებზე და ასეთი შეხედულებების გამოყენებით გადასახადების გავლენით საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე. ამასთან, მათ საკონტროლო ინსტიტუტის ფუნქციები შეიძინეს. ვფიქრობთ, რომ საზოგადოების პოლიტიკური და საგადასახადო სისტემებს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს: არაპირდაპირი გადასახადები გაუმჭირვალეს ხდის სახელმწიფოს მიერ ცალკეული გადამხდელისაგან მიღებული თანხების ოდენობას, რაც თავისთავად თვითმართველობისაკენ სწრაფვას ახრჩობს. პირდაპირი გადასახადები კი აიძულებს მთავრობას გადამხდელების მიერ შემოტანილ ფულის მხარჯველებზე შემომონებლის როლი ითამაშოს.


არაპირდაპირი გადასახადების სისტემისას მოსახლეობის მონანილეობა სახელმწიფოს მართვაში მინიმალურია (სახელმწიფოს არადემოკრატიული ფორმა). პირდაპირი გადასახადები დემოკრატიული ორიენტაციის ქვეყნებს ახასიათებს (მაგალითად აშშ-ში არ არსებობს დღეს გადასახადი, რომელიც არაპირდაპირ გადასახადებს მიეკუთვნება). აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ და საგადასახადო სისტემებს შორის არის პირდაპირი კავშირი, მაგრამ **საგადასახადო სისტემა პოლიტიკური სისტემის წარმოებულა და მისგან არის განპირობებული, რის გამოც ვერავითარ შემოქმედებას ვერ ახდენს პოლიტიკური სისტემის შეცვლაზე ან განვითარებაზე.**

გვინდა მაქსიმალურად ფართოდ ჩამოვთვალოთ გადასახადების ფუნქციების მიმართულებათა არსი, რათა შესაძლებლობისამებრ ამოვწუროთ განმარტებების რაოდენობა.

საბადასახადო ფუნქციების რიგს მივაქოვნება:

1. ფისკალური.
2. ეკონომიკური.
3. განმანანილებელი (გადამანანილებელი, სოციალური).
4. საკონტროლო.
5. ნამახალისებელი.
6. მარეგულირებელი.

ზოგიერთი ფუნქციების არს დამატებით შემდეგნაირად განვმარტავთ:



1. კონსტიტუციური – ქვეყნის რეგიონების და ტერიტორიული ერთეულების ერთობლივ საგადასახადო სისტემაში მოქცევა და საგადასახადო ფედერალიზმის საკონსტიტუციო საფუძვლების რეალიზაცია.

2. გამორჩინიერებალი – ერთიანი ბაზრის შექმნის ინტერესებიდან გამომდინარე ერთიანი რეალური საგადასახადო სისტემის შექმნა.

3. ფისკალური – ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების უზრუნველყოფა.

4. მასტიმულირებალი – სოციალური აქტივობის, სანარმოო საგადასახადო სანქციების და საგადასახადო შეღავათების სისტემის რეგულირება.

5. გამონტროლებალი – სახელმწიფოს მიერ საგადასახადო ადმინისტრირების მეტოდების გამოყენებით ფინანსური საქმიანობის კონტროლი და კოორდინაცია.

6. ღარბთაშორისი – ეკონომიკის და ფინანსების სფეროში თანამედროვე სამართლის განვითარების ინტერესებისა და საგადასახადო ურთიერთობების გაცენა სამართლებრივი და ფინანსური სფეროების ურთიერთობის და შეთანხმების პირობების წარმოშობაზე.

7. სამართლებრივი – საგადასახადო კანონმდებლობის და მისი კოდირების ნორმების სისტემის ფორმირება.

8. საბარეო-აქონოშიკური – საგარეო-ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფით და უცხოური ინვესტიციების სპეციალური საგადასახადო რეჟიმით, სავალუტო და საბაჟო აუცილებელი გადასახადების რეგულირებით სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვა.

ჩამოთვლილი ფუნქციების მიმართულებები პირდაპირ მიგვიჩვენებენ, რომ გადასახადების ფუნქციების პირდაპირ და მართებულ არს ყოვლისმომცველად მაინც ორი მიმართულება ახასიათებს: ფისკალური და მარეგულირებელი.

ფისკალური ფუნქცია (ლათ. fiskus - კალათა) მონოდედებულია სახელმწიფო ხარჯების ფინანსირებისათვის, უზრუნველყოს საბიუჯეტო შემოსავლები. ამასთან, სახელმწიფო

ხარჯებს გააჩნია კანონზომიერი ტერიტორიული სისტემატური ზრდისაკენ, რაც შესაბამისად საგადასახადო შემოსავლების გაზრდას მოითხოვს, რომელიც რეალურად ბიუჯეტის დაგეგმვაში და გადასახადების ოდენობის ფაქტიურ შემოსვლაში ვლინდება. თუმცა, გადასახადების გადამეტებული ფისკალური მიმართულება და გაუსაძლისი საგადასახადო ტვირთი ინვესს უკუეფექტს. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები ჯ. გვარტნი და რ. სტროუში ასეთ კომენტარს უკეთებენ ამ მოვლენას: „მაღალი და ზღვრული საგადასახადო განაკვეთები ამცირებენ ნაციონალურ პროდუქტს და ნაციონალურ შემოსავალს შემდეგი სამი მიზეზის გამო:

1. მაღალი განაკვეთები თავდადებით მუშაობის სურვილს კლავენ და ამცირებენ შრომის წარმადობას. საგადასახადო ტვირთის ზღვრულ ოდენობამდე მიღწევა (55-60%) მენარმეს გამომუშავებულის ნახევარზე ნაკლებს უტოვებს. ვისაც არ შეუძლია თავისი გამომუშავებულის ნახევარზე მეტი დაიტოვოს, უფრო მეტი გამომუშავების სწრაფვას კარგავს. ასეთ შემთხვევაში ზოგი უბრალოდ თავს დაანებებს სამუშაოს, ზოგი სამუშაოს ნაკლებ დროს მოანდომებს, ვიღაცა უფრო ადრე გავა პენსიაზე. მენარმე იძულებული იქნება რომელიმე პერსპექტიული საქმე შეაჩეროს. ზოგიერთ შემთხვევაში მაღალი საგადასახადო განაკვეთები აიძულებენ ყველაზე შრომის უნარიან მოსახლეობას გაემგზავრონ იმ ქვეყნებში, სადაც უფრო დაბალი გადასახადებია (გავისხენოთ ის მილიონამდე ჩვენი თანამემამულე, რომელთა დიდი ნაწილი რუსეთში საქმიანობს, სადაც მცირე მენარმეებს გააჩნიათ ალტერნატივა აირჩიონ ერთადერთი გადასახადი ბრუნვიდან - 6% ან მოგებიდან - 15%. გადასახადების გადახდის ალტერნატიული ვარიანტი ბრუნვის ან მოგების ოდენობის ფიქსირებული პროცენტით ჩვენს მიერ შეთავაზებული იყო ხელისუფლებისადმი, მაგრამ გამომხაურება არ ჰპოვა. თ. გ.)

2. მაღალი საგადასახადო განაკვეთები კაპიტალდაბანდებების, როგორც მამტაბებს ისე მათ ეფექტიანობას ამცირებს, აშინებენ უცხოელ ინვესტორებს, ხოლო შინ-



აურებს აიძულებენ მოძებნონ საინვესტიციო პროექტები საზღვარგარეთ, სადაც გადასახადები უფრო დაბალია, ეს ყველაფერი ინვესტორს კაპიტალის განახლების ტემპების შემცირებას და შესაბამისად ეკონომიკური ზრდის დესტიმულირებას... იზრდება იმ სანარმოთა რიცხვი, რომლებიც საგადასახადოს მოხელეს უმაღლეს შემოსავალს.

3. მაღალგანაკვეთიანი საგადასახადო სისტემის თანამდევებია ეკონომიკური დანაკარგები და არაეფექტიანობა... არ არის ძნელი იწინასწარმეტყველო, რომ იმ ქვეყნის შემოსავლების დონე, რომელიც მაღალ საგადასახადო განაკვეთებს ამკვიდრებს, პოტენციურად შესაძლო დონის ბევრად დაბლა დაცემა.

გადასახადები, თავისი ფისკალური ფუნქციის შესრულებისას მხოლოდ „საქონელი-ფული“ და „ფული-საქონელი“ ოპერაციების დროს ახდენენ გავლენას კაპიტალზე, შესაბამისად საგადასახადო სისტემის რეგულირება გავლენას ახდენს წარმოების და მოხმარების სტადიაზეც. მაგალითისათვის საკმარისია აღვნიშნოთ არაპირდაპირი გადასახადები და ზოგიერთ ქვეყანაში საგადასახადო შეღავათების ქსელი. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს ეძლევა საშუალება ზემოქმედება აწარმოოს არა მარტო საქონლის, არამედ კაპიტალის მასობრივ მოთხოვნაზე და მიწოდებაზე, ვინაიდან შემოსავალი, მოსახლეობის ძირითადი მოთხოვნის და წარმოების ფაზაში კაპიტალის ფუნქციონირების საბოლოო შედეგს წარმოადგენს. აქვე დავუმატებთ, რომ აუცილებელია სანარმოების ცალკეული კატეგორიების და მცირე რენტაბელური, მაგრამ სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგების წარმოებების და მომსახურების საგადასახადო მხარდაჭერა.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქვეყანაში სოციალური პარიტეტის მხარდასაჭერად, რომელსაც ხშირად აუღერებენ ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლები, აუცილებელია, რომ საგადასახადო სისტემის მიმართული იქნეს ცალკეულ სოციალურ ჯგუფებს შორის გადასახადების ადეკვატურობისაკენ. სამწუხაროდ სანინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს ახალ კოდექსში მიღე-

ბული 12% საშემოსავლო გადასახადი.

რა შეღავათი მისცა საშემოსავლოს 12%-მა განაკვეთმა (რომელიც ძველ კოდექსში იგივე იყო) 200 ლარიანი ხელფასის მქონე ადამიანს? – არაფერი, ხოლო 3000 ლარიანს დაემატა 209 ლარი.

გადასახადის მარეგულირებელი ზემოქმედება შეიძლება მიღწეულ იქნას დღეს და აქციზის მაღალი განაკვეთების შემცირებით, რეგრესული საგადასახადო სისტემის გამოყენით, რეალური დაუბეგრადი მინიმუმის შემოღებით და ა.შ.

ასეთი მეთოდების გამოყენებით სახელმწიფო დაარეგულირებს მოსახლეობის მსყიდველუნარიანობას და შეძლებს გავლენა მოახდინოს წარმოების მხრიდან მიწოდებაზე, ხოლო მოსახლეობის - მოთხოვნაზე. გადასახადების ზემოქმედება კვლავწარმების პროცესებზე ხდება არა პირდაპირი, არამედ სამართლებრივი ხერხების და საშუალებების ერთობლიობის მეშვეობით, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება: გადასახადების სახეების სისტემის და სტრუქტურის შეცვლა; განაკვეთების დიფერენციაცია; საგადასახადო შეღავათების გამოყენება, ობიექტური მიზეზების საფუძველზე სანარმოების გადასახადებისაგან განთავისუფლება ან გადასადის ვადების გადანევა, საგადასახადო ან საგადასახადო-ინვესტიციური კრედიტის გამოყოფა; საგადასახადო დავალიანებების რესტრუქტურინაცია; ჩათვლების ინსტიტუტის გამოყენება, ზედმეტად გადახდილი ან ამოღებული თანხის დაბრუნება.

სისტემური კრიზისის, გადასახადების მასობრივი გადაუხდელობის და ქვეყნის ეკონომიკაში სხვა უარყოფითი მოვლენების პირობებში, ხელისუფლება აიძულებს საგადასახადო სტრუქტურას მიზნად დაისახოს ბიუჯეტში ფულადი სახსრების არარეალური შესვლა, ანუ აშკარად ახორციელებს გადასახადების მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას, რომელიც მენარმეობისათვის და განსაკუთრებით მცირე მენარმეობისათვის აბსოლუტურად მიუღებელია და ეკონომიკის ასექტორი სრულ განადგურებამდე ან მთლიანად ჩრდილში გადასვლამდე მიჰყავს.



ბადი განმარტებები. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მნიშვნელოვანი გაურკვეველობები წარმოიქმნას.

იჯარა ფინანსურია თუ ჩვეულებრივ, დამოუკიდებელი გარიგების შინაარსზე და არა ხელშეკრულების იურიდიულ ფორმაზე.

შეიძლება არსებობდეს სიტუაციები, რომლებიც ჩვეულებრივ, ცალკე ან კომბინირებულად განაპირობებს იჯარის კლასიფიცირებას ფინანსურ იჯარად. ასეთებია:

- იჯარის ხელშეკრულების თანახმად მოიჯარეს გადაეცემა აქტივის საკუთრების უფლება იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ;
- მოიჯარეს უფლება აქვს აქტივი შეიძინოს ისეთი ფასით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მნიშვნელოვნად დაბალი იქნება აქტივის რეალურ ღირებულებაზე, რომელიც მას ექნება უფლების გამოყენების მომენტში, ხოლო იჯარის დასაწყისისათვის გონივრული რწმენა, რომ ეს უფლება უფლება გამოყენებული იქნება;

- იჯარის ვადა მოიცავს აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითად ნაწილს, მაშინაც კი, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა არ ხდება;

- იჯარის დასაწყისისათვის მინიმალური საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული ღირებულება შეადგენს მინიმუმ იჯარით გაცემული აქტივის პრაქტიკულად მთლიან რეალურ ღირებულებას; და

- იჯარით გაცემულ აქტივებს აქვს სპეციფიკური შინაარსი და მხოლოდ მოიჯარეს შეუძლია მათი გამოყენება არსებითი მოდიფიკაციის გარეშე.

ბასს-ის მიხედვით, გარემოებები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვა გარემოებებთან ერთად განაპირობებს იჯარის კლასიფიკაციას ფინანსურ იჯარად, შემდეგია:

- თუ მოიჯარეს შეუძლია იჯარის შეწყვეტა, მას დაეკისრება ზარალი, რომელსაც მიიჯარე მიიღებს იჯარის გაუქმების შედეგად;

- ნარჩენი რეალური ღირებულების მერყეობის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი წილად ხვდება მოიჯარეს (მაგალითად, საიჯარო გადასახდელის ფასდაკლების სახით, რომელიც იჯარის ვადის ბოლოს გაყიდვიდან მიღებული ამონაგების უმეტესობის ტოლია); და

- მოიჯარეს შეუძლია იჯარა მეორადი პერიოდით გააგრძელოს, საბაზრო საიჯარო გადასახდელზე მნიშვნელოვნად ნაკლები საიჯარო გადასახდელით.


იჯარის ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება ბისათვის მოტანილი სიტუაციები და გარემოებები ყოველთვის არ არის საბოლოო. „თუ სხვა ნიშნები მიუთითებს, რომ საიჯარო ხელშეკრულების მიხედვით, საკუთრებიდან გამომდინარე რისკისა და სარგებლის არსებითი ნაწილი არ გადაეცემა, მაშინ ასეთი იჯარა კლასიფიცირდება, როგორც საოპერაციო“. (ბასს 17, მ.12). მაგალითად, ასეთი შეიძლება მოხდეს, თუ აქტივზე საკუთრების უფლება გადაეცემა იჯარის ვადის ბოლოს, ცვალებადი გადახდით, რომელიც ამომენტისათვის აქტივის რეალური ღირებულების ტოლია, ან როდესაც საიჯარო გადასახდელები პირობითია, რის გამოც მოიჯარე არსებითად არ ფლობს ყველა რისკსა და სარგებელს.

იჯარის განმარტება მოიცავს ისეთ საიჯარო ხელშეკრულებებსაც, რომლებიც ხელშეკრულებით განსაზღვრული სათანადო პირობების შესრულების შემთხვევაში, ითვალისწინებს მოიჯარისათვის საკუთრების უფლების გადაცემას.

ასეთი ტიპის იჯარას უწოდებენ იჯარას გამოსყიდვის უფლებით.

იჯარით შეიძლება გაცემულ (აღებულ) იქნას მიწა და შენობა-ნაგებობები. მათი კლასიფიკაცია ფინანსურ და ჩვეულებრივ იჯარად სხვა აქტივების ანალოგიურად ხდება. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნას ის, რომ მიწას გააჩნია ეკონომიკური მომსახურების განუსაზღვრელი ვადა. მაშასადამე, თუ მოსალოდნელია, რომ მოიჯარეს იჯარის ვადის დამთავრების შემდეგ არ გადაეცემა მიწაზე საკუთრების უფლება, მოიჯარე მისი დროებითი მფლობელობის პერიოდში ფაქტიურად არ ფლობს მასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, ასეთი იჯარა ჩვეულებრივ იჯარად კლასიფიცირდება. რაც შეეხება მიწის იჯარით გაცემისას მისი მფლობელისათვის გადახდილ თანხას, იგი წარმოადგენს წინასწარ გადახდილ საიჯარო გადასახდელს, რომელიც ამორტიზდება იჯარის ვადის განმავლობაში მიღებული სარგებლის სტრუქტურის მიხედვით ხდება.

იჯარის კლასიფიკაციის მიზნით, საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწისა და შენობა-ნაგებობების ელემენტები ცალ-ცალკე განიხილება. იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე ელემენტზე, როგორც მიწაზე, ასევე შენობა-ნაგებობებზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის ბოლოს მოიჯარეს გადაეცემა, ორივე ელემენტი განიხილება ერთ იჯარად და იგი ფინანსურ



იჯარად კლასიფიცირდება. რაც შეეხება მიწის ნაკვეთის იჯარას, იმის გამო, რომ მიწას გააჩნია განუსაზღვრელი ეკონომიკური მომსახურების ვადა, მისი ელემენტი კლასიფიცირდება, როგორც ჩვეულებრივი იჯარა, თუ მოსალოდნელი არაა, რომ იჯარის ვადის ბოლოს საკუთრების უფლება მოიჯარეს გადაეცემა, ხოლო შენობა-ნაგებობის ელემენტი კლასიფიცირდება ფინანსურ ან ჩვეულებრივ იჯარად ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ბასს 17-ით აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად.

მიწასა და შენობა-ნაგებობებთან დაკავშირებული იჯარის აღრიცხვისას, მინიმალური საიჯარო გადასახდელი ამ ორ ელემენტს შორის პროპორციულად უნდა განანიღდეს იჯარის დასაწყისში, თუ ეს შესაძლებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთლიანი იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ ან ჩვეულებრივ იჯარად.

ბასს-ის მიხედვით იჯარა შეიძლება იყოს შეუქცევადი. შეუქცევადი იჯარა ისეთი ტიპის იჯარაა, რომლის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ:

- გაუთვალისწინებელი მოვლენის შედეგად, რომელსაც პირდაპირი კავშირი არა აქვს იჯარასთან;
- მეიჯარის ნებართვით;
- თუ მოიჯარე აპირებს იმავე აქტივის იჯარის განახლებას ან სხვა ანალოგიური აქტივის იჯარით აღებას იმავე მეიჯარისაგან;
- მოიჯარის მიერ დამატებითი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება თავიდანვე ითვალისწინებდა აღნიშნული თანხის გადახდას იჯარის გაგრძელების შემთხვევაში.

2. ფინანსური იჯარის აღრიცხვა

ა. ფინანსური იჯარის აღრიცხვა მოიჯარესთან:

ბასს 17-ის მიხედვით, მოიჯარის ბალანსში ფინანსური იჯარა აქტივისა და შესაბამისი ვალდებულების სახით უნდა იქნას აღიარებული. „იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ ფინანსური იჯარა თავის ბალანსში უნდა აღიაროს როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით, რომლებიც ვაანგარიშებულია იჯარის დასაწყისში. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დის-

კონტირებული ღირებულების გამსაზღვრელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნას მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას“. (ბასს 17, მ. 20).

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილს“ პრინციპით.


მინიმალური საიჯარო გადასახდელები არის თანხა, რომლის გადახდა მოეთხოვება ან შეიძლება მოეთხოვოს მოიჯარეს იჯარის ვადის გასვლამდე, მეიჯარისათვის ასანაზღაურებელი პირობითი საიჯარო ქირის, განეული მომსახურების დანახარჯებისა და გადახდილი გადასახადების გარდა, შემდეგ გადასახდელებთან ერთად:

- მოიჯარისათვის – მოიჯარის ან მასთან დაკავშირებული რომელიმე პირის მიერ გარანტირებული თანხები;
- მეიჯარისათვის – ნებისმიერი ნარჩენი ღირებულება, რომელიც გარანტირებულია მოიჯარის, მასთან დაკავშირებული პირის ან ნებისმიერი მესამე პირის მიერ, რომელსაც შეუძლია ამ გარანტიის ფინანსურად შესრულება.

თუ მოიჯარეს აქტივის ისეთი ფასით გამოსყიდვის უფლება აქვს, რომელიც გამოსყიდვის თარიღისათვის სავარაუდოდ აქტივის რეალურ ღირებულებაზე გაცილებით დაბალი იქნება, მაშინ მინიმალური საიჯარო გადასახდელები მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში გადასახდელი საიჯარო ქირის მინიმალურ თანხას და აქტივის გამოსასყიდ თანხას.

მინიმალური საიჯარო გადასახდელების გაანგარიშება დისკონტირების გზით ხდება. დისკონტირებისას საიჯარო ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება, ხოლო თუ საიჯარო ხელშეკრულების საპროცენტო განაკვეთის დადგენა შეუძლებელია – ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება.

მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი ის განაკვეთია, რომლის გადახდაც მოიჯარეს მოუწევდა ანალოგიური იჯარისათვის ან თუ ამის დადგენა შეუძლებელია, საპროცენტო განაკვეთით, რომელსაც იჯარის დასაწყისში მოიჯარე გადაიხდიდა ამ აქტივის შესაძენად



საჭირო ოდენობის სესხისათვის, იმავე პერიოდზე, ასეთივე უზრუნველყოფით.

სამეურნეო ოპერაციებისა და სხვა მოვლენების ასახვა და წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ეყრდნობოდეს ოპერაციის ბუნებას, მის ფინანსურ არსს და არა უბრალოდ მის სამართლებრივ ფორმას. ფინანსური იჯარის არსებობის დამადასტურებელი არსებითი ნიშანია ის, რომ მოიჯარეს გადაეცემა საიჯარო აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის ძირითადი ნაწილის განმავლობაში აქტივის გამოყენებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი. თუ ფინანსური იჯარა არ არის ასახული მოიჯარის ბალანსში, ეს ნიშნავს საწარმოს ეკონომიკური რესურსებისა და ვალდებულებების შემცირებას, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. ამიტომ აუცილებელია, ფინანსური იჯარა აღიარებულ იქნას მოიჯარის ბალანსში ერთის მხრივ, აქტივისა და მეორეს მხრივ, მომავალში გადასახდელი საიჯარო ვალდებულების სახით. იჯარის ვადის დასაწყისისათვის, მოიჯარის ბალანსში იჯარასთან დაკავშირებული აქტივი და ვალდებულება ერთი და იმავე თანხით უნდა აისახოს. თუ ბალანსში ვალდებულებები დაჯგუფებულია მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად, ასევე უნდა მოხდეს საიჯარო ვალდებულებების გამიჯვნაც.

მინიმალური საიჯარო გადასახდელი უნდა განაწილდეს დარიცხული ფინანსური ხარჯებისა და გადაუხდელი ვალდებულებების შემცირების პროპორციულად. ფინანსური ხარჯები იჯარის მთლიანი ვადის განმავლობაში, თითოეულ საანგარიშგებო პერიოდზე იწესდება უნდა განაწილდეს, რომ წარმოიქმნას მთლემივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულებების ნაშთის მიმართ.

პრაქტიკაში ფინანსური ხარჯების იჯარის მთელ ვადაზე განაწილებისას, ხშირად იყენებენ მიახლოებითი შეფასების მოდელს.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად, წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. მოიჯარის მიერ იჯარით აღებული

ძირითადი საშუალებების ცვეთის აღრიცხვის წესი საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას უნდა შეესაბამებოდეს. თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იჯარის ვადის გასვლის შემდეგ აქტივებზე საკუთრების უფლების გადაცემას მოიჯარეზე, აქტივი მთლიანად უნდა ჩამოინეროს იჯარის ვადასა და მის სასარგებლო მომსახურების ვადის შორის უმცირესი პერიოდის განმავლობაში.

საიჯარო აქტივის ცვეთის ანარიცხებისა და ფინანსური ხარჯების შესაბამისი თანხების ჯამი, როგორც წესი, არ ემთხვევა კონკრეტული საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელის ვალდებულებას. ამიტომ, მიზანშეწონილი არ არის გადახდას დაქვემდებარებული საიჯარო გადასახდელის აღიარება ხარჯის სახით. აქედან გამომდინარე, აქტივებისა და მათი შესაბამისი ვალდებულებების თანხები იჯარის ვადის დასაწყისის შემდგომ პერიოდში ერთმანეთის ტოლი ვერ აღმოჩნდება.


მაგალითი

ფინანსური იჯარის აღრიცხვა მოიჯარესთან:

საწარმომ ფინანსური იჯარით მიიღო შენობა შემდეგი პირობით:

- ვალდებულების საერთო თანხა - 40000 ლარი;
- იჯარის ვადა 4 წელი;
- მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი - 12%;
- ყოველწლიურად გადასახდელი თანხა -10000;
- დისკონტირების კოეფიციენტი 3,0373.
- საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ღირებულება - 30373 ლ.; (10000X3,0373).

განანგარიშება:				
წლები	ყოველწლიური გადახდები			საიჯარო ვალდებულება
	სულ	მათ შორის		
		საპროცენტო ხარჯი (12%)	საიჯარო ვალდებულება	
				30373
1 წელი	10000	3645	6355	24018
2 წელი	10000	2882	7118	16900
3 წელი	10000	2028	7972	8928
4 წელი	10000	1072	8928	0
სულ	40000	9627	30373	



მაშასადამე, საიჯარო ვალდებულებების თანხა (40000 ლ.) ორი ნაწილისაგან, ძირითადი თანხის, ანუ აქტივის ღირებულებისა (30373 ლ.) და ფინანსური (საპროცენტო) ხარჯისაგან (9627 ლ.) შესდგება. ამასთან, საპროცენტო გადასახდელი ბასს-ის მოთხოვნის თანახმად, განაწილებულია იჯარის მთელ ვადაზე, ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ვალდებულების ნაშთის მიმართ მუდმივი საპროცენტო განაკვეთის (12%) გამოყენებით.

ფინანსური იჯარის ოპერაციები მოიჯარის ბუნალტრულ აღრიცხვაში აისახება:

1. აქტივის მიღება რეალური ღირებულებით:

- ღ-ტი შენობები - 30373,
- კ-ტი ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე - 30373;

2. გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილის გამოყოფა:

- ღ-ტი ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე - 6355,
- კ-ტი ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი - 6355;

3. ფინანსური ხარჯის (გადასახდელი პროცენტის) აღიარება:

- ღ-ტი საპროცენტო ხარჯი - 3645,
- კ-ტი გადასახდელი პროცენტები - 3645;

4. საიჯარო გადასახდელის გადახდა:

- ღ-ტი ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი - 6355,
- ღ-ტი გადასახდელი პროცენტები - 3645,
- კ-ტი ფულადი საშუალებები - 1000;

5. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, იჯარით აღებული აქტივის ცვეთის დარიცხვა მოხდება საწარმოს მიერ შემუშავებული პოლიტიკის მიხედვით:

- ღ-ტი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი,
 - კ-ტი შენობის ცვეთა.
- და ა. შ. ყოველწლიურად, პირველი ოპერაციის გარდა.


ბ. ფინანსური იჯარის ბუნალტრული აღრიცხვაში
მეიჯარესთან:

მეიჯარეების მიერ ფინანსური იჯარის თავდაპირველი აღიარება უნდა მოხდეს ბალანსში აქტივის სახით. „ფინანსური იჯარის დროს მეიჯარეებმა აქტივი უნდა აღიარონ თავიანთ ბალანსში და წარმოადგინონ იგი დებიტორული დავალიანებების სახით, წმინდა საიჯარო ინვესტიციის ტოლი თანხით“ (ბასს 17, მ.36). მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია შესდგება ფინანსური იჯარისათვის მეიჯარის მიერ მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელის საერთო თანხისა და მის სასარგებლოდ დაგროვებადი ყველა არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულების* თანხისაგან, ხოლო წმინდა (ნეტო) საიჯარო ინვესტიცია არის საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიცია.

მეიჯარეებისათვის ფინანსური იჯარის დამახასიათებელი არსებითი ნიშანია ის, რომ საიჯარო აქტივის იურიდიულ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა ხდება მოიჯარეზე. აქედან გამომდინარე, მეიჯარისათვის მისაღები საიჯარო გადასახდელი ორი ნაწილისაგან შესდგება და წარმოადგენს ძირითადი თანხის დაფარვას, გარკვეული ფინანსური შემოსავლის მიღებასთან ერთად. მაშასადამე, საიჯარო გადასახდელის მიღებისას, მეიჯარეს აუნაზღაურდება ეკონომიკური სარგებელი, ჩადებული ინვესტიცია და მომსახურება.

მეიჯარემ ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებით თავდაპირველად, იჯარის პირობების განხილვისა და შეთანხმებისას, შეიძლება გასწიოს ისეთი ხარჯები, როგორიცაა: საკომისიო ხარჯები, იურიდიული მოსაკრებლები და სხვა. ისინი პირდაპირი ხარჯებია, ჩაირთვება ფინანსური იჯარით წარმოქმნილი მოთხოვნების თავდაპირველ შეფასებაში და ამცირებს იჯარის ვადაში აღიარებულ შემოსავალს. საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი ისეა

* არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება იჯარით გაცემული აქტივის ნარჩენი ღირებულების ის ნაწილია, რომლის რეალიზაციას მეიჯარე არ უზრუნველყოფს, ან გარანტირებულია მხოლოდ მეიჯარესთან დაკავშირებული მხარის მიერ)



განსაზღვრული, რომ თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები ავტომატურადაა ჩართული ფინანსური იჯარით წარმოქმნილ მოთხოვნებში და მასასადამე, არ არსებობს მისი ცალკე გამოყოფის აუცილებლობა, ისინი გამოირიცხულია წმინდა საიჯარო ინვესტიციიდან და ხარჯად აღიარდება გაყიდვიდან მოგების აღიარებისთანავე, ჩვეულებრივ, იჯარის ვადის დასაწყისში.

შემდგომი შეფასებისას, მეიჯარის მიერ ფინანსური შემოსავლის აღიარება უნდა ემყარებოდეს ფინანსურ იჯარაში წმინდა საიჯარო ინვესტიციების უკუგების, მუდმივი პერიოდული განაკვეთის ამსახველ მოდელს. ფინანსური შემოსავალი სისტემატურად უნდა განანიღდეს იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. როგორც წესი, იგი ეფუძნება მეიჯარის წმინდა საიჯარო ინვესტიციების უკუგების, მუდმივი პერიოდული განაკვეთის ამსახველ მოდელს. საანგარიშგებო პერიოდის საიჯარო გადასახდელი, მომსახურების დანახარჯების გამოკლებით, მიმართულია მთლიანი (ბრუტო) საიჯარო ინვესტიციის საპირისპიროდ, როგორც ძირითადი ვალის, ისე გამოუმუშავებელი შემოსავლის შემცირებისაგან.

ბასს-ის მიხედვით, მეიჯარის მთლიანი (ბრუტო) ინვესტიციის თანხის განსაზღვრისათვის გამოყენებული შეფასებითი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება პერიოდულად უნდა გადაისინჯოს. მისი შემცირების შემთხვევაში უნდა გადაისინჯოს აგრეთვე, იჯარის ვადაში შემოსავლის განანიღდება, ხოლო ნებისმიერი შემცირების დაგროვილი თანხები - აღიარდეს.

მეიჯარემ გაყიდვიდან მიღებული მოგება ან ზარალი იმ პერიოდში და იმავე სააღრიცხვო პერიოდში უნდა აღიაროს, რომელსაც საწარმო იყენებს გაყიდვის ოპერაციების განხორციელებისას. ასევე, იჯარის პირობების განხილვისა და ხელშეკრულების მომზადებასთან

დაკავშირებით განეული დანახარჯები უნდა აღიარდეს გაყიდვიდან მოგების აღიარებისთანავე.

მეიჯარეები მომხმარებელს ხშირად სთავაზობენ აქტივის შეძენის ან იჯარის ალტრენატივას. მეიჯარის მიერ აქტივის ფინანსური იჯარით გადაცემის შედეგად წარმოიქმნება ორი ტიპის შემოსავალი:

1. მოგება ან ზარალი, რომელიც ეკვივალენტურია იმ მოგება-ზარალის თანხებისა, რომელიც მიღებული იქნება იჯარით გაცემული აქტივის ჩვეულებრივი გასაყიდი ფასებით გაყიდვის შედეგად და დამოკიდებულია მოცულობაზე ან სავაჭრო დათმობაზე; და
2. ფინანსური შემოსავალი იჯარის მთელი ვადის განმავლობაში.

მაგალითი

ფინანსური იჯარის აღრიცხვა მეიჯარესთან:

საწარმომ ფინანსური იჯარით გასცა შენობა შემდეგი პირობით:

- მოთხოვნის საერთო თანხა - 40000 ლარი;
- იჯარის ვადა 4 წელი;
- მიმდინარე საპროცენტო განაკვეთი - 12%;
- ყოველწლიურად გადასახდელი თანხა - 10000;
- დისკონტირების კოეფიციენტია 3,0373.
- საიჯარო მოთხოვნების მიმდინარე ღირებულება - 30373 ლ.; (10000X3,0373).

გაანგარიშება:				
წლები	ყოველწლიურად მისაღები თანხა			საიჯარო მოთხოვნები
	სულ	მათ შორის საპროცენტო შემოსავალი (12%)	საიჯარო მოთხოვნა	
				30373
1 წელი	10000	3645	6355	24018
2 წელი	10000	2882	7118	16900
3 წელი	10000	2028	7972	8928
4 წელი	10000	1072	8928	0
სულ	40000	9627	30373	



ბულატრული ბატარეაები:

1. შენობის იჯარით გაცემა:

დ-ტი მოთხოვნები ფინანსური იჯარით - 30373,

კ-ტი შენობები - 30373;

2. გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილის გამოიყოფა:

დ-ტი გრძელვადიანი მოთხოვნების მიმდინარე ნაწილი - 6355,

კ-ტი მოთხოვნები ფინანსური იჯარით - 6355;

3. ფინანსური შემოსავლის (მისაღები პროცენტების) აღიარება:

დ-ტი მისაღები პროცენტები - 3645,

კ-ტი საპროცენტო შემოსავალი - 3645;

4. საიჯარო გადასახდელის მიღება:

დ-ტი ფულადი საშუალებები - 10000,

კ-ტი გრძელვადიანი მოთხოვნის მიმდინარე ნაწილი - 6355,

კ-ტი მისაღები პროცენტები - 3645.

და ა. შ. ყოველწლიურად, პირველი ოქტომბრის გარდა.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებით შენიშვნებში ბასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად, ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებით უნდა გახსნან შემდეგი ინფორმაცია:

1. მოიჯარეებმა:

• აქტივების თითოეული კლასისათვის ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ ნეტო საბალანსო ღირებულება;

• ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელის მთლიანი თანხის შეჯერება მათ დისკონტირებულ ღირებულებასთან. გარდა ამისა, სანარმომ უნდა გახსნას ინფორმაცია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელის მთლიანი თანხისა და მათი დისკონტირებული ღირებულების შესახებ თითოეული პერიოდისათვის:

- არა უგვიანეს ერთი წლისა;
- ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა;
- ხუთი წლის შემდეგ;

• მიმდინარე პერიოდის შემოსავალში

აღიარებული პირობითი საიჯარო უიროა,

• მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელის მთლიანი თანხა ქვეიჯარის მიხედვით, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ქვეიჯარებიდან ბალანსის შედგენის თარიღისათვის; და

• მოიჯარის არსებითი საიჯარო ხელშეკრულებების ზოგადი აღწერა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ჩამონათვალით:

- გადასახდელი პირობითი საიჯარო ქირის განსაზღვრის საფუძველი;

- განახლების ან შესყიდვის უფლებების არსებობა, პირობები და მასშტაბის გაზრდის შესახებ;

- საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვები, რომლებიც ეხება დივიდენდებს, დამატებით ვალს და შემდგომ იჯარას.

გარდა ამისა, მოიჯარეს მოეთხოვება, ფინანსური იჯარით მიღებულ აქტივებზე გახსნას ინფორმაცია ბასს 16, ბასს 36, ბასს 38, ბასს 40 და ბასს 41-ის მოთხოვნების შესაბამისად.

2. მიიჯარეებმა:

ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული მთლიანი საიჯარო ინვესტიციის შეჯერება, ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებულ მისაღებ მინიმალურ საიჯარო გადასახდელის დისკონტირებულ ღირებულებასთან. ამასთან, სანარმომ დამატებით უნდა გახსნას ინფორმაცია, მთლიანი საიჯარო ინვესტიციისა და მისაღები მინიმალური საიჯარო გადასახდელის დისკონტირებული ღირებულების შესახებ ბალანსის შედგენის თარიღისათვის, თითოეული შემდეგი პერიოდისათვის:

- არა უგვიანეს ერთი წლისა;
 - ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა;
 - ხუთი წლის შემდეგ;
- გამოუმუშავებელი ფინანსური შემოსავალი;

• არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება, რომელიც ზრდის მეიჯარის სარგებელს;

• მინიმალური საიჯარო გადასახდელის ამოუღებელი მოთხოვნების აკუ-



მულირებული შესწორება;

- პერიოდის შემოსავლის სახით აღიარებული პირობითი საიჯარო ქირა;
- მეიჯარის არსებითი საიჯარო ხელშეკრულებების ზოგადი აღწერა.

გარდა ამისა, ბასს-ი სასარგებლოდ მიიჩნევს ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში გაიხსნას ინფორმაცია მეიჯარის მიერ მთლიანი ინვესტიციის შესახებ, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დამატებული ახალი საქმიანობიდან გამოუშუშავებული შემოსავლის გამოკლებით, მას შემდეგ, რაც გამოიქვითება გაუქმებული იჯარის შესაბამისი თანხა.

3. ჩვეულებრივი იჯარის აღრიცხვა

ჩვეულებრივი იჯარის დროს, მოიჯარის მიერ, საიჯარო გადასახდელეები საიჯარო ვადის განმავლობაში ხარჯად (გარდა მომსახურების ისეთი ხარჯებისა, როგორცაა დაზღვევისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები) უნდა აღიარდეს წრფივი მეთოდის მიხედვით.

მეიჯარეებმა საიჯარო აქტივები უნდა წარადგინონ თავიანთ ბალანსში, აქტივების ბუნების შესაბამისად, ხოლო იჯარიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღიარდეს თანაბარ-ზომიერად, წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის მთელი ვადის განმავლობაში. ასევე, იჯარიდან მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული დანახარჯები, ცვეთის ჩათვლით, აღიარებულ უნდა იქნას ხარჯის სახით.

რაც შეეხება თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც მეიჯარის მიერ გაწეული იყო იჯარის პირობების განხილვისა და ხელშეკრულების მომზადების პროცესში, უნდა დამატდეს საიჯარო აქტივის საბალანსო ღირებულებას და ხარჯად აღიარდეს იჯარის მთელი ვადის განმავლობაში იმავე მეთოდით, როგორც იჯარიდან შემოსავალი.

ჩვეულებრივი იჯარის დროს იჯარით გაცემული აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მეიჯარის მიერ, ანალოგიური აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის ჩვეულებრივი პოლიტიკის შესაბამისად, ხოლო ცვეთის თანხის გაანგარიშება – ბასს 16-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მაშასადამე, ჩვეულებრივი იჯარის დროს, იჯარით გაცემული აქტივი აღრიცხულია მეიჯარესთან, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში იგი ახდენს მისაღები საიჯარო გადასახდელეების დარიცხვას, რომელიც გამოიწვევს შესაბამისი მოთხოვნებისა და არასაოპერაციო შემოსავლების ზრდას. ხოლო მოიჯარე ახდენს იჯარით აღებული ქონების აღრიცხვას ბალანსგარეშე ანგარიშზე „იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები“, და საიჯარო გადასახდელეების დარიცხვას, რაც მოიჯარის ბუნალტრულ აღრიცხვაში აისახება შესაბამისი ხარჯებისა და ვალდებულებების ზრდით.

ჩვეულებრივი იჯარის ბუნალტრული აღრიცხვა:

I. მიიჯარისთან:

1. მისაღები საიჯარო გადასახდელის (ქირის) დარიცხვა

დ-ტი მოთხოვნები საიჯარო გადასახდელეებით,

კ-ტი შემოსავალი იჯარიდან (არასაოპერაციო შემოსავალი)

2. თანხის მიღებისას:

დ-ტი ფულადი საშუალებები,

კ-ტი მოთხოვნები საიჯარო გადასახდელეებით.

II. მოიჯარისთან:

1. საიჯარო გადასახდელის (ქირის) დარიცხვა:

დ-ტი საიჯარო ქირის ხარჯი,

კ-ტი გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები, ან

კ-ტი ფულადი საშუალებები.

ბასს-ის მიხედვით, ჩვეულებრივი იჯარის შესახებ, ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებებით შენიშვნებში გახსნილ უნდა იქნას შემდეგი ინფორმაცია:

მოიჯარის მიერ:

• მომავალი მინიმალური გადასახდელეების მთლიანი თანხა, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით შემდეგი პერიოდებისათვის:

- არა უგვიანეს ერთი წლისა;

- ერთი წლის შემდეგ და არა უგვი-



ანეს ხუთი წლისა;

- ხუთი წლის შემდეგ;

• მომავალი მინიმალური საქვეიჯარო გადასახდელების მთლიანი თანხა, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი იჯარის მიხედვით ბალანსის შედგენის თარიღისათვის;

• მოცემული პერიოდის ხარჯებში აღიარებული საიჯარო და საქვეიჯარო გადასახდელები, მინიმალური საიჯარო გადასახდელების, პირობითი საიჯარო ქირისა და საქვეიჯარო გადასახდელების თანხების ცალკე გამოყოფით;

• მოიჯარის არსებითი საიჯარო ხელშეკრულებების ზოგადი აღწერა, რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი ჩამონათვალით:

- გადასახდელი პირობითი საიჯარო ქირის განსაზღვრის საფუძველი;

- განახლების ან შესყიდვის უფლებების არსებობა, პირობები და მასშტაბის გაზრდის ფარგლები;

- საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვები, რომლებიც ეხება დივიდენდებს, დამატებით ვალს და შემდგომ იჯარას.

მიიჯარის მიერ:

• მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომელთა მიღება მოსალოდნელია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მიხედვით მთლიანად და თითოეული შემდეგი პერიოდებისათვის:

- არა უგვიანეს ერთი წლისა;

- ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა;

- ხუთი წლის შემდეგ;

• საანგარიშგებო პერიოდში შემოსავალში აღიარებული მთლიანი პირობითი საიჯარო ქირა;

• მეიჯარის მნიშვნელოვანი საიჯარო ხელშეკრულებების ზოგადი აღწერა; გარდა ამისა, ჩვეულებრივი იჯარით

გაცემულ აქტივებთან დაკავშირებით, მეიჯარეებმა უნდა დაიცვან შესაბამისი ბასს-ებით გათვალისწინებული მოთხოვნები ინფორმაციის გახნის შესახებ.

4. უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვა

უკუიჯარა გულისხმობს აქტივის გაყიდვას და იმავე აქტივის იჯარის გზით უკან დაბრუნებას. ამ შემთხვევაში საიჯარო ქირა და აქტივის გასაყიდი ფასი ურთიერთდამოკიდებულია და განიხილება, როგორც ერთიანი პაკეტი.

უკუიჯარის პირობით აქტივის გაყიდვისა და მისი იჯარით უკანდაბრუნების ოპერაციების აღრიცხვის წესი იჯარის ტიპზეა დამოკიდებული. „თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაცია წარმოადგენს ფინანსურ იჯარას, გაყიდვიდან ამონაგები თანხის არანაირი ნაშეტი მის საბალანსო ღირებულებაზე არ შეიძლება გამყიდველ-მოიჯარის მიერ მაშინვე აღიარდეს შემოსავლის სახით. სანაცვლოდ იგი აისახება გადავადებული შემოსავლის სახით და თანდათანობით ამორტიზდება იჯარის მთელი ვადის განმავლობაში“ (ბასს 17, მ.59). თუ აქტივის უკუიჯარით გაყიდვა ფინანსური იჯარაა, ეს ოპერაცია მეიჯარის მიერ მოიჯარის ფინანსური სახსრებით მომარაგებას, ხოლო აქტივი მის უზრუნველყოფას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება შემოსავლად აღიარდეს აქტივის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები თანხის ნაშეტი მის საბალანსო ღირებულებაზე. იგი გადავადდება და ამორტიზდება იჯარის ვადის განმავლობაში.

„თუ აქტივის უკუიჯარით გაყიდვა წარმოადგენს ჩვეულებრივ იჯარას და ამჟამად, რომ ოპერაცია ეყრდნობა რეალურ ღირებულებას, მაშინ მოგებისა და ზარალის ნებისმიერი თანხა უნდა აღიარდეს დაუყოვნებლივ. თუ აქტივის გასაყიდი ფასი დაბალია მის რეალურ ღირებულებაზე, მაშინ ნებისმიერი მოგებისა და ზარალის თანხა მაშინვე უნდა აღიარდეს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ზარალის კომპენსაცია ხდება დაბალი საბაზრო ფასის მქონე მომავალი საიჯარო გადასახდელებით. ამ დროს სხვაობა უნდა გადავადდეს და ამორტიზირდებოდეს საიჯარო გადასახდელების პროპორციულად იმ ვადაში, რომელშიც მოსალოდნელია აქტივის გამოყენება. თუ



აქტივის გასაყიდი ფასი აღემატება მის რეალურ ღირებულებას, მათ შორის სხვაობის თანხა ასევე უნდა გადავადდეს და ამორტიზაცია განხორციელდეს იმ ვადაში, რომელშიც მოსალოდნელია აქტივის გამოყენება“ (ბასს 17, მ. 61).

თუ აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვა ჩვეულებრივი იჯარაა, საიჯარო გადასახდელები და აქტივის სარეალიზაციო ფასი შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას, იგი რეალიზაციის ჩვეულებრივ ოპერაციას წარმოადგენს და ამიტომ, მოგება ან ზარალი მაშინვე უნდა აღიარდეს.

ჩვეულებრივი იჯარის დროს, თუ აქტივის რეალური ღირებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციის მომენტი-სათვის ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, ზარალის თანხა, რომელიც აქტივის საბალანსო ღირებულებასა და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობის ტოლია, დაუყოვნებლივ უნდა აღიარდეს.

რაც შეეხება ფინანსურ იჯარას, ამგვარი კორექტირება აუცილებელი არ არის, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ არის გაუფასურებული. გაუფასურების შემთხვევაში კი, საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე.

უკუიჯარის ოპერაციების ბულალტრული აღრიცხვა ჩვეულებრივი იჯარის დროს:

1. აქტივის უკუიჯარით გაყიდვა, როდესაც აშკარაა, რომ ოპერაცია ეყრდნობა რეალურ ღირებულებას:
 - ა. აქტივის გასაყიდი ფასი მისი საბალანსო ღირებულების ტოლია:
 - დ-ტი ფულადი საშუალებები;
 - კ-ტი ძირითადი საშუალებები;
 - ბ. აქტივის გასაყიდი ფასი მეტია საბალანსო ღირებულებაზე:
 - დ-ტი ფულადი საშუალებები (გასაყიდი ფასით);
 - კ-ტი ძირითადი საშუალებები (საბალანსო ღირებულებით);
 - კ-ტი არასაოპერაციო მოგება (სხვაობის თანხით);
 - გ. აქტივის გასაყიდი ფასი ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე:

- დ-ტი ფულადი საშუალებები (გასაყიდი ფასით);
- დ-ტი არასაოპერაციო ხარჯები (სხვაობის თანხით);
- კ-ტი ძირითადი საშუალებები (საბალანსო ღირებულებით);

2. აქტივის გასაყიდი ფასი მეტია მისი რეალურ ღირებულებაზე:

თუ აქტივის გასაყიდი ფასი აღემატება მის რეალურ ღირებულებას, მათ შორის სხვაობის თანხა უნდა გადავადდეს და ამორტიზაცია განხორციელდეს იმ ვადაში, რომელშიც მოსალოდნელია აქტივის გამოყენება:

- ა. აქტივის საბალანსო ღირებულება მისი რეალური ღირებულების ტოლია :
 - დ-ტი ფულადი საშუალებები (გასაყიდი ფასით);
 - კ-ტი ძირითადი საშუალებები (საბალანსო ღირებულებით);
 - კ-ტი გადავადებული შემოსავალი (სხვაობის თანხით);


გადავადებული შემოსავალი (მოგება) გადანაწილდება იჯარის ვადის მთელ პერიოდზე.

ბ. აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის რეალურ ღირებულებაზე:

- დ-ტი ფულადი საშუალებები (გასაყიდი ფასით);
- დ-ტი არასაოპერაციო ხარჯები (საბალანსო და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობის თანხით);
- კ-ტი ძირითადი საშუალებები (საბალანსო ღირებულებით);
- კ-ტი გადავადებული შემოსავალი (გასაყიდ ფასსა და რეალურ ღირებულებას შორის სხვაობის თანხით);

გ. აქტივის საბალანსო ღირებულება ნაკლებია მის რეალურ ღირებულებაზე:

- დ-ტი ფულადი საშუალებები (გასაყიდი ფასით);
- კ-ტი ძირითადი საშუალებები (საბალანსო ღირებულებით);
- კ-ტი გადავადებული შემოსავალი (გასაყიდ ფასსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის თანხით).



ჩვენი ჟურნალი სისტემატურად და პრიორიტეტულად გასცემს პასუხს რედაქციაში შემოსულ კითხვებს. თითოეულ კითხვას კომპეტენტურ პასუხს გასცემს შესაბამისი მიმართულების ექსპერტი.

ამჯერად, კითხვებს პასუხობს ჟურნალის მთავარი რედაქტორი ლილი ძარჩავა.

კითხვა:

რა შიშობს თქვენს იხდის ინფორმაციას ალური მხარე სოციალურ გადასახადზე?

პასუხი:

საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლის თანახმად სოციალური გადასახადის გადამხდელად ითვლებიან:

ა) დაქირავებულები, რომლებიც შრომის ანაზღაურებას უხდიან დაქირავებულ პირებს (ამ შემთხვევაში სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია ხელფასი, რომელიც განისაზღვრება საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლით);

ბ) სანარმო / ორგანიზაცია ან მეწარმე ფიზიკურ პირი, რომელიც საქართველოში განეულ მომსახურებას უნაზღაურებს საგადასახადო ორგანოში არარეგისტრირებულ ფიზიკურ პირებს (ესე იგი, პირებს, რომლებსაც არ გაუვლიათ სარეგისტრაციო პროცედურა და არ მიუღიათ გადასახადის გადამხდელის მონობა (ამ შემთხვევაში სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მომსახურების განვეისათვის გადახდილი საზღაური ან სარგებელი);

გ) მეწარმე ფიზიკური პირები, ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები, (საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის შესაბამისად), რომლებიც საქართველოში ეწევიან ეკონომიკურ საქმიანობას (ანუ, სოციალური გადასახადით დაბეგვრის ობიექტია სამეწარმეო საქმიანობით მი-

ღებული და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობით მიღებული დასაბეგრი შემოსავალი, რომელიც განისაზღვრება საშემოსავლო გადასახადის შესახებ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად).

დაბეგვრის ობიექტს არ წარმოადგენს საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ანაზღაურება, კერძოდ:

ა) დაქირავებულისათვის გადახდილი სამიველინებო ხარჯების ანაზღაურება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ განსაზღვრული ნორმის ფარგლებში;

ბ) წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

კითხვა:

იხებრება თუ არა სოციალური გადასახადით ფიზიკური პირი რომელიც ქონების იჯაროდან იღებს გადასახადზე?

პასუხი:

თუ ფიზიკური პირი იღებს შემოსავლებს ქონების იჯაროდან, სოციალური გადასახადით არ იხებრება.

კითხვა:

როგორია სოციალური გადასახადის გადამხდელის მიერ დეკლარაციის წარდგინის წესი და ვადები?



პასუხი:

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში გადასახადის გადამხდელის მიერ სოციალური გადასახადი გამოიანგარიშება და საგადასახადო ორგანოებს წარედგინება დეკლარაცია საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ფორმით ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ხოლო გადასახადის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ანაზღაურების გაცემისთანავე, ხოლო თუ ხელფასები გაცივმა ბანკის სშუალებით, დამქირავებული შრომის ასანაზღაურებლად თანხების მოთხოვნასთან ერთად ბანკში წარადგენს საგადასახადო დავალებას გადასახადის გადარიცხვის თაობაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ხელფასის თანხას არ გასცემს.

საგადასახადო კოდექსის 266-ე მუხლის „გ“ პუნქტში დასახელებული ფიზიკური პირები (მენარმე ფიზიკური პირები და ამხანაგობის წევრი ფიზიკური პირები) საშემოსავლო და სოციალურ გადასახადებს იხდიან გასული წლის წლიური გადასახადის მიხედვით, შემდეგი ოდენობით:

- არაუგვიანეს 15 მაისისა 25%;
- არაუგვიანეს 15 ივლისისა 25%;
- არაუგვიანეს 15 სექტემბრისა 25%;
- არაუგვიანეს 15 დეკემბრისა 25%;

თუ გადასახადის გადამხდელს წინა საგადასახადო წელს არ გააჩნდა დასაბეგრი შემოსავალი, იგი მიმდინარე გადასახდელებს არ იხდის, ხოლო დეკლარაციის წარდგენა ხდება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 15 აპრილამდე.

კითხვა:

როგორ განაზარაზებავ და აღირიცხებავ დანახარჯები, თუ საწარმო თავისი ეკონომიკური საქმიანობისთვის მისი თანაგზრობლის პირად ავტომატანას იყენებს, ან დანახარჯები თუ არა ეს საერთოდ?

პასუხი:

სხვისი, მათ შორის თანამშრომლების ქონების გამოყენება საწარმოს მიზნებისათვის კომპენსაციით ან მის გარეშე, განიხილება როგორც ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა, რაც წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებებს. ესე იგი, ის განიხილება მომსახურების მიწოდებად. ამდენად, თუ მეიჯარე საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად, იჯარის ქირა ქონების მეპატრონემ საბაზრო ფასებით უნდა შეიტანოს ერთობლივ წლიურ შემოსავლებში, ხოლო, თუ ის არ არის რეგისტრირებული გადასახადის გადამხდელად, საშემოსავლო გადასახადი უნდა დაუკავოს საწარმომ. ასეთ შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია გადაიხადოს სოციალური გადასახადიც.

რაც შეეხება გაანგარიშებას (აქ, კითხვის ავტორი გულისხმობს, ალბათ, დახარჯული საწვავის რაოდენობას), იგი წარმოებს ავტომატანის ტექნიკური პარამეტრებიდან გამომდინარე, თუ რამდენს ხარჯავს 100 კილომეტრზე და საწარმოს საქმიანობიდან გამომდინარე გარბენის მიხედვით. აქ კერძო სამართლის სუბიექტებისათვის გარბენის ოდენობაზე რაიმე შეზღუდვა არ არსებობს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არაეკონომიკური საქმიანობისათვის შეიძლება ჩამოვწეროთ საწვავი. საწვავის ხარჯვაზე კონტროლი თვით საწარმომ უნდა განახორციელოს.



ბრძანება N1217

"ღამატაჟული ღირებულების გადასახადის გადაგზავნა რეგისტრაციის წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 18 იანვრის N25 ბრძანებაში ცვლილებებისა და ღამატაჟის შიგნით თაობაზე

მიღებულია - 02.10.2006 წ. ძალაშია - 04.10.2006 წ.
13.11.2006 წ. - მდგომარეობით

მიმღები: ფინანსთა სამინისტრო

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად და საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3, 221-ე და 224-ე მუხლების შესაბამისად, ვბრძანებ:

1. "ღამატაჟული ღირებულების გადასახადის გადახდელად რეგისტრაციის წესის შესახებ" ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 18 იანვრის #25 ბრძანებით (სსმ III, 2005 წ., #8, მუხ. 9) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება;

ა) ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"3. ამხანაგობის დღგ-ის გადახდელად სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას შედეგობაში მიიღება მხოლოდ ამხანაგობის სახელით განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურება."

ბ) ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-6 პუნქტს დაემატოს "6" პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"6. თუ პირის ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ანდა ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს, იგი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მიწოდების განხორციელებამდე.

მაგალითი: შპს "დავითა", შპს "გიორგისთან" დადებული ხელშეკრულების თანახმად, შპს "გიორგის" ერთჯერადი ოპერაციის ფარგლებში უნდა მიანოდოს მის მიერ წარმოებული საქონელი (ან მომსახურება), რომლის მიწოდების ფასი (დღგ-ის გარეშე) შეადგენს 100 000 ლარს. მოცემულ შემთხვევაში შპს "დავითი" აღნიშნული მიწოდების (ოპერაციის) განხორციელებამდე ვალდებულია დადგეს დღგ-ის გადახდელად (გატარდეს რეგისტრაციაში) შესაბამის საგადასახადო ინსუქციაში;

მაგალითი: შპს "დავითა", სხვადასხვა პირებთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად (ან მის გარეშე), სხვადასხვა მომხმარებელს ერთ დღეში უნდა მიანოდოს (საერთო ჯამში) 100 000 ლარის (დღგ-ის გარეშე) საქონელი (ან მომსახურება), იგი ვალდებულია დადგეს დღგ-ის გადახდელად (გატარდეს რეგისტრაციაში) შესაბამის საგადასახადო ინსუქციაში."

გ) ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"9. სანარმოს სანესდებო (საემისიო) კაპიტალში დღგ-ის გადახდელის მიერ შესატანის საქონლის ფორმით განხორციელებისას, აღნიშნული სანარმო ვალდებულია რეგისტრაციაში გატარდეს დღგ-ის გადახდელად დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადისა."

დ) ინსტრუქციის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 224-ე მუხლის შესაბამისად, დღგ-ის გადახდელის (მათ შორის მუდმივი დანესეხულების ან ამხანაგობის) დღგ-ის გადახდელად რეგისტრაცია უქმდება მისი ლიკვიდაციის, გარდაცვალების (დღგ-ის გადახდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირის) ან ამ ინსტრუქციის პირველი მუხლის 6 პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების განხორციელებლობის შემთხვევაში."

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი
გამოქვეყნებულია #136 მაცნეში
04.10.2006
ნაწილი III



ბრძანება N123

ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმისა და გაანგარიშების ფორმის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

მიღებულია - 13.09.2006 წ. ძალაშია - 02.10.2006 წ.
13.11.2006 წ. - მდგომარეობით

მიმღები: ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-3 მუხლის საფუძველზე, 217-ე მუხლის მე-7 ნაწილისა და 218-ე მუხლის მე-4 ნაწილის აღსრულების მიზნით, ვბრძანებ:

მუხლი 1. დამტკიცდეს თანდართული რედაქციით:

1. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმა (დანართი #1).

2. ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმის შევსების წესის შესახებ ინსტრუქცია (დანართი #2).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2004 წლის 31 დეკემბრის #898 ბრძანება (სსმ III, 2004წ., #156, მუხ. 160) "ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმისა და გაანგარიშების შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე".

მუხლი 3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

ა. ალექსიშვილი
გამოქვეყნებულია #128 მაცნეში
18.09.2006
ნაწილი III

დანართი N1

ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხებისა და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმა

მიღებულია - 13.09.2006 წ. ძალაშია - 02.10.2006 წ. 15.11.2006 წ. - მდგომარეობით
1 ნაწილი


საიდენტიფიკაციო ნომერი

გვერდი

გადამხდელის პირადი ნომერი

ეკონომიკური საქმიანობის კოდი (NACE)

საკანონმდებლო სიასლაები



საკანონმდებლო სიასლაები

I ნაწილი

საილენტიფიკაციო ნომერი

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

გვერდი

--	--	--

გაღამხდელის პირადი ნომერი

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

ეკონომიკური საქმიანობის კოდი (NACE) -----

განგარიშების სახე ___ / ___ საანგარიშო თვის ნომერი საანგარიშო წელი _____

წარედგინება _____
(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

საქართველოს საწარმო (ორგანიზაცია) ინდივიდუალური საწარმო

უცხოური საწარმოს (ორგანიზაციის) განყოფილება

(საჭირო აღნიშვნა X-ით)

(გაღამხდელის სრული დასახელება / ინდემწარმის გვარი, სახელი)


მისამართი: ქალაქი / რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო გელეფონი

განგარიშების ფორმა შედგენილია ___ ___ ფურცელზე. თანდართული დოკუმენტები ___ ___

II ნაწილი

დასახელება	თვე (ლარი)	წლის დასაწყისიდან (ლარი)	შენიშვნა
1	2	3	4
დაქირავებით მომუშავე ფიზიკურ პირებზე ფულადი ფორმით ხელფასის (სარგებლის) სახით გაცემული ანაზღაურება, პენსია, სტაჟენდია, დანაშაულები და სხვა;	1		
სარგებელი არაფულადი ფორმით (დაქირავებით მომუშავეზე);	2		
გაცემული ანაზღაურება, რომელზეც ვერცელდება საგადასახადო შედეგით;	3		
ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის გაღამხდელის მოწმობა, გაწეული მომსახურებისათვის გაცემული საფასური ან სარგებელი, გარდა მე-6-7 სტრიქონებში ასახულისა;	4		
სათამაშო ბიზნესის მომწყობით მიერ ფიზიკურ პირებზე მოგების სახით განაცემები;	5		
პირებზე გაცემული დივიდენდები და პროცენტები, გარდა მე-7 სტრიქონში ასახულისა;	6		

საკანონმდებლო სიხსლევები



ქვემოთაღნიშნული
განმარტებით
შეზღვევა

დასახელება	თვე (ლარი)	წლის დასაწყისიდან (ლარი)	განმარტებით
1	2	3	4
მუდმივი დაწესებულების არმქონე არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის გადახდილი თანხა, სულ:	7		
მათ შორის თანხა, 10%-ანი განაკვეთით რომელიც იბეგრება:	8		
4%-ანი განაკვეთით	9		
	10		
დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადი (სგრ.1 + სგრ.2-სგრ.3+სგრ.4+სგრ.5) X12%+სგრ.6X10%+სგრ.8X10%+სგრ.9X4%+სგრ.10X განსხვავებულ განაკვეთზე:	11		
საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან;	12		
ფიზიკურ პირებზე გაცემული დახმარება, სარგებელი (ქველმოქმედება), მათ შორის არაფულადი ფორმით;	13		

III ნაწილი

საანგარიშო თვეში ხელფასისა და სხვა სახით გაცემული თანხების შესახებ


ინფორმაცია

თანხის გაცემის თარიღი	გაცემული თანხის სახე (ხელფასი, დივიდენდი, პროცენტი და სხვა)	თანხა (ლარი)	დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადები (ლარი)
1	2	3	4
სულ:			

IV ნაწილი

საანგარიშო თვეში ფიზიკური პირებისათვის, რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის გადახდელის მოწმობა, მომსახურების ღირებულების ანაზღაურების და სხვა განაკვეთების შესახებ ინფორმაცია

#	გვარი, სახელი, მამის სახელი	მისამართი	პირადობის მოწმობის ნომერი	მომსახურების სახე	საანგარიშო თვეში გაცემული ანაზღაურება
1	2	3	4	5	6
სულ	X	X	X	X	



ენობისათვის:

საანგარიშო თვეში გამომევებული პროდექციის (მომსახურების, შესრულებული სამუშაოს) ღირებულება (ლარი)	1	
პირთა რიცხოვნობა, რომლებმაც საანგარიშო თვეში ხელფასის სახით (სგრ. 1) გაეცემულია ანაზღაურება (კაცი)	2	
გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებმაც მომსახურების გაწევისათვის (სგრ.2) გაეცემულია ანაზღაურება	3	
მაქსიმალური ხელფასის ოდენობა (ლარი)	4	
შინიშბალური ხელფასის ოდენობა (ლარი)	5	

გაანგარიშების ფორმაში მოცემული მონაცემების უგყუარობასა და სისრულეს ვადასტურებ:

გადამხდელი

(სახელი გვარი)

(ხელმოწერა)

(თარიღი)

V ნაწილი

აღნიშვნა გაანგარიშების ფორმის წარმოდგენის შესახებ:

(ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ)

განგარიშების ფორმა წარმოდგენილია ფოსგით — პირადად —

მოცემული გაანგარისების ფორმა შედგენილია — — — ფურცელზე

თანდართული დოკუმენტები
წარმოდგენის თარიღი
რეგისტრაციის ნომერი

გვერდზე

(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)



ინსტრუქცია ფიზიკურ პირებზე გადახდილი თანხების და დაკავებული საშემოსავლო გადასახადის ყოველთვიური გაანგარიშების ფორმის შევსებისა და წარდგენის წესის შესახებ

მუხლი # 1 - ზოგადი წესი

გადამხდელს (აგენტს), რომელსაც საგადასახადო კოდექსის 217-ე (7), 218-ე (4) მუხლების შესაბამისად გადახდის წყაროსთან ევალება გადასახადების და გადასახდელების დაკავება, ამ გაანგარიშების ფორმას წარუდგენს შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ამასთან, თუ პირი არ იყენებს დაქირავებით შრომას და არა აქვს განაცემები მიღებულ მომსახურებაზე, მას არ წარმოემოხება გაანგარიშების წარდგენის ვალდებულება.

მუხლი # 2 - გაანგარიშების ფორმის I ნაწილის შევსების წესი

სატიტულო გვერდის პირველი ნაწილის შესაბამის უჯრეტში და სტრიქონებზე ჩაიწერება:

ა) უჯრეტში "საიდენტიფიკაციო ნომერი" - გადამხდელის საგადასახადო ორგანოს მიერ მინიჭებული საიდენტიფიკაციო ნომერი;

ბ) უჯრეტში "გადამხდელის პირადი ნომერი" - საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობაში ფიქსირებული პირადი ნომერი.

გ) უჯრეტში "ეკონომიკური საქმიანობის კოდი" - იმ საქმიანობის კოდი, რომელ საქმიანობასაც იგი თვლის ძირითად საქმიანობად;

დ) უჯრეტში "გაანგარიშების სახე" - წილადურ პირველ უჯრეტში - 1, წილადურ მეორე უჯრეტში - კვარტლის ნომერი. თუ გაანგარიშება გასული საგადასახადო პერიოდისაა და წარმოდგენილია დამუსტების (კორექტირების) მიზნით, პირველ წილადურ უჯრეტში ერთის ნაცვლად ჩაიწერება 2, ხოლო მეორე წილადურ უჯრეტში - თვის ნომერი.

მაგალითად, გადამხდელმა ნოემბერში წარმოადგინა სექტემბრის თვის დამუსტებული გაანგარიშება. ამ პირობებში გაანგარიშების ფორმის წილადურ პირველ უჯრეტში ჩაიწერება 2, მეორე უჯრეტში - 09, სადაც 2 ნიშნავს, რომ გაანგარიშება არის არა პირველი, არამედ დამუსტებული, ხოლო 09 ნიშნავს, რომ აღნიშნული გაანგარიშებით ხორციელდება სექტემბრის თვის მონაცემთა შესწორება;

ე) უჯრეტში "საანგარიშო თვის ნომერი" - იმ თვის რიგითი ნომერი (01-დან 12-მდე), რომლის გაანგარიშებასაც გადამხდელი წარმოადგენს;

ვ) სტრიქონზე "საგადასახადო ორგანოს დასახელება" - ტერიტორიული საგადასახადო ორგანოს სრული დასახელება, რომელსაც წარედგინება გაანგარიშების ფორმა;


ზ) საჭირო. უჯრეტში "საქართველოს საწარმო (ორგანიზაცია)", "უცხოური საწარმო", "ინდუსტრიული", "სხვა საწარმო - აღნიშვნა "X";

თ) სტრიქონზე "გადამხდელის სრული დასახელება" - მიეთითება საწარმოს სრული სახელწოდება/ ინდუსტრიის სახელი და გვარი სრულად, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად.

ი) სტრიქონზე "მისამართი" - მიეთითება ქალაქი/ რაიონი, ბინა, კორპუსი, ქუჩა, საკონტაქტო ტელეფონი.

მუხლი # 3 - გაანგარიშების ფორმის II ნაწილის შევსების წესი

1. საგადასახადო კოდექსის 217-ე მუხლის მე-7 ნაწილით და 218-ე მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული გადამხდელთა ვალდებულებები (ფიზიკურ პირთათვის, რომლებსაც არ გააჩნია საიდენტიფიკაციო ნომერი მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის და საშემოსავლო გადასახადების და სხვა გადასახდელების) საგადასახადო ორგანოებში წარდგენის ნაწილში



გერტიანიებულია აღნიშნულ გაანგარიშებამში.

2. გაანგარიშების ფორმის სტრუქტურაზე ჩაიწერება:

ა) პირველ სტრუქტურაზე - დაქირავებით მომუშავე ფიზიკური პირების მიერ საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის შესაბამისად, ხელფასის სახით მიღებული შემოსავლები, კერძოდ; დაქირავებით მუშაობის შედეგად მიღებული ნებისმიერი საზღაური ან სარგებელი, მათ შორის, წინა სამუშაო ადგილიდან პენსიის ან სხვა სახით მიღებული შემოსავალი, ან შემოსავალი მომავალი სამუშაო ადგილიდან;

ბ) მე-2 სტრუქტურაზე - ფიზიკურ პირებზე არაფულადი ფორმით გაცემული სარგებლის ღირებულება, საგადასახადო კოდექსის 174-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. აღნიშნული აისახება გაანგარიშების ფორმის III ნაწილის საინფორმაციო ცხრილის ერთ-ერთ ბოლო სტრუქტურაზე. ამასთან, საშემოსავლო გადასახადის დაკავებისა და გადახდის ვალდებულების წარმოშობა განისაზღვრება საანგარიშო თვის ბოლო დღით.

მაგალითად: საწარმომ ფიზიკურ პირს სარგებლობაში გადასცა მსუბუქი ავტომობილი (ანაზღაურების გარეშე), რომლის საბაღანსო ღირებულება 3000 ლარია, 2005 წლის მარტის 12 რიცხვში და ამ პირმა ისარგებლა ავტომობილით აპრილის 20 რიცხვამდე. ამ შემთხვევაში საწარმომ მარტის თვის გაანგარიშების ფორმის მე-9 სტრუქტურაზე უნდა შეიტანოს სარგებლის ღირებულება 57 ლარი (3000X0,1% X19) და აპრილის თვის გაანგარიშებაში 60 ლარი (3000X0,1X20), ხოლო აღნიშნული სარგებლის ღირებულება გაანგარიშების ფორმის III ნაწილის საინფორმაციო ცხრილში აისახება შესაბამისად 31 მარტის და 30 აპრილის ჩანაწერებით;

გ) მე-3 სტრუქტურაზე - ფიზიკურ პირებზე გაცემული ანაზღაურებები, რომელიც საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლით გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან;

დ) მე-4 სტრუქტურაზე - იმ ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც არ გააჩნიათ გადასახადის გადამხდელის მოწმობა გაწეული მომსახურებისათვის გაცემული საფასური ან სარგებელი, რომელიც ცალ-ცალკე ფიზიკური პირების მიხედვით აისახება გაანგარიშების ფორმის IV ნაწილის საინფორმაციო ცხრილში.

მაგალითად: გადასახადის გადამხდელმა გადასახადის გადამხდელის მოწმობის გარეშე მომუშავე ფიზიკურ პირს ჩაატარებინა ოფისის რემონტი, რისთვისაც მას 2005 წლის მარტში გადაუხადა 800 ლარი. ამ შემთხვევაში გადამხდელმა მარტის გაანგარიშების ფორმის მე-11 სტრუქტურაზე უნდა ასახოს 800 ლარი;

ე) მე-5 სტრუქტურაზე - სათამაშო ბიზნესის მომწყობთა მიერ ფიზიკურ პირებზე მოგების სახით განაცემი, რომელიც აისახება გაანგარიშების ფორმის III ნაწილის ბოლო სტრუქტურაზე საანგარიშო თვის ბოლო რიცხვით.

მაგალითად: სათამაშო ბიზნესის მომწყობმა 2005 წლის მაისის თვეში მოგების სახით სხვადასხვა ფიზიკურ პირზე მიახდინა 15000 ლარის ღირებულების განაცემი. ამ შემთხვევაში მან აღნიშნული განაცემის ღირებულება უნდა შეიტანოს მაისის თვის გაანგარიშების მე-5 სტრუქტურაზე, და აისახება ასევე III ნაწილის საინფორმაციო ცხრილში 31 მაისით;

ვ) მე-6 სტრუქტურაზე - საგადასახადო კოდექსის 195-ე და 196-ე მუხლების შესაბამისად პირებზე გაცემული დივიდენდები და პროცენტები და გადახდილი სხვა თანხები, რომელიც საგადასახადო კოდექსით ითვლება საქართველოში არსებულ წყაროდან მიღებულ შემოსავლად;

ზ) მე-7 სტრუქტურაზე - არარეზიდენტი ფიზიკური პირებისათვის საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის შესაბამისად გადახდილი თანხა.

თ) მე-8 სტრუქტურაზე - მე-7 სტრუქტურაზე ასახული ანაზღაურებებიდან 10%-იანი განაკვეთით დასაბეგრი თანხა;

ი) მე-9 სტრუქტურაზე - მე-7 სტრუქტურაზე ასახული ანაზღაურებებიდან 4%-იანი განაკვეთით დასაბეგრი თანხა;

კ) მე-10 სტრუქტურაზე - მე-7 სტრუქტურაზე ასახული ანაზღაურებებიდან განსხვავებული განაკვეთით დასაბეგრი თანხა (ცარიელ უჯრაში ჩაიწერება განაკვეთი);

ლ) მე-11 სტრუქტურაზე - დასაბეგრებული საშემოსავლო გადასახადი;



მ) მე-12 სტრიქონზე აისახება საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებულ ფიზიკურ პირებზე მომსახურებისათვის გაცემული ანაზღაურება, რომელიც არ იბეგრება გადახდის წყაროსთან;

ნ) მე-13 სტრიქონზე - ფიზიკურ პირებზე გაცემული დახმარება, სარგებელი და სხვა ქველმოქმედების სახით განაცემები.

მუხლი # 4 - ბაანგარიშების ფორმის III ნაწილის შვსსების წესი

პირველ სვეტში აისახება ანაზღაურების გაცემის თარიღი, მე-2-ში - ანაზღაურების სახე, მე-3-ში - ანაზღაურება ფულადი გამოსახულებით (თანხა), მე-4 სვეტში — შესაბამისი ანაზღაურებებიდან გამომდინარეობის დასაყვედბელი სამემოსავლო გადასახადი. ამ ნაწილის მე-3 სვეტის ჯამი უნდა ედრებოდეს გაანგარიშების ფორმის. პირველ, მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 სტრიქონზე ასახული თანხების ჯამს.

მუხლი # 5 - ბაანგარიშების ფორმის IV ნაწილის შვსსების წესი

1. გაანგარიშების ფორმის IV ნაწილში აისახება საგადასახადო ორგანოებში არარეგისტრირებული ფიზიკური პირების მონაცემები, რომლებზეც გაცემულია ანაზღაურებები გაწეული მომსახურებისათვის.

2. ცნობისათვის ცხრილში:

ა) პირველ სტრიქონზე - საანგარიშო თვეში გამოშვებული პროლუქციის (სამუშაოს, მომსახურების) ღირებულება (სტატისტიკური ანგარიშების მიხედვით);

ბ) მე-2 სტრიქონზე - დაქირავებულ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაცემულია ხელფასის სახით ანაზღაურებები;

გ) მე-3 სტრიქონზე - გადასახადის გადამხდელის მოწმობის არმქონე ფიზიკურ პირთა რიცხოვნობა, რომლებზეც გაანგარიშების ფორმის IV ნაწილის მიხედვით გაწეული მომსახურებისათვის გაცემულია შესაბამისი ანაზღაურება;

დ) მე-4 და მე-5 სტრიქონებზე - შესაბამისად პირზე გაცემული მაქსიმალური და მინიმალური ხელფასის ოდენობა (მაგალითად; ხელფასი საანგარიშო თვეში ერთ დაქირავებულ პირზე პირობითად გაიცა 300 ლარი, მეორე დაქირავებულ პირზე - 30 ლარი. მაქსიმალური ხელფასის სახით მე-12 სტრიქონზე აისახება 300 ლარი, მინიმალური ხელფასის სახით მე-13 სტრიქონზე - 30 ლარი).

ე) გაანგარიშების ფორმაში შეტანილი მონაცემების უზუსტურობა და სისრულე დასტურდება ხელმოწერით (სახელი და გვარი იწერება სრულად), თარიღის მითითებით.

მუხლი # 6 - ბაანგარიშების ფორმის V ნაწილის შვსსების წესი

1. გაანგარიშების ფორმის V- ნაწილი ივსება შესაბამის საგადასახადო ორგანოს მიერ და ამ ნაწილის

სტრიქონების უჯრებში ჩაიწერება:

ა) პირველი სტრიქონის საჭირო უჯრაში - გაცემულია აღნიშვნა "X".


ბ) მე-2 სტრიქონის უჯრებში - წარმოდგენილი გაანგარიშების ფორმის გვერდების და დანართების რაოდენობა.

გ) მე-3 სტრიქონის უჯრებში - გაანგარიშების ფორმაზე დართული საჭირო დოკუმენტების გვერდების რაოდენობა.

დ) მე-4 სტრიქონის უჯრებში - გაანგარიშების ფორმის წარმოდგენის თარიღი, თვე და წელი.

ე) მე-5 სტრიქონის უჯრებში - საგადასახადო ორგანოში წარმოდგენილი გაანგარიშების ფორმის რეგისტრაციის ნომერი.

2. გაანგარიშების ფორმის ამ ნაწილის მონაცემებს ადასტურებს საგადასახადო ორგანოს პასუხისმგებელი მუშაკი ხელის მოწერით, სახელი და გვარი უნდა ჩაიწეროს სრულად.



ბრძანება N928

"მოგავის გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმის და შევსების წესის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 12 აპრილის N247 ბრძანებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

მიღებულია - 04.08.2006 წ. ძალაშია - 09.08.2006 წ.
13.11.2006 წ. - მდგომარეობით

მიმღები: ფინანსთა სამინისტრო

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1. "მოგების გადასახადის წლიური დეკლარაციის ფორმის და შევსების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 12 აპრილის N247 ბრძანებაში (სსმ, 2005წ., III ნაწილი, N45 მუხლი 471) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. ბრძანების დანართი N1 და დანართი N2 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. "მოგავის გადასახადის წლიური დეკლარაციის შევსების წესის შესახებ" ინსტრუქციის:

ა) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის "ე", "უ", "ც", "წ", "ჭ" და "ჯ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ე) მე-12 უჯრაში - საკუთარი, ასევე ლიზინგით აღებული ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები, რომლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ვეგუფის ღირებულებითი ბალანსის 5 პროცენტს. ამასთან, თუ გადახდელი ძირითადი საშუალებების გამოქვითვისას იყენებს საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მე-13 ნაწილის ნორმას, მაშინ ძირითადი საშუალების აღნიშნული ნაწილისათვის რემონტის ხარჯებთან მიმართებაში 5-პროცენტის შებლუდვის წესი არ გამოიყენება (ასეთ ძირითად საშუალებებზე განეული რემონტის ხარჯები სრულად გამოიქვითება);"

"უ) 27-ე უჯრაში - მთლიან მოგებას გამოკლებული გამოქვითვას დაქვემდებარებული წინა საანგარიშო წლების ზარალი და გამოკლებული დაბეგრისაგან განთავისუფლებული მოგება (უჯრა 23-25-26);"

"ც) 29-ე უჯრაში - საგადასახადო კოდექსის 196-ე მუხლის მიხედვით, თუ დეკლარაციას ავსებს არარეზიდენტი საგადასახადო კოდექსის 197-ე მუხლის მიხედვით გადახდის წყაროსთან დაკავებული და ბიუჯეტში გადახდილი გადასახადის თანხა, რომელზეც არსებობს გადახდის დამადასტურებელი საბუთი";

"წ) 31-ე უჯრაში - საანგარიშო პერიოდში დარიცხული მოგების გადასახადის მიმდინარე გადასახდელები";

"ჭ) 32-ე უჯრაში - 29-ე, 30-ე და 31-ე უჯრების ჯამი";

"ჯ) 34-ე უჯრაში - საანგარიშო პერიოდში შესამცირებელი გადასახადი (უჯრა 32-28)".


ბ) მე-3 მუხლის მე-2 და მე-12 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"2. მე-2 სტრიქონში - შემოსავლები გადახდელის ძირითადი საქმიანობიდან. კერძოდ, საქონლის (მომსახურების) მიწოდებით მიღებული შემოსავლები";

"12. მე-12 სტრიქონში - ქონების უზუფურქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით გაცემით მიღებული შემოსავლები".

გ) მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 25-ე პუნქტი:

საკანონმდებლო სიასტაეები



"25. 25-ე და 26-ე (და ა. შ.) ცარიელ სტრიქონებზე ჩაინერება გამოქვეითვას დაქვემდებარებული სხვა ხარჯები, რომლებიც არ არის ასახული 21-24 სტრიქონებზე".

დ) მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ვ) მე-6 სტრიქონში - პირველ სტრიქონს გამოკლებული მე-2 სტრიქონი, დამატებული მე-3 სტრიქონი, გამოკლებული მე-4 სტრიქონი და დამატებული მე-5 სტრიქონი (1-2+3-4+5). ამასთან, თუ $სტრ(4-1+2-3-5) > 0$, მაშინ მე-6 სტრიქონში ჩაინერება 0 და სხვაობა გადაიტანება მე-9 სტრიქონში. სხვა შემთხვევაში სხვაობა ჩაინერება მე-6 სტრიქონში.

თუ $სტრ(1-2+3-4+5) = 0$ -სა და 1000 შორისაა, მაშინ მე-6 სტრიქონში ჩაინერება 0 და სხვაობა გადაიტანება მე-10 სტრიქონში. სხვა შემთხვევაში სხვაობა ჩაინერება მე-6 სტრიქონში.

თუ ჯგუფის ყველა ძირითადი საშუალება რეალიზებული ან ლიკვიდირებულია, მაშინ მე-6 სტრიქონში ჩაინერება 0, ხოლო $სტრ(1-2+3-4+5)$ -ის მონაცემი გადაიტანება მე-10 სტრიქონში".

ე) მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის "ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ვ) მე-6 სვეტში -სამორტიზაციო ანარიცხი, რომელიც გამოიანგარიშება მე-3 სვეტის მონაცემის გაყოფით მე-4 სვეტის მონაცემზე. ამასთან, თუ არამატერიალური აქტივის ღირებულება სრულად არის ამორტიზირებული (გამოქვითული) ის შემდგომი პერიოდების დეკლარაციებში აღარ აისახება და, შესაბამისად, მასზე ამორტიზაციის დარიცხვა შეწყდება".

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი

გამოქვეყნებულია #106 მაცნეში

09.08.2006

ნაწილი III

დანართი N1

მიღებულია - 04.08.2006 წ

15.11.2006 წ - მდგომარეობით

ძალაშია - 09.08.2006 წ

გსნ

გვერდი

ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი

მოგების გადასახადის წლიური დეკლარაცია

1.

საანგარიშო
წელი

წარედგინება

(საგადასახადო ორგანოს დასახელება)

საქართველოს საწარმო


უცხოური საწარმოს მუღმევი დაწესებულება

(საჭირო აღნიშნეთ Vნიშნით)

(საწარმოს სრული დასახელება)

(მისამართი,ბინა, კორპუსი, ქუჩა,ქალაქი/რაიონი) საკონგაქტო გულეფონი

საკანონმდებლო სიხსლევები



მოცემული დეკლარაცია შედგენილია				ფურცელზე	თნდართული დამადასტურებელი დოკუმენტები	ეროვნული ბიბლიოთეკა გვერდი
--------------------------------	--	--	--	----------	---------------------------------------	----------------------------

II. ივსება საგადასახადო ორგანოს მიერ

აღნიშვნა დეკლარაციის წარმოდგენის შესახებ:

დეკლარაცია წარმოდგენილია ფოსტით _____ პირადად _____

მოცემული დეკლარაცია შედგენილია				ფურცელზე	თნდართული დამადასტურებელი დოკუმენტები	გვერდი
--------------------------------	--	--	--	----------	---------------------------------------	--------

წარმოდგენის თარიღი _____
რეგისტრაციის ნომერი _____

(სახელი გვარი)

(ხელმოწერა)


გსნ

გვერდი

III. მოგების გადასახადის გაანგარიშება

ერთობლივი შემოსავალი (უჯრა.2+3-4+5)		1	
შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან (დანართი 2-ის პირველი სტრიქონი)		2	
შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან (დანართი N2-ის სტრ.17)		3	
საწყისი სასაქონლო მაგერიალური ფასეულობა	4		
საბოლოო სასაქონლო მაგერიალური ფასეულობა		5	
გამოქეითივები ერთობლივი შემოსავალიდან (ჯამი უჯრა.7 დან უჯრა.20-ის ჩათვლით)	6		
ხელფასის სახით განაცემები	7		
შეძენილი საქონელი, მასალები და ნედლეული	8		
ელ-ენერჯია	9		
ამორტიზაცია (დანართი N3)	10		
შესყიდული, ლიზინგით მიღებული ან საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები	11		
ძირითად საშუალებათა რემონტი	12		
კრედიტისათვის გადახდილი პროცენტები	13		
ხარჯები უიმედო ვალებზე	14		

საკანონმდებლო სიახლეები



სარეგერო ფონდებში გადარიცხვები	15		
საღაზღვეო ხარჯები	16		
სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო და საცდელ საკონსტრუქტორო მომსახურების ხარჯები	17		
წარმომადგენლობითი ხარჯები	18		
შეძენილი მომსახურება გარდა სხვა სტრიქონებში ასახულისა	19		
გამოქვითვას დაქვემდებარებული სხვა ხარჯები (დანართი N2-ის მე-20 სტრიქონი)	20		
გამოქვითვას დაქვემდებარებული საქველმოქმედო ორგანიზაციებზე გაყვამული შეწირულობის თანხები	21		
გამოქვითვები სულ (უკრა.6+21)	22		
მოგება (უკრა.1-22)		23	
საანგარიშო წლის ბარალი, რომელიც გადაიგანება მომდევნო პერიოდში (უკრა. 6 – უკრა 1)	24		
გამოქვითვას დაქვემდებარებული წინა წლების ბარალი	25		
მოგების გადასახადით დაბეგვისაგან განთავისუფლებული მოგება	26		
დასაბეგრი მოგება (უკრა.23-25-26)		27	
გადასახადი დასაბეგრ მოგებაზე		28	
გადახდის წყაროსთან დაკავებული და გადახდილი გადასახადი	29		
საქართველოს ფარგლებს გარეთ გადახდილი გადასახადის თანხა	30		
საანგარიშო წელში დარიცხული მიმდინარე გადასახდელები	31		
29-ე, 30-ე და 31-ე უჯრების ჯამი	32		
გადასახდელი თანხა საანგარიშო პერიოდისათვის (უკრა.28-32)		33	
საანგარიშო პერიოდში შესამცირებელი თანხა (უკრა 32-28)	34		

დანართი N2

მიღებულია - 04.08.2006 წ
 15.11.2006 წ - მდგომარეობით
 ძალაშია - 09.08.2006 წ

ერთობლივი შემოსავალი და გამოქვითვას დაქვემდებარებული სხვა ხარჯები

N	დასახელება	თანხა
1	შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან (ჯამი სტრ-2-დან სტრ-16 ჩათვლით, გარდა მე-9 სტრიქონისა)	
2	საქონლის (მომსახურების) მიწოდებით მიღებული შემოსავლები	
3	ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეგი შემოსავლები	
4	სამეწარმეო საქმიანობის შეზღუდვის ან საწარმოს დახურვის შედეგად მიღებული შემოსავლები	

საკანონმდებლო სიასლექები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5	ძირითად საშუალებათა და არამატერიალური აქტივის რეალიზაციით მიღებული თანხები, რომელიც შემოსავალში შეიგანება საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლის მე-7 ნაწილის მიხედვით	
6	ძირითად საშუალებათა მიწოდებით (ლიზინგის საგნის დაბრუნებით) მიღებული ან მისაღები თანხები	
7	კომპენსირებული გამოქვითვები	
8	პროცენტების სახით მიღებული შემოსავლები	
9	ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული დივიდენდები	
10	როიალტი	
11	ვალდების ჩამოწერით მიღებული შემოსავლები	
12	ქონების უზურფრუქტით, იჯარით, ქირით ან სხვა ამდგარი ფორმის გაცემით მიღებული შემოსავლები	
13	სხვაობა საბაზრო ფასსა და აქტივების რეალიზაციის ფას შორის აქტივების უსასყიდლოდ ან თვითღირებულებაზე ნაკლები ფასით მიწოდებისას	
14	აქციური მარკების დანაკლისის და/ან იმპორტიორების მიერ აქციური მარკების მიღებიდან 6 თვეში იმპორტის განუხორციელებლობა	
15	საქონლის დანაკლისი	
16	სხვა შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან:	
	დასახელება	თანხა
17	შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან (სგრ. 18+19)	
18	უსასყიდლოდ მიღებული ქონება	
19	ნებისმიერი შემოსავალი (სარგებელი), გარდა დანართის სხვა სკრიქონებით განსაზღვრულისა:	
	დასახელება	თანხა
20	სხვა გამოქვითვები: (სგრ. 21+22+23+24+25+26)	
21	გამოქვითვას დაქვემდებარებული ამორტიზაციის თანხა (დანართი N3-ის ნაწილი I-ის სგრ. 10+ნაწილი II-ის სგრ.9+ნაწილი III-ის სგრ.8)	
22	ბიუჯეტის კუთვნილი გადასახადები, ასევე საჯარიმო სანქციები, რომლებიც ექვემდებარება გამოქვითვას.	
23	ლიზინგის საგნის მიმღების საპროცენტო ხარჯი	

ბრძანება # 1236

"მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, რეგისტრაციის წესისა და რეგისტრაციის შურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქ. ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს #669 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ

მიღებულია - 09.10.2006 წ. ძალაშია - 11.10.2006 წ. 13.11.2006 წ. - მდგომარეობით

მიმღები: ფინანსთა სამინისტრო

"მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის შურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს #669 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

"ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის, "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 და მე-13 მუხლების შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის #39 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის "ლ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. "მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხის, მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის წესისა და მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) რეგისტრაციის შურნალის ფორმის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 2 აგვისტოს #669 ბრძანებით (სსმ III, 2005 წ., #91, მუხ.1035) დამტკიცებული "მკაცრი აღრიცხვის ფორმების (დოკუმენტების) ნუსხაში" (დანართი #1) შეტანილ იქნას ცვლილება და დამატებები:


ა) მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის ქვეპუნქტები:

- ბ.ბ.ბ.ბ.ვ) ლაბორატორიის აკრედიტაციის მოწმობა;
- ბ.ბ.ბ.ბ.ზ) სერტიფიკაციის ორგანოს აკრედიტაციის მოწმობა;
- ბ.ბ.ბ.ბ.თ) "საქევიასერვისის" სხვადასხვა მოსაზრებლის ორდერი;
- ბ.ბ.ბ.ბ.ი) სს "თბილავიამშენის" სხვადასხვა მოსაზრებლის ორდერი;
- ბ.ბ.ბ.ბ.კ) შპს "კინოსტუდია აისის" ბილეთები.

ბ) მე-2 პუნქტიდან ამოღებულ იქნას "დ" ქვეპუნქტი.

2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ა. ალექსიშვილი
გამოქვეყნებულია #139 მაცნეში
11.10.2006
ნაწილი III



დებულება

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით
პრივატიზაციის შესახებ დებულება


მიღებულია - 24.10.2006 წ. ძალაშია - 25.10.2006 წ.
13.11.2006 წ. - მდგომარეობით

მიმღები: აკონომიკური განვითარების სამინისტრო

2006 წლის 24 ოქტომბრის #1-1/1244 ბრძანების
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი # 1 - ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება შემუშავებულია "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონისა და "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესს.
2. "საქართველოს სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო) ან მისი ტერიტორიული ორგანო (შემდგომში გამყიდველი).
3. მხოლოდ საქართველოს მთავრობაა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ინვესტორის მიერ მოთხოვნილი სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანშეუწონლობის შესახებ. სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანშეუწონლობის შესახებ გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობამ შეიძლება მიიღოს საკუთარი ინიციატივით ან სამინისტროს დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე, წარდგინებიდან 1 თვის ვადაში. ამ ვადაში გადაწყვეტილების მიუღებლობა ჩაითვლება საქართველოს მთავრობის თანხმობად. აღნიშნული სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანშეუწონლობის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება გადაწყვეტილების მოქმედების ვადა.
4. აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანია საკუთრების უფლება გადაეცეს მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდა პირობებით - საკუთრების უფლება აგდაეცეს იმ მყიდველს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დაავაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.
5. აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზებას ახორციელებს სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო. მათ შეუძლიათ შეასრულონ გამყიდველის ფუნქციები უშუალოდ, ან იმოქმედონ წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით, რომელსაც გამყიდველის მიერ მინიჭებული აქვს სათანადო უფლებამოსილება.
6. აუქციონის ფორმით საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების სანყისი ფასი გამყიდველის მიერ დგინდება "საპრივატიზებო სახელმწიფო ქონების სანყისი ფასის განსაზღვრის წესის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 17 ნოემბრის N 671 ბრძანებულების შესაბამისად.
7. აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების მყიდველი შეიძლება იყოს საქართველოს



ან უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

8. სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო ინვესტორის მიერ სამინისტროში ან მის ტერიტორიულ ორგანოში სახელმწიფო ქონების შეძენის შესახებ განაცხადის წარდგენიდან 30 დღის განმავლობაში აცხადებს აუქციონს ან აუქციონს პირობებით, ინვესტორის მიერ შემოთავაზებული პირობების მიხედვით.

9. სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო ვალდებულია, "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად და კანონმდებლობით დადგენილი წესით დაიწყოს სათანადო მოქმედებების განხორციელება სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) ქონება პრივატიზებას არ ექვემდებარება საქართველოს კანონით ან ამ ქონებისათვის დადგენილია "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონისაგან განსხვავებული პრივატიზების წესი;

ბ) ინვესტორს ქონება ესაჭიროება ისეთი მიზნებისათვის, რომელთა განხორციელება ეწინააღმდეგება განაშენიანების რეგულირების გეგმას ან უფლებრივ ზონირებას ან ინვესტორის ქონების ერთიანობის დარღვევას;

გ) საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება.

10. პირველი მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო ინვესტორის მიერ განაცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში აცნობებს ინვესტორს, რომ ქონების პრივატიზებისათვის დადგენილია განსხვავებული წესი, ან რომ იგი არ ექვემდებარება პრივატიზებას.


11. სამინისტრო, საქართველოს მთავრობისათვის პირველი მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წარდგინების შემთხვევაში, 15 დღის ვადაში აცნობებს ინვესტორს წარდგინების შესახებ.

12. თუ შესაბამისი სახელმწიფო ქონება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეგისტრში ან მისი პრივატიზებისათვის აუცილებელია კანონით განსაზღვრული სხვა იურიდიული პროცედურების განხორციელება, ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ვადა აითვლება ქონების რეგისტრაციის ან/და სხვა იურიდიული პროცედურების დასრულების თარიღიდან, რომლის ორგანიზების ვადა არ შეიძლება იყოს 2 თვეზე მეტი. განსაკუთრებულ შემთხვევაში ამ ვადის გაგრძელება დასაშვებია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. აღნიშნული გარემოებების შესახებ უნდა ეცნობოს ინვესტორს განაცხადის წარდგენიდან (აგრეთვე ვადის გაგრძელებიდან) არა უგვიანეს 14 დღისა.

13. თუ ინვესტორის მიერ მოთხოვნილი ქონება არის მთლიანი ქონების ნაწილი, რომლის პრივატიზება ინვესტორს ქონების ერთიანობის დარღვევას, სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო უფლებამოსილია განაცხადოს უარი პრივატიზების პროცესის დაწყებაზე მხოლოდ სათანადო დასაბუთებით. ქონების ერთიანობა შეიძლება დაირღვეს, თუ ინვესტორი ითხოვს ქონების იმ ნაწილს, რომელზედაც ცალკე უფლების არსებობა მნიშვნელოვნად ამცირებს მთლიანი ქონების ეკონომიკურ ღირებულებას ან/და ხელს უშლის ქონების დანარჩენი ნაწილის მიზნობრივ გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში სამინისტრო ვალდებულია შეატყობინოს ინვესტორს მთლიანი ქონების ან მისი იმ ნაწილის შესახებ, რომელიც შესაძლებელია დაექვემდებაროს პრივატიზებას.

14. აუქციონი შეიძლება გამოცხადდეს პირობებით.

15. აუქციონი ან აუქციონი პირობებით ცხადდება სამინისტროს (სამინისტროს



ტერიტორიული ორგანოს) ან ინვესტორის ინიციატივით.

16. თუ სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო აუქციონს პირობებით აცხადებს თავისი ინიციატივით, ასეთ შემთხვევაში აუქციონის პირობებს ადგენს სამინისტრო ან მისი ტერიტორიული ორგანო.

17. იმ შემთხვევაში, თუ ინვესტორი ითხოვს ქონების პრივატიზებას გარკვეული პირობებით, აუქციონი პირობებით ცხადდება ინვესტორის მიერ შემოთავაზებულ არსებით პირობებზე. არ შეიძლება ისეთი პირობის დადგენა, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, ანიჭებს მას წინასწარ განსაზღვრულ უპირატესობას ან სხვაგვარად შეუძლებელს ხდის სხვა ინვესტორების აუქციონში მონაწილეობას. პირობების რაოდენობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ოთხს. დამატებითი პირობების დადგენა შესაძლებელია საქართველოს მთავრობის თანხმობით.

18. ინვესტორის განცხადებასთან დაკავშირებული ვადების გადაცილების ან ქონების შექმნაზე უარის დაუსაბუთებლობის შემთხვევაში ინვესტორს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს მთავრობას ქონების შექმნის მოთხოვნით. მოთხოვნიდან 1 თვის განმავლობაში საქართველოს მთავრობა იღებს "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტით ან მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შესაბამის გადაწყვეტილებას.

19. აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.

მუხლი # 2 - აუქციონის ორგანიზება

1. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს გამყიდველი.


2. იმ შემთხვევაში, როცა გამყიდველი აუქციონის ორგანიზატორის ფუნქციებს გადასცემს წარმომადგენელს ან შუამავალს, მათ შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

- ა) სახელმწიფო ქონების სანყისი ფასი;
- ბ) აუქციონის ჩატარების ვადა;
- გ) წარმომადგენლის ან შუამავლისათვის ავანსის ან/და საკომისიო ანაზღაურების ოდენობა და მისი გაცემის წესი;
- დ) ურთიერთვალდებულებანი და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის;
- ე) სხვა ინფორმაცია გამყიდველის შეხედულებისამებრ.

3. გამყიდველი, "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისადად, უზრუნველყოფს ინფორმაციის გამოქვეყნებას სამინისტროს ოფიციალურ გამოცემაში, პრესის ისეთ სახეობაში, რომელიც ვრცელდება საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე ან ადგილობრივ პრესაში (თუ პრივატიზებას ახდენს სამინისტროს ტერიტორიული ორგანო) და მის განთავსებას სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე. თუ პრივატიზებას ახორციელებს სამინისტრო, ინფორმაცია გადაიცემა საზოგადოებრივი ტელევიზიით. ამასთანავე შეიძლება ინფორმაციის სხვა საშუალებების გამოყენება.

4. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- ა) გამყიდველის დასახელებას;
- ბ) პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს (აუქციონის პირობებით გამოცხადების შემთხვევაში);
- გ) ~~საპრივატიზებო ქონების დასახელებას;~~



ქვემოთაა მოცემული

დ) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრების და აუქციონის ჩატარების უფლებები;

ე) "ბე", სავაჭრო ბიჯის სიდიდეს და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს გამყიდველი;

ვ) განაცხადის მიღების ადგილს (მისამართი) და საკონტაქტო ტელეფონს;

თ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც გამყიდველი ჩათვლის მიზანშეწონილად.

5. აქციების ან აქციათა პაკეტის (წილი) გაყიდვის შემთხვევაში ინფორმაცია დამატებით უნდა შეიცავდეს:

ი) სააქციო საზოგადოების (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების) დასახელებას და იურიდიულ მისამართს;

კ) გამოშვებული აქციების საერთო რაოდენობას;

ლ) ერთი აქციის ნომინალური ღირებულებას;

მ) აქციების ან აქციათა პაკეტის (წილის) საწყის ფასს და წილს საზოგადოების სანესდებო კაპიტალში.

6. მყიდველს უფლება აქვს მიიღოს გასაყიდი ქონების შესახებ გამყიდველის ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული, ნებისმიერი ინფორმაცია.

7. ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს საპრივატიზებო სახელმწიფო ქონებას.

8. გამყიდველი პირობებით გამოცხადებული აუქციონის ორგანიზების მიზნით ქმნის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიას, რომელშიც შედიან კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, კომისიის მდივანი და სააუქციონო კომისიის წევრები.

მუხლი # 3 - აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღეს და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.

2. აუქციონი ტარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით და გამყიდველის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

3. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სახელმწიფო ქონების დასახელებას, იმ სახელმწიფო ქონების საწყის ფასს, რომლის შექენაც სურს მონაწილეს. პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში განაცხადში უნდა აისახოს მონაწილის თანხმობა პირობების შესრულებაზე;


ბ) "ბე"-ს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს გამყიდველის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამწარმოო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

4. მონაწილემ, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა სახელმწიფო ქონების პრივატიზებისათვის მონაწილეობაში, "ბე" და მონაწილის ბილეთის საფასური



უნდა გადაიხადოს თითოეული სახელმწიფო ქონებისათვის ცალ-ცალკე.

5. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს "აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში", იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

6. მონაწილეს უფლება აქვს "ბეს" დაუკავებლად უარი აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადოს მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.

7. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:

ა) განაცხადის წარმომდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს საპრივატიზებო ქონების მყიდველად;

ბ) დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი # 4 - აუქციონის ჩატარების წესი

1. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

2. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრის დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

3. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

4. თითოეულ ობიექტზე ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს სახელმწიფო ქონების დასახელებას, მის სანყის ფასს, ბიჯს (ბიჯის სიდიდეს ყოველი კონკრეტული ქონებისათვის განსაზღვრავს გამყიდველი).


5. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება სანყისი ფასის გამოცხადების მომენტი, რომელიც ფიქსირდება დროის აღნიშვნით. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

6. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს სანყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის ნომერს (რაც ნიშნავს სანყის ფასზე ბიჯის დამატებას) ისე, რომ თვალსაჩინო იყოს აუქციონატორისათვის. თუ ფასის სამჯერ გამოცხადებამდე დასახელდება მომდევნო ფასი, აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადების შემდეგ სახელმწიფო ქონება ითვლება გაყიდულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

7. აუქციონის დამთავრების შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც უნდა აისახოს სააუქციონო ვაჭრობის მსვლელობა და შედეგები. ოქმი ინომრება ქრონოლოგიურად. ოქმს ხელს აწერს მყიდველი, აუქციონატორი, სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და სააუქციონო კომისიის მდივანი.

8. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.

9. თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.



10. აუქციონის შედეგების ოქმი და სრული დოკუმენტაცია გადაეცემა რომელიც მას ამტკიცებს აუქციონის დასრულებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი # 5 - ბარიზაბათა ბაზრების წესი

1. ხელმოწერილი აუქციონის შედეგების ოქმის გამყიდველის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცების მომენტიდან მყიდველმა "სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, არა უმეტეს 30 კალენდარული დღისა ხოლო თუ აუქციონი გამოცხადებული იყო პირობებით, აუქციონის პირობებით დადგინდ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს, ოქმში მითითებულ საბანკო ანგარიშზე უნდა შეიტანოს თანხა, რომელიც შეესაბამება მის მიერ აუქციონზე დასახელებულ საბოლოო ფასს.

2. აუქციონში გამარჯვებულს შეტანილი "ბე" ეთვლება ანგარიშსწორების დროს.

3. აუქციონში დამარცხებულ აუქციონის მონაწილეს აუქციონის შედეგების (ოქმის) დამტკიცებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მოთხოვნის საფუძველზე, "ბე" უბრუნდება "ბეს" შეტანის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან არა უმეტეს 3 თვის ვადაში, გამყიდველთან დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში ხელშეკრულება), რომელიც უნდა დამონმდეს სანოტარო წესით.

5. გამყიდველსა და აუქციონში გამარჯვებულს შორის დასაადებ ხელშეკრულებაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- ა) ცნობები გამყიდველისა და მყიდველის შესახებ;
- ბ) შექნილი ქონების დასახელება და მისამართი;
- გ) სახელმწიფო ქონების ნასყიდობის ფასი;
- დ) პირობებიდან გამომდინარე მხარეთა ურთიერთვალდებულებები ქონების შემდგომი გამოყენების შესახებ (პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში);
- ე) სხვა მონაცემები გამოცხადებული აუქციონის და ხელშეკრულების სპეციფიკის გათვალისწინებით.

6. თუ აუქციონი გამოცხადებული იყო პირობების გარეშე, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს ამ დებულების მე-6 მუხლით მოთხოვნებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას

7. თუ გამოცხადებული იყო აუქციონი პირობებით, ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს გამყიდველის მიერ დადგინდ საპრივატიზებო პირობებს, თანხის გადახდის ვადებს და ამ დებულების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას მათ შორის პირგასამტეხლოს.

8. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სახელმწიფო ქონების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის სრულად დაფარვამდე მყიდველს ქონება გადაეცემა მფლობელობაში და სარგებლობაში, ხოლო აქციები ან წილი - მართვის უფლებით, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლება გამყიდველის მიერ მყიდველს გადაეცემა სახელმწიფო ქონების საბოლოო ნასყიდობის ფასის სრულად დაფარვის შემდეგ, შესაბამისი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემის მომენტიდან. ხოლო პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში საკუთრების მოწმობა გაცემა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პირობით

10. ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისათვის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და აღნიშნულისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები იფარება მყიდველის მიერ.

საკანონმდებლო სიასლაეები

მუხლი # 6 - მყიდველის პასუხისმგებლობა პირობების გარეშე გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში

თუ მყიდველი პირობების გარეშე გამოცხადებულ აუქციონში, დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.

მუხლი # 7 - მყიდველის პასუხისმგებლობა პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში

1. თუ მყიდველი პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში, დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ქონების გამოსასყიდ თანხას, მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება ქონებაზე და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება

2. პირობებით გამოცხადებული აუქციონის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია, შეტანილი სახელმწიფო ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (აუქციონის პირობები), მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და მათ შესრულებაზე გამყიდველის მოთხოვნისთანავე და 6 თვეში ერთხელ წარუდგინოს ინფორმაცია გამყიდველს. შესაძლებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნეს ინფორმაციის წარდგენის სხვა ვადა.

3. მყიდველს შეტანილ ქონებაზე საკუთრების უფლების დადასტურებამდე, გამყიდველთან შეთანხმების გარეშე არა აქვს უფლება გაცემული ქონება განკარგოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს იგი. ამასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობაზე და დაცვაზე.

4. გამყიდველის მიერ მყიდველზე საკუთრების უფლების დადასტურების შემდეგ, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მყიდველის მიერ პრივატიზებული ქონების გასხვისების შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია ქონება ახალ მესაკუთრეზე გაასხვისოს იმავე პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო სამინისტროსა და მყიდველს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ქონების გასხვისების შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს სამინისტროს.

5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება სამინისტროს მიერ მათი დადასტურების მომენტიდან.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველი იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა. პირგასამტეხლო განისაზღვრება ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე. კერძოდ:


ა) თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, გადაუხდელი თანხის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა სამინისტროს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად.

მუხლი # 8 - გარიგებათა ბათილად ცნობა

აუქციონის შედეგებთან დაკავშირებულ სადაო და ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.



ბიზნესის ადმინისტრირების ახლებური სწავლების არსი და ფორმები



თეზურ შეჯამება

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის საგანმანათლებლო პროგრამის, „ბიზნესის ადმინისტრირების“ მიმართულების ხელმძღვანელი, ეკ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი.

შინ შიძლება იყოს MBA-ს პროგრამის მსგავსი?

MBA პროგრამები შეიძლება იყოს გათვალისწინებული ორი კატეგორიის მსმენელებისათვის: I. იმ პირებისათვის ვინც დაასრულა სწავლება ბაკალავრიატში; II. იმ მენეჯერებისათვის, რომლებმაც გადაწყვიტეს სწავლის გაღრმავება კონკრეტული სპეციალიზაციის სფეროში, და ე.წ. „ქარია ჩეინჯას“-ს (Career Changers) პირები, რომელთაც გადაწყვიტეს შეიცვალონ პროფესია (მაგალითად, მარკეტინგიდან გადავიდნენ ფინანსურ მენეჯმენტში).

როგორია MBA პროგრამები?

MBA პროგრამები შეიძლება იყოს ზოგადი (general) ან სპეციალიზებული. მაგალითად: MBA – ფინანსები, MBA – საერთაშორისო ბიზნესი, MBA – მარკეტინგი, MBA – ტურიზმი და სხვა.

MBA პროგრამები სწავლების ფორმით შეიძლება იყოს: დასრუებული (Full-time) საღამო (Part-time) ან ერთდროულად ამ ორი ფორმის შეთანაწყობით: (დასრუებულ-დაუსრუებელი) modular executive. ამ პროგრამების რეალიზებისას მსმენელები გადიან ინტერნეტ-სწავლებას და სტაციონარულად უნივერსიტეტებში აბარებენ მხოლოდ გამოცდებს.

მოქმედების დროის მიხედვით ეს პროგრამები შეიძლება იყოს: ერთწლიანი, წელიწადნახევრიანი, ორწლიანი.

საქართველოში მიმდინარე რეფორმები, მითუმეტეს ეკონომიკური და ბიზნეს განათლების დარგში განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია როგორც სპეციალისტების, ასევე, ფართო საზოგადოების მხრიდან. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფართო საზოგადოება უფრო მეტად იყოს ინფორმირებული განათლების სფეროში მიმდინარე ამ ნოვაციის შესახებ. უფრო ალქმადი და კონკრეტული რომ იყოს რეფორმის არსი და მიზნები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, შევეცდებით დისკუსიის ფორმით დავაკმაყოფილოთ მკითხველის ინტერესი ამ აქტუალურ პრობლემისადმი.

როგორ და სად წარმოიშვა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამები?

1902 წელს „დარტმუტ კოლეჯში“ (Dartmouth college), აშშ-ში, 7 სტუდენტმა მიიღო ბიზნეს-განათლების დიპლომი, რამეთუ მათ გაიარეს „ემ-სი-ეს“-ის (MCS - Master of Commercial Science) სასწავლო კურსი. ასე ჩაეყარა საფუძველი მსოფლიოში პირველ ბიზნეს-განათლებას. ამიტომაც არის, რომ ბიზნეს-განათლების სამშობლოდ მიჩნეულია აშშ, შტატი „ნიუ ჰემპშია“ (New Hampshire). ამჟამად მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბიზნესის სკოლები ეწევიან სწავლებას ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო (BBA – Bachelor of Business Administration), სამაგისტრო (MBA – Master of Business Administration), და სადოქტორო (DBA – Doctor of Business Administration,) პროგრამების მიხედვით.

**რას იძლევა MBA პროგრამაში
სწავლება?**

MBA პროგრამებით სწავლება იძლევა შესაძლებლობას:

1. მივიღოთ სრული სპექტრით სპეციალიზებული ცოდნა (ბაკალავრიატში - ზოგადი კურსი, მაგისტრატურაში - მხოლოდ ძირითადი სპეციალობის ირგვლივ მიღებული ცოდნა);

2. დავადგინოთ ის მჭიდრო ურთიერთკავშირი, რომელიც არსებობს ბიზნესის სხვადასხვა ელემენტს შორის (მაგალითად, მარკეტინგში ცვლილება რა ცვლილებას გამოიწვევს ფირმის ფინანსებში) ანუ **MBA**-ის პროგრამებით სწავლება არა განყენებული ეკონომიკური დისციპლინები, არამედ განისაზღვრება მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი;

3. საქმიანი კონტაქტები ბიზნესის სფეროში **MBA**-ს კურსდამთავრებულებს მიყვებათ სიცოცხლის ბოლომდე.

**რით განსხვავდება MBA-ს პროგრამაში
სწავ პროგრამისაგან?**

MBA თეორიულ სეგმენტზე განსხვავებულია ვინაო სპეციალიზაციების პროგრამებისაგან. ასეთია **MS (Master of Science)** - მეცნიერების მაგისტრი ან **MA (Master of Arts)** - ხელოვნების მაგისტრი). **MBA**-ს პროგრამებში აქცენტი გადატანილია პრაქტიკულ უნარ-ჩვევებზე, სტანდარტულ სიტუაციების ანალიზზე ბიზნესის სფეროდან და შემდგომ მათ გამოყენებაზე მსმენლის საქმიანობის სფეროში.

**არის თუ არა განსხვავება
სწავლების მეთოდიკაში?**

MBA-ს პროგრამებში გამოიყენება სწავლების სტანდარტული მეთოდები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული) და ამის გარდა აქტიური მეთოდები ე.წ. „კეის-სტადის“ (**case-studies**) მეთოდი. საუკეთესო ბიზნესის სკოლები ბოლო წლებში იყენებენ ამ ორ მეთოდთან ერთად ახალ ე.წ. **soft skills** მეთოდს. აქ შედის ლიდერის თვისებები, გუნდური მუშაობა, ბიზნესის ეთიკური ნორმების დაცვა და სხვა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბაკალავრო ნაშრომის და სა-

მაგისტრო დისერტაციის დაცვას. **სტრუქტურული დისერტაცია** ასახავს მსმენელთა კომუნიკაბელურობას, მათი ერთობლივი საქმიანობის წარმართვის უნარს, რასაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია ბიზნესში. სამაგისტრო დისერტაციას ასრულებს და იცავს 3-4 მაგისტრი. ამ ნაშრომში ასახულია ერთობლივი გამოკვლევის შედეგები. თითოეული მაგისტრი ახდენს მის მიერ შესრულებული ნაწილის პრეზენტაციას. მაგალითად, ერთი მაგისტრი იკვლევს პროექტის ფინანსურ, მეორე - საკადრო, მესამე - მარკეტინგულ მხარეებს, მეოთხე - პროექტის განვითარების სტრატეგიას.


რიგი ბიზნეს-სკოლები ღებულობენ შეკვეთებს კონკრეტულ ბიზნეს-პროექტებზე და ახდენენ მათ შემუშავებას, პრეზენტაციას და რეალიზაციას.

**რაში მდგომარეობს CASE-STUDY-ის
მეთოდი?**

ეს მეთოდი პირველად გამოიყენა ჰარვარდის ბიზნეს-სკოლამ 1924 წელს. დღეს ეს არის მენეჯერების მომზადების ყველაზე პოპულარული მეთოდი, რომელიც გამოიყენება აშშ-ის და ევროპის ქვეყნებში, სასწავლო-აუდიტორული ფონდის 30-40% ეთმობა ამ მეთოდს.

ეს არის ინსტრუმენტი რომელიც იძლევა შესაძლებლობას თეორიული ცოდნა შევაკვსოთ პრაქტიკული გამოცდილების შესწავლით. მსმენელები ეცნობიან ბიზნესში არსებულ სირთულეებს და სწავლობენ მათი დაძლევის კონკრეტულ გზებს. ასე მაგალითად, **N** კომპანიამ ამა თუ იმ წელს როგორ გადანყვიტა კონკრეტული პრობლემა, რომელიც მის წინაშე იდგა. ასეთი კეისის გარჩევით მსმენელი იღებს მზა რეცეპტს, რომელსაც ის იყენებს თავის მომავალ საქმიანობაში, კონკრეტულ სიტუაციაში. დასავლეთის რიგ ქვეყნებში კეისებზე ტესტირების მეშვეობით კომპანიები ღებულობენ თანამშრომლებს სამუშაოდ.

საუნივერსიტეტო ინდუსტრიისათვის ეს მეთოდი მატერიალური თვალსაზრისითაც მომგებიანია, ასე მაგალითად, ჰარვარდში, დარლენში, კეისის 1 ეგზემპლარი ღირს 10 დოლარი. ეს სასწავლებელი დაახ-



ლოებით 700-მდე კეისს აწარმოებს წელიწადში.

სად შეიძლება შევიძინოთ კეისები?

არის სპეციალიზებული ორგანიზაცია European Case Clearing House, რომელიც ეწევა კეისების – რეალიზაციას. გარდა ამისა, მსოფლიოში კეისებს ყოდიან წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტებიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულება დამოუკიდებლად ამუშავებს კეისებს. ინფორმაციის მოპოვება მიმდინარეობს საქართველოში მოქმედ კომპანიებში. ამ მეთოდს ეწოდება (field mesearch) და ის გულისხმობს სპეციალური გამოკვლევების წარმოებას ობიექტზე. არის მესამე გზაც, რაც გულისხმობს იმ სტუდენტებისაგან, ვინც გაიარა ამ მეთოდით სწავლება საზღვარგარეთ კეისების მოპოვებას და თარგმნას, რაც რეალურად მიმდინარეობს კიდევაც.

როგორია სასწავლო პროცესის ორგანიზაცია?

აქ მნიშვნელოვანია: 1. მეცადინეობის ფორმა (ლექციის, სემინარის, კომპიუტერული საქმიანი თამაშების) სახით, დიდი მნიშვნელობა გააჩნია სასწავლო პროცესში საქმიანი პრაქტიკიდან სიტუაციის გარჩევას (ანალიზს) (case study), ერთობლივი პროექტის მომზადებასა და პრეზენტაციას (team work), თხზულების დაწერას (essay). აქცენტი გადატანილია სტუდენტის დამოუკიდებელ სამუშაოზე. მასზე მოდის 1,5-ჯერ მეტი დრო, ვიდრე აუდიტორულ მეცადინეობებზე.

2. სასწავლო პროცესის ორგანიზაციისას არსებითია ცოდნის კონტროლის და შეფასების სისტემა. აქ ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს შუალედური და საბოლოო (ფინალური) გამოცდები (მიღტერმს და ფინალს). შეფასების პროცესში ქულები ნაწილდება შემდეგი სახით:

- A ფრიადი 90-100
- B კარგი 75-89
- C დამაკმ. 60-74
- D საშუალო 50-59

F არადამაკმ. 59 და ქვემოტ.

შუალედური კონტროლი მოიცავს 1) ამოცანებს და ტესტებს. მაგალითად, რამდენიმე ვარიანტიდან სწორის შერჩევას (multiple choice), გამოტოვებული ადგილების შევსებას (fill the Blanks), რომელიმე მტკიცებულებას სიყალბის ან გულახდილობის შეფასებას (truth of false). ყველა გამოცდა MBA-ს სისტემაში არის წერიითი.

არსებითი მნიშვნელობა სასწავლო პროცესის ორგანიზაციის პროცესში გააჩნია სტუდენტთა კომუნიკაციური თვისებების განვითარებას. აქ შედის როგორც სპეციალური საგნები, ასევე რეზიუმეს დაწერა, სპეციალური ტესტები GMAT და WST (წერიითი ხელოვნება).

როგორია სასწავლო პროცესის სტრუქტურა?

BBA დონეზე სასწავლო გეგმა არის ზოგადი ყველა სპეციალიზაციისათვის. ის მოციავს:

1) ბიზნესის გარემოს შემსწავლელ კურსებს (ეკონომიკის პრინციპებს, სამეწარმეო საშარტალს, ბიზნესის ეთიკას) და სხვა.

2) ბიზნესის მეცნიერულ საფუძვლებს (ფინანსურ მენეჯმენტს, ფინანსურ აღრიცხვას, ბიზნესის სტატისტიკას, ბიზნესს, და სხვა).

3) საბაზო კურსებს (მარკეტინგს, მენეჯმენტს, პერსონალის მართვას და სხვ.).


4) სპეციალიზაციას და სპეციალურ დისციპლინებს ცალკეული მიმართულებების მიხედვით.

სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა უკვე მეორე კურსიდან განსაზღვროს სპეციალობის პროფილი და თავისი შემდგომი ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც კონკრეტდება მაგისტრატურაში.

რით განსხვავდება

BBA და MBA პროგრამები?

აშშ-ის და ევროპის ბიზრნეს სკოლებში მაგისტრატურა არ წარმოადგენს ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის მექანიკურ გაგრძელებას ე.წ. სწავლების მეორე საფეხურს. მაგისტრატურა არის ცოდნის მიზნო



ბრივი გაგრძელება ანუ ბაკალავრიატში მიღებული ცოდნა საკმარისია შრომითი საქმიანობის დაწყებისათვის ბიზნესის სფეროში. დაწყებისათვის და არა გაგრძელებისათვის. გაგრძელებისათვის უნდა მოხდეს ვინრო სპეციალიზებული MBA სამაგისტრო კურსის ათვისება. ამიტომაც არის, რომ ამ ქვეყნებში MBA-ს კურსების მსმენელთა საშუალო ასაკი 26-დან 29 წლამდე მერყეობს. შესაბამისად მაღალია გადასახადის. ის 42-დან 78 აშშ-ს დოლარამდე მერყეობს.

როგორია მსოფლიოს MBA ტიპის მათნტრაბტურაში მიღების წესები?

მაგისტრატურაში მიღება მოიცავს რამდენიმე ეტაპს. ესენია:

1. სპეციალური ტესტის GMAT ჩაბარება.
2. ესეების დაწერა (აქ მსმენელი წარმოაჩენს აზრის გადმოცემას და წესის მაღალ კულტურას, ასაბუთებს თავისი პიროვნების განუმეორებელ თვისებებს, MBA-ს შესწავლის აუცილებლობას მისი პრაქტიკული საქმიანობისათვის).
3. რეკომენდაცია 2 მიზნით (ამასთან იკრძალება ბაკალავრიატის ლექტორების მიერ რეკომენდაციის გაცემა).
4. ინტერვიუ (აქ კომისიის წევრებთან პირად საუბარში იხსნება მსმენელის სოფტ-სკილს).

რა წარმოადგანს ყველაზე მნიშვნელოვანს MBA-ს

საუნივერსიტატო პროგრამებისთვის?

ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამზადებს საქართველოს და არა მსოფლიოს დონის ეკონომისტებს, რის გამოც მათ დასაქმების არეალი იზღუდება მხოლოდ ქვეყნის მასშტაბებით. MBA-ს პროგრამების დაწერგვა და მათი აკრედიტაცია იძლევა შესაძლებლობას გავიდეთ მსოფლიოს მასშტაბებზე. თუმცა ამისათვის რთული გზა არის გასავლელი. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ უნივერსიტეტმა დაიწყო ამ პროგრამებზე გადახვლის პროცესი, მეორე ეტაპი იქნება აკრედიტაცია.

როგორია MBA პროგრამების აკრედიტაციის მიქანიზმი?

ევროპაში არსებობს, რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც ახდენს MBA-ს საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციას. ესენია:

1. AMBA (Association of MBA) დიდი ბრიტანეთის აკრედიტაციის ორგანიზაცია.
2. EQUIS (European Quality Improvement system) სააკრედიტაციო ორგანიზაცია ბრიუსელში.
3. ECBE (European Council of Business Education) რომლის შტაბ-ბინაა ბრიუსელში. ცნობილია ისიც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით აწარმოებს აქტიურ მოლაპარაკებას ნიუ-იორკის, სხვა უნივერსიტეტებთან.

როგორია აკრედიტაციის მიქანიზმი?

საკრედიტაციო კომისია სწავლობს საკითხებს:

1. BBA, MBA, DBA პროგრამების შეფასება სტუდენტების, თანამშრომლების და ადმინისტრაციის მიერ.
2. პროგრამების შეფასება მაკრედიტებელი ორგანიზაციის მიერ.
3. პროგრამები შედარება ECBE-ს სტანდარტებთან.

როგორია MBA-ს საუნივერსიტატო პროგრამების პრესაქტივიზმი?

ბიზნეს სკოლები არსებობენ უნივერსიტეტის ფარგლებში ან ცალკე სუბიექტების სახით MBA-ს პროგრამების მიხედვით. აშშ-ი მაგალითად, ჩიკაგოს უნივერსიტეტი ითვლება საუკეთესოდ ბულალტერიაში და ფინანსებში, ზაბსონ კოლეჯი მარკეტინგში და მენარმეობაში, პენსილვანიის უნივერსიტეტი ფინანსებში და სხვა.

არც თუ ისე შორია ის დრო, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე შეიქმნება სპეციალიზებული ბიზნეს-სკოლები, რომლებიც გამოუშვებენ მსოფლიო დონის ვინრო სპეციალიზაციის სპეციალისტებს.




ტელევიზორი რადიოთი

მსოფლიოს ოთხმა უდიდესმა ელექტრონიკის მწარმოებელმა კომპანიამ „Sony-მ“, „Toshiba-მ“, „LG-მ“, და „Samsung-მა“ ხელი მოაწერეს ერთობლივი კონსორციუმის „Wireless HD-ს“ შექმნის ხელშეკრულებას. ეს კონსორციუმი ითვალისწინებს სპეციალური პროტოკოლის შექმნას, ტექნიკურად განხორციელებას და ბაზარზე გატანას, რომელიც საშუალებას მისცემს ელექტრონულ ხელსაწყოებს – ტელევიზორებს, DVD-ფლეერებს, სათამაშო კონსოლებს და სხვა – დაუკავშირდნენ ერთმანეთს ყოველგვარი კაბელისა და მავთულის გარეშე.

სპეციალისტების აზრით, ამ ტექნოლოგიის გამოყენების სფეროდროთა განმავლობაში პრაქტიკულად შეზღუდული გახდება. ეს პროტოკოლი ინფორმაციას გადასცემს შეკუმშვის გარეშე და მომენტალურად, რაც შესაბამისად უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მაქსიმალურად შენარჩუნებას. ინფორმაციის გადასაცემად „Wireless“ გამოიყენებს 60 გჰც სიხშირის რადიოდაბაზონს სიჩქარით 5გბაიტ/წმ 10 მეტრის რადიუსზე. ასეთ დაბაზონს აქამდე მხოლოდ საშხედროები იყენებდნენ. ამიერიდან ეს ტექნოლოგია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდება.

2007 წლის ბოლოს დაგეგმილია ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი პირველი მოწყობილობების პრეზენტაცია.



აღამიანის უფლებათა დარღვევის გამო Microsoft-ი შესაძლოა ჩინეთიდან წავიდეს

„საერთაშორისო კორპორაცია „მაიკროსოფტი“ შესაძლოა, ჩინეთის ბაზრიდან წავიდეს“, – განაცხადა კომპანიის ტომ-შენჯერმა. წასვლის მიზეზი კი ჩინეთის ინტერნეტ-სივრცეში თავისუფალი სიტყვის შეზღუდვაა. ეს განაცხადება საკმაოდ მოულოდნელი იყო აღამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციების მიერ „მაიკროსოფტის“ ჩინელ ძალოვნებთან გარიგებაში დადანაშაულების ფონზე.

ჩინეთის მთავრობამ კი, როგორც ჩანს, სერიოზულად გადაწყვიტა, ერთხელ და სამუდამოდ, ხელთ იგდოს და მაქსიმალურ კონტროლზე აიყვანოს ინტერნეტ-სივრცე. ჩინურ სპეცსამსახურებში ცდილობენ, თითოეული ცენტის გაკონტროლებას, რომელიც ინტერნეტის საიტებში მოძრაობს, ნებისმიერი ფორუმი, ჩეთი თუ იმეილი მათთვის ხელმისაწვდომია. „ეს, ფაქტობრივად, ნებისმიერი აღამიანის თუ იურიდიული პირის საქმიანობაში ხელის ფათურია, – განაცხადა „მაიკროსოფტის“ სტრატეგიული დაგეგმარების მენეჯერმა ფრედ ტიპსონმა. – თან ეს მაშინ, როცა ჩინური ინტერნეტ-ბაზარი მსოფლიოში ყველაზე

სწრაფად განვითარებადია. ჩვენ კვლავ ვიფიქრებთ, როგორ მოვიქცეთ“, – დაამატა მან.

ამჟამად მათ წინაშე ორი არჩევანია: ან დეტოვოს ესოდენ პერსპექტიული ბაზარი, ან შეეგუოს ჩინური სპეცსამსახურების ცენზურას, რაშიც მას უკვე დასდეს ბრალი ამერიკელმა და ევროპელმა სამართალდამცველებმა.

მსგავსი ბრალდებები გაისმა მეორე მსხვილი კორპორაციის, ქსელური აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის დამამზადებელი Cisco Systems-ის მიმართაც, რომ თითქოსდა ჩინეთის სპეცსამსახურები სწორედ მისგან ყიდულობენ სპეციალურ აპარატურას, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ინტერნეტ სივრცეში ცენზურის განხორციელება. Cisco Systems-ის გენერალურ დირექტორს არტ რაილს სხვა გამოსავალი არ დარჩა და პირადად უარყო ეს ბრალდებები. კერძოდ, მან განაცხადა, რომ კორპორაცია ყველა სახელმწიფოში ერთსა და იმავე აპარატურას ყიდის.

ყველა ამ პრობლემის მიუხედავად ჩინეთის სწრაფად მზარდი ვირტუალური სივრცე ბევრისთვის მიმზიდველად რჩება. მარტო ზრდის ტემპი რად ლირს? – 1994 წელს ჩინეთში ინტერნეტის მხოლოდ 80 000 მომხმარებელი იყო. დღეს მათი რიცხვი 120 მილიონს შეადგენს.



Utube თუ Youtube

პატარა ამერიკულმა ფირმამ, რომელიც პლასტიკატის მილებს აწარმოებს და „Universal tube & Rollform Equipment“ ჰქვია, – სასამართლოში უჩივლა ინტერნეტ ვიდეოპორტალ Youtube-ს, იმის გამო, რომ მათი ვებსაიტების დასახელებების მსგავსება სერიოზულ პრობლემებს უქმნის მილების მწარმოებელ ფირმას.



საქმე იმაშია, რომ ინგლისურად Utube და Youtube ერთნაირად ჟღერს, რაც ინტერნეტ მომხმარებელთა დაბნევას იწვევს და შედეგად მილების მწარმოებელთა ვებ-გვერდზე შემსვლელთა რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. 2005 წლიდან მათ უკვე ხუთჯერ მოუწიათ ჰოსტინგის შეცვლა. მომხმარებლებს მილების მწარმოებელი ფირმის საიტი ვიდეოპორტალი ჰგონიათ. თუ 2005 წლის დასაწყისი ვებ-გვერდის სტუმარი 1500 კაცი იყო, დღესდღეობით ეს რაოდენობა 2 მილიონზე მეტია. უშუალოდ ფირმის კლიენტებს კი ძალიან უჭირთ ესოდენ გადატვირთულ მისამართზე მოხვედრა, რაც ამცირებს გაყიდვებს და უარყოფითად მოქმედებს ფირმის იმიჯზე.

ამიტომ ფირმა Universal tube მოითხოვს ვიდეოგიგანტისგან ან შეცვალოს დომენის მისამართი, ან გადაუხადოს ფირმას ჰოსტინგის საფასური.



კომპანია „ფორდის“ მუშაქისტვის სამსახურიდან დათხოვნის დღე გადნიერი აღმოჩნდა

ის დღე ჯერომ მაკინისთვის უკანასკნელი სამუშაო დღე იყო ამერიკის ქალაქ ჰაპერვილში მდებარე „ფორდის“ ქარხანაში, რომელსაც მან ცხოვრების მთელი ცამეტი წელი დაუთმო. ქარხანა იხურება იმის გამო, რომ კომპანია „ფორდს“ სერიოზული ფინანსური პრობლემები

აქვს: მარტო 2006 წლის მესამე კვარტალში ავტოგიგანტმა 5,8 მილიარდი ამერიკული დოლარის ზარალი ნახა. ჯერომთან ერთად 30 000-მდე ადამიანი უმუშევრად რჩება.

როგორც ყოველთვის ჯერომ მაკენსმა გადაწყვიტა, ქარხნისკენ მიმავალ გზაზე არსებული ბენზინგასამართ სადგურში სანჯავის მარაგი შეეცხო. აქვე მან ლატარეის ბილეთი შეიძინა და აღმოაჩინა, რომ 225 000 დოლარი მოიგო. იგი ისე დაიბნა, რომ ბენზინის ფული კი გადაიხადა, მაგრამ მისი ჩასხმა დაავიწყდა და გაოგნებულმა იქაურობა ნაჩქარევად დატოვა. „ეს თანხა მისწრება იყო ჩემთვის, ახლა ფინანსური პრობლემები აღარ მექნება“, – განუცხადა მოგვიანებით ჟურნალისტებს

ყველას ისე როდი გაუმართლა, როგორც მაკინსის. „ფორდი“ დიდ შემცირებებს გეგმავს, 2008 წლამდე ამერიკის შერთებული შტატების ტერიტორიაზე მის კუთვნილ საწარმოთა ნახევარი დაიხურება. სამაგიეროდ, „ფორდი“ წარმოების გაფართოებას სხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც, გეგმავს.

გ ა ე ო ი წ ა რ ა ე თ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი

ეკონომისტი

მეწარმეების, ბუღალტრების,
აუდიტორების, ეკონომისტების,
საბაღასახალო ინსპექტორების
სამაგიდო ჟურნალი

ხელმოწერის ღირებულება:

3 თვე – 27 ლარი		9 თვე – 81 ლარი
6 თვე – 54 ლარი		12 თვე – 108 ლარი

გამოდის თვეში სამჯერ

წლიური ხელმოწერის შემთხვევაში სარუქრად
გადმოგაცემათ „საქართველოს საბაღასახალო
კოდექსი“ (კოდიფიცირებული ტექსტი)

ჩვენი რეკვიზიტებია:

აღ. გრიბოედოვის ქ. №15

ტელ: 92-23-05
(899)56-23-02
(899)30-13-72